

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ლია გორგაძე

არსებითი სახელის გამოყენებისათვის სხვადასხვა სტრუქტურის
მქონე ენებში

(წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოც. პროფესორი ლევან ხალვაში

ბათუმი -2022 წ

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლ. გორგაძე.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

შესავალი: პრობლემის დასმისათვის, სახელებისა და ზმნის მიმართება

გრამატიკაში.....	4
თავი I სახელის ცნების ისტორიისათვის.....	16
1.1 სახელის რაობა საკრალურ და ფილოსოფიურ ტექსტებში.....	16
1.2 საგნების, სიტყვებისა და იდეების ურთიერთმიმართების პრობლემა ფილოსოფიურ აზროვნებაში	24
1.3 სახელის ადგილი კამათში უნივერსალიების შესახებ.....	29
თავი II სახელის რაობისათვის ლოგიკისტურ გრამატიკაში.....	38
2.1 სახელის დიონისესეული განმარტება ანტიკურ გრამატიკაში.....	38
2.2 სახელის განმარტება რაციონალურ გრამატიკაში.....	44
2.3 არსებითი სახელის კონცეფცია მე-19 საუკუნის ლოგიკურ-გრამატიკულ სწავლებაში.....	46
2.4 არსებითი სახელის ფილოსოფიურ-ლოგიკური განმარტება ი. დავიდოვის „რუსული ენის ზოგადშედარებით გრამატიკაში“.....	59
2.5 არსებითი სახელის ლოგიკურ-გრამატიკული განმარტება თ. ბუსლაევთან.....	65
თავი III არსებითი სახელის გაგება ლინგვისტიკაში ისტორიზმისა და ფსიქოლოგიის დამკვიდრების პერიოდში.....	70
3.1 ენის თავდაპირველი ელემენტების პრობლემა.....	70
3.2 სახელის გაგებისათვის ფსიქოლოგისტურ კონცეფციებში.....	73
3.3 სახელის ლოგიკისტური გაგების კრიტიკა ა. პოტებნიასთან.....	79
თავი IV. ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა სახელების შეპირისპირებითი ანალიზი.....	88
დასკვნითი დებულებები.....	110
გამოყენებული ლიტერატურა	114
დანართი.....	117

შესავალი

პრობლემის დასმისათვის

სახელებისა და ზმნის მიმართება გრამატიკაში

როგორც ცალკე დარგი გრამატიკა დაიწყო სახელისა და ზმნის გამოყოფით. ანტიკური მოაზროვნეები ამ ტერმინებით აღნიშნავდნენ როგორც აზრის ნაწილებს (სუბიექტსა და პრედიკატს), ისე შესაბამის სიტყვებსაც - მეტყველების ნაწილებს (Аристотель, 1978:56;93). ტრადიციულ გრამატიკაში სახელისა და ზმნის ძირითად კლასებად აღიარება განპირობებული იყო ამ ორი ტერმინის ლოგიკური წარმომავლობით. სახელისა და ზმნის როგორც აზრის ნაწილების დაპირისპირებაში ანტიკური ლოგიკა უპირატესობას ანიჭებდა პირველს. არისტოტელეს თანახმად, სახელი აღნიშნავს საგანს, რომელიც არც მოცემულია რამეში, არც ითქმის რაიმეს შესახებ, ხოლო ზმნა ყოველთვის ითქმის სახელის შესახებ (Аристотель, 1978:56;94). არისტოტელესეულმა ნომინოცენტრიზმმა სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრა ევროპული გრამატიკის სახე. მხოლოდ მე-20 საუკუნეში ჯერ დესკრიფციულ ლინგვისტიკაში ზმნა აღიარეს წინადადების ყველაზე საჭირო სიტყვად (Блумфилд, 1968:177), ხოლო შემდეგ ზ. ჰერისთან და ლ. ტენიერთან- წინადადების სემანტიკურ ცენტრად (Теньер, 1988:121).

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ლაიონზი არსებითი სახელის უნივერსალობასა და უწინარესობას ასაბუთებს აზრის ლოგიკური სტრუქტურის საფუძველზე. სახელი მსჯელობის საგანია, ამიტომ იგი წინ უსწრებს პრედიკატს, ამ უკანასკნელის პოზიციაში გამოიყენება: ზმნა, ზედსართავი მაერთით, არსებითი მაერთით:

Mary dances.

Mary is beautiful.

Mary is a child (Лайонз, 1978:339).

მხოლოდ არსებითი სახელი, როგორც მსჯელობის საგნის აღმნიშვნელი, იკავებს სუბიექტის პოზიციას, ამიტომ იგი უპირისპირდება დანარჩენ მეტყველების ნაწილებს, რომლებსაც გამოვყოფთ პრედიკატში. ამის გამო არსებითი სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების გამიჯვნა პირველადია სიტყვათა ტაქსონომიისათვის.

არსებითი სახელის დეფინიცია წინ უსწრებს სხვა მეტყველების ნაწილების განმარტებას. ზმნასაც ჯ. ლაიონზი განმარტავს ფუნქციურად: ზმნა აღნიშნავს სიტყვათა იმ კლასს, რომლისთვისაც პრედიკატის ფუნქცია პირველადია (Лайонз, 1978: 343). ზმნა გამოხატავს პირის, დროის, კილოს, ასპექტის გრამატიკულ ნიშნებს, რომლებიც აუცილებელია აზრის ჩამოსაყალიბებლად კომუნიკაციაში. არსებითი და ზედსართავი სახელები, აგრეთვე ზმნიზედებიც მოკლებული არიან ამ მაჩვენებლებს, ამიტომ პრედიკატის ფუნქციაში ისინი დაირთავენ დამხმარე ზმნას (მაერთს).

რუსულ ენაში აწმყო დროში მაერთი გამოითვლება: Мария – красивая; Мария – ребенок. ბერძნულსა და ლათინურში მაერთის გამოყენება ასეთ კონსტრუქციებში იყო ფაკულტატური. ჯ. ლაიონზის აზრით, ამგვარი წინადადებები ინდოევროპული ენებისთვის უნდა ყოფილიყო პირველადი (Лайонз, 1978: 341). წარსულ და მომავალ დროში მაერთის გამოყენება აღნიშნულ ენებში აუცილებელია:

Мария – красивая.

Мария была красивая.

Мария будет красивая.

პირველად წინადადებებს ჯ. ლაიონზი გენერაციული გრამატიკის თანახმად მიიჩნევს სიღრმულად, ამიტომ დამხმარე ზმნას (to be) დაუშვებს მხოლოდ ზედაპირულ სტრუქტურაში.

ისტორიულად ტრადიციული გრამატიკა არსებით და ზედსართავ სახელებს გრამატიკული ნიშნების მიხედვით აერთიანებს სახელთა კლასში და უპირისპირებს ზმნას. ჯ. ლაიონზის შეფასებით, ამგვარი ვითარება გვაქვს ზედაპირულ სტრუქტურაში, სადაც ზედსართავი სინტაქსური შეთანხმებით იმეორებს არსებითის ბრუნვასა და რიცხვს. პრედიკატის ფუნქციაში Mary is beautiful ზედსართავი სახელი თავად არ გამოხატავს დროს, კილოს, ასპექტს, ამას აკეთებს მეშველი ზმნა. სიღრმულად ზედსართავი უფრო ახლოს არის ზმნასთან, ვიდრე არსებითთან. ჯ. ლაიონზი შეგვახსენებს, რომ პლატონი და არისტოტელე ზედსართავის მთავარ ფუნქციად მიიჩნევდნენ პრედიკაციას და ამიტომ ზედსართავებს განიხილავდნენ ზმნათა კლასში, ხოლო ალექსანდრიელი გრამატიკოსები - როგორც არსებითი სახელების ქვეკლასს (Дж. Лайонз, 1978: 342). მართალია, ზედსართავი გამოხატავს

„თვისებას“ და არა „მოქმედებას“, მაგრამ განსხვავება „თვისებასა“ და „მდგომარეობას“ შორის ნაკლებია (თუკი ის საერთოდ არსებობს), ვიდრე განსხვავება „მოქმედებასა“ და „მდგომარეობას“ შორის, - წერს ჯ. ლაიონზი (Дж. Лайонз, 1978: 343). სიტყვები: know (ცოდნა), exist (არსებობა), მეორე მხრივ, happy (ბედნიერი), young (ახალგაზრდა) ერთიანდებიან გრამატიკული ნიშნების საფუძველზე ანუ ზედაპირულ სტრუქტურაში. მრავალ ენაში, მათ შორის ჩინურშიც, ზმნებისა და ზედსართავების ამგვარი გაყოფა არის შეუძლებელი. ამ შემთხვევაში ლინგვისტები ლაპარაკობენ არა ზმნებისა და ზედსართავების დაპირისპირებაზე, არამედ მოქმედების გამომხატველი ზმნებისა და სტატიკური ზმნების დაპირისპირებაზე და ზედსართავ სახელებს მიაკუთვნებენ უკანასკნელებს (Дж. Лайонз, 1978: 344). ამრიგად, მეტყველების ნაწილების სიღრმულ პლანში განხილვისას ზედსართავი სახელები უნდა გავაერთიანოთ ზმნებთან. არსებით სახელებთან ზედსართავი სახელები გააერთიანეს ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა, ხოლო შუა საუკუნეების გრამატიკოსებმა ზედსართავი სახელები არსებითის მსგავსად დაუპირისპირეს ზმნას.

ლაიონზის კონცეფცია შეიძლება დავასაბუთოთ იმითაც, რომ, რაც უფრო მეტია ამა თუ იმ ენაში ზედსართავის სინტაქსური დამოკიდებულება არსებით სახელზე, მით უფრო ახლოს დგას იგი ამ პირველთან და, პირიქით, რაც უფრო ნაკლებია აღნიშნული დამოკიდებულება, მით უფრო უახლოვდება იგი ზმნას. ასე, მაგალითად, რუსულ ენაში ზედსართავი სახელი წინადადებაში ეწყობა ზმნას სქესში, ბრუნვასა და რიცხვში: хороший ученик – хорошая ученица – хорошие ученики – хороших учеников. გრამატიკული სქესის უქონლობის პირობებში და მსაზღვრელ-საზღვრულის განსხვავებული სინტაგმატური ურთიერთშეწყობის გამო ქართულ ენაში ზედსართავი ნაკლებად დამოკიდებულია არსებით სახელზე, შეადარეთ: „კარგი მოსწავლე - კარგმა მოსწავლემ“, მაგრამ „კარგი მოსწავლის - კარგი მოსწავლით; კარგი მოსწავლეები, კარგი მოსწავლეების“ და ა.შ. მოყვანილი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსულთან შედარებით ქართულ ზედსართავს უფრო ახასიათებს სიღრმული ბირთვული ფორმის თვისებები. თუ ქართული ზედსართავი ნაწილობრივ მაინც ეწყობა არსებითს, ინგლისური ენის ანალიტიკური სტრუქტურა საერთოდ არ გულისხმობს ამგვარ მორფოლოგიურ შეთანხმებას: „he is a

good pupil – she is a good pupil – they are good pupils.“ თუ ინგლისურ ენაში სქესს განასხვავებენ პირის ნაცვალსახელები (he, she), ხოლო მრავლობით რიცხვში არსებითი სახელი დაირთავს შესაბამის ნიშანს (-s), ჩინურში ორივე სქესისთვის გამოიყენება ერთი და იგივე კონსტრუქცია: Ta (ის) shi (არის) yige hao(კარგი) xuesheng(სტუდენტი), ხოლო მრავლობითი რიცხვი გამოიხატება მხოლოდ პირის ნაცვალსახელის შესაბამისი ფორმით: Tamen (ისინი) shi (არის) hao(კარგი) xuesheng(სტუდენტი). შევადაროთ:

რუსული	ქართული	ინგლისური	ჩინური
У меня нет хороших учеников	მე არ მყავს კარგი მოსწავლეები	I do not have good pupils	Wo meiyou hao xuyesheng

ჩინურ ენაში ზედაპირულ სტრუქტურაში ზედსართავი სახელი წარმოდგენილია სიღრმული ფორმით, რომელიც ავლენს სრულ დამოუკიდებლობას არსებითი სახელისაგან. ჯ. ლაიონზის ზედსართავი სახელების ზმნებთან ერთ კლასში გაერთიანების ვერსიას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩინურ ენაში შემასმენლის (პრედიკატის) პოზიციაში ზედსართავი გამოიყენება მეშველი ზმნის გარეშე, შევადაროთ:

ჩინური	ქართული	რუსული	ინგლისური	თურქული
Wo hen hao. „მე ძალიან კარგი“	მე კარგად ვარ	Я хорошо чувствую	I am good	Ben iyiyim

თურქულ ენაში მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებს შემასმენლობითი აფიქსი, რომელიც იწერება ზედსართავთან შერწყმულად.

ცნობილია, რომ თავის ლინგვისტურ თეორიას ნ. ხომსკი ისტორიულად უკავშირებდა პორ-როიალის გრამატიკას, რომლის ავტორებმა ა. არნომ და კ. ლანსლომ სინტაქსური ტრანსფორმაციის გზით, ნ. ხომსკის შეფასებით,

პრაქტიკულად განასხვავებს წინადადებაში „ზედაპირული“ და „სიღრმული“ სტრუქტურები (Хомский, 2005: 89). წინადადებაში „უხილავმა ღმერთმა შექმნა ხილული სამყარო“ ფრანგმა ენათმეცნიერებმა გამოყვეს სამი მსჯელობა: 1) ღმერთი არის უხილავი. 2) ღმერთმა შექმნა. 3) სამყარო არის ხილული. (Арно, Лансло, 1990: 130). მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჯერ არნოსა და ლანსლოს, ხოლო შემდეგ ხომსკის ვერსიითაც, სიტყვათა ატრიბუტულ შეხამებას ზედაპირულ სტრუქტურაში შეესაბამება სიტყვათა პრედიკატული შეხამება სიღრმულში; პირველი მიიღება მეორისაგან:

ზედაპირული	სიღრმული
უხილავი ღმერთი. ხილული სამყარო.	ღმერთი არის უხილავი. სამყარო არის ხილული.

სიღრმული კონსტრუქციები ბირთვულია, პირველადი, მათგან ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ზედაპირული კონსტრუქციები - მეორეული.

ქართულ ენაში ზედსართავი არ დგას იმდენად ახლოს ზმნასთან, რომ ჩინურის მსგავსად, ჩაენაცვლოს მას მეტყველებაში, მაგრამ შორეულ დისტრიბუციულ გადაკვეთას ზედსართავის მსგავს ფორმებსა და ზმნას შორის მაინც აქვს ადგილი. ქართულს მოეპოვება გრამატიკული ფორმა, რომელიც ვნებითი გვარის ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს სტატიკურად - „უძრავ მდგომარეობაში“, არა როგორც პროცესს, არამედ როგორც პროცესის შედეგს: სწერია, ხატია, აცხია, აკერია, აფარია, არჭვია, არტყია, ჰხურავს, აბია, აბარია, აბეჭდია, აგდია, სთესია, უკავია, ჰკიდია და სხვა (შანიძე, 1980: 313). განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ა. შანიძის შემდეგი შენიშვნაც: „სტატიკური ზმნა მნიშვნელობით ისეთია, რომ თამამად შეიძლება შევცვალოთ ის წინადადებაში შედგენილი შემასმენლით, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის: სთესია - დათესილია, სწერია - დაწერილია, ჰმარხია - დამარხულია, ანთია - დანთებულია, აწყვია - დაწყობილია, აბარია - მიბარებული აქვს (ან ჩაბარებული აქვს) და მისთ. ... ამიტომ, სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, იქ სწორედ ასეთი შემასმენელი იხმარება...“ (შანიძე, 1980: 314). მიმღეობა, როგორც ცნობილია, ზმნისა და

ზედსართავის საზიარო (ჰიბრიდული) გრამატიკული ფორმაა. შეიძლება დავუშვათ: მიმღეობის ჩამოყალიბება ენაში შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ზედსართავი სახელი და ზმნა სიღრმულ პლანში მიეკუთვნებიან ერთ მეტყველების ნაწილს.

ანტიკურ პერიოდში ტერმინს „verb” (ზმნა) ჰქონდა უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე თანამედროვე გრამატიკებში: მეტყველების შესაბამის ნაწილთან ერთად იგი აღნიშნავდა პრედიკატსაც, რომელიც განსაზღვრავდა სუბიექტს (ანტიკური ტერმინოლოგიით „სახელს“). ამრიგად, პრედიკატის როლში სახელი თავიდანვე გაიგებოდა როგორც სახელის(სუბიექტის) განმსაზღვრელი სიტყვა(ზედსართავი სახელი), რის გამოც არისტოტელეს შემდგომ პერიოდში იგი მიაერთეს არსებით სახელს (Дж. Лайонз, 1978: 345). ლაიონზი აქცევს ყურადღებას იმ ფაქტსაც, რომ ტრადიციული გრამატიკა ზმნიზედას განმარტავს, როგორც მოდიფიკატორს - მეტყველების ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ზმნას, ზედსართავს ან სხვა ზმნიზედას: Mary dances beautifully - მერი ლამაზად ცეკვავს. Mary dances extraordinarily well - მერი ცეკვავს ძალიან კარგად.

ინგლისურ ენაში ზედსართავი და ზმნიზედა განსხვავდებიან დისტრიბუციულად:

ზედსართავი: Mary is a beautiful woman - მერი ლამაზი ქალია.

ზმნიზედა: Mary looks beautiful - მერი გამოიყურება ლამაზად.

მორფოლოგიურ ზღვარს ამ ორ მეტყველების ნაწილს შორის ავლებს დერივაციული ზმნიზედური აფიქსი ly:

ზედსართავი	ზმნიზედა
beautiful	Beautifully
merry	Merrily
angry	Angrily

მაგრამ პრედიკატის პოზიციაში შესაძლებელია როგორც ზმნიზედა, ისე ზედსართავიც:

Mary is beautiful – 1) მერი არის ლამაზი 2) მერი არის ლამაზად.

I am proud – 1) მე ვარ ამაყი 2) მე ვარ ამაყად.

ჯ. ლაიონზის შეფასებით, ინგლისურ ენაში ზედსართავების უმრავლესობას სიღრმული სტრუქტურის დონეზე შეუძლია განსაზღვროს როგორც არსებითი სახელი, ისე ზმნაც.

ზედსართავების მსგავსი გამოყენება გვხვდება ქართულ ენაშიც: „იძრო ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში. ცურვა ჩინებული იცოდა...“ (გოგებაშვილი, 1975:10), შეადარეთ მაგალითი სასაუბრო ენიდან: „იგი უეჭველი მოვა“.

ფიზიკური საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, არისტოტელეს აღმოჩენის თანახმად, მსჯელობაში ყოველთვის იკავებს სუბიექტის ადგილს: „ბულბული გალობს“; „ძალი იკბინება“, პრედიკატის პოზიციაში „ეს არის ბულბული“, „ეს არის ძალი“ იგი აღარ აღნიშნავს საგანს, არამედ მხოლოდ გამოხატავს ცნებას. ლოგიკის თანახმად, საგანი არ შეიძლება ითქმოდეს რაიმეს შესახებ (Аристотель, 1978:56). მაგრამ სუბიექტის პოზიციაშიც არსებითი სახელი ყოველთვის არ აღნიშნავს ფიზიკურ საგანს. მაგალითებში: „ვარჯიში სასარგებლოა“, „მოდრაობა აუცილებელია“ არსებითი სახელები გადმოსცემენ მოქმედებას. ლოგიკურ საგნად მათ ენის მეშვეობით აქცევს გონება, როდესაც წარმოაჩენს აზრის სუბიექტად. ენა იძლევა საშუალებას ლოგიკური საგანი გამოვიყენოთ ობიექტადაც: „მე მიყვარს დილის ვარჯიში“, „გივიმ გააკეთა სწრაფი მოძრაობა“.

ჰუმბოლდტის თანახმად, ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მიიღება არტიკულაციის შედეგად და ცალკე აღებული გამოხატავს ცნებას: „ბულბული“, „გალობა“, „ძალი“, „კბენა“; კონკრეტულ საგანს ან ნიშანს, საზოგადო სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ წინადადებაში ინდექსური სიტყვის მეშვეობით: „დღეს ბაღში ბულბული გალობდა“; „ამ ძაღლმა მიკბინა“, მაგრამ წინადადებაში: „ბულბულის გალობა ყველას უყვარს“; „ავი ძალი იკბინება“ არსებითი სახელები „ბულბული“, „ძალი“ გამოხატავენ ცნებებს, მაგრამ არ აღნიშნავენ საგნებს.

ამრიგად, სუბიექტის პოზიციაშიც ყველა არსებითი სახელი არ აღნიშნავს ფიზიკურ საგანს. არისტოტელეს თანახმად, ის, რაც ითქმის საგნის შესახებ, თავად არ შეიძლება იყოს საგანი (Аристотель, 1978:56). ოსტენსიურ წინადადებებში „ეს არის ბულბული“, „ეს არის ძალი“ და ა.შ. ცნებები „ბულბული“, „ძალი“ განსაზღვრავენ

შესაბამისი საგნების კონცეპტუალურ რაობას, ამიტომ პრედიკატის პოზიციაში ყველა არსებითი სახელი მნიშვნელობის განურჩევლად მხოლოდ გამოხატავს ცნებას და არ აღნიშნავს საგანს. მსგავსად ცალკე აღებული არსებითი სახელიც გამოხატავს ცნებას ისე, როგორც სუბიექტის პოზიციაში ინდექსური სიტყვების გარეშე გამოყენებული არსებითი სახელებიც არ აღნიშნავენ საგანს, არამედ გამოხატავენ ცნებას. ამასთან ერთად, სუბიექტის პოზიციაში ყველა არსებითი სახელი გამოხატავს ლოგიკურ საგანს.

ამრიგად, კონკრეტულ ფიზიკურ საგანს არსებითი სახელი აღნიშნავს მხოლოდ წინადადებაში სუბიექტისა (=ქვემდებარის) და ობიექტის პოზიციაში ინდექსური სიტყვების მეშვეობით. „ლოგიკური საგნის“ უპირატესობა „ფიზიკურ საგანთან“ იზრდება შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: თვისებას გამოხატავენ ზედსართავებიცა და არსებითი სახელებიც, მაგრამ ზედსართავისაგან განსხვავებით, რომელიც გამოხატავს თვისებას „წმინდა სახით“, სხვა მნიშვნელობასთან შეთავსების გარეშე (სწრაფი, ლამაზი, გონივრული), არსებითი სახელი გამოხატავს თვისებას საგნის სახით (სისწრაფე, სილამაზე, გონივრულობა), რადგან ყოველივეს: მოქმედებას, ადგილს, დროს, მიმართებას და ა. შ. გადმოსცემს როგორც ცალკე მოცემულს (სუბსტანციას) ანუ ლოგიკურ საგანს.

„კატეგორიებში“ ტერმინს „სახელი“ არისტოტელე იყენებს „სუბიექტის“ მნიშვნელობით. ლოგიკის თანახმად, სახელი (=სუბიექტი) გამოხატავს მხოლოდ საგანს. (Аристотель, 1978:50). გრამატიკაში ტერმინი „სახელი“ აღნიშნავს სატყვას და არა აზრის ნაწილს, მაგრამ ლოგიზირებულმა ტრადიციულმა გრამატიკამ ლოგიკის მსგავსად არსებითი სახელის მნიშვნელობადაც დატოვა „საგანი“, და შესაბამისად მის სინტაქსურ ფუნქციად აღიარა მხოლოდ ქვემდებარე-დამატება. აღნიშნული გამორიცხავდა სხვა მეტყველების ნაწილების გამოყენებას ქვემდებარე-დამატების როლში, მეორე მხრივ, ატრიბუტის, პრედიკატისა და გარემოების სინტაქსურ როლებს მიიჩნევდა „უცხოდ“ არსებითი სახელისთვის. მართალია, მეტყველების ნაწილთაგან „საგანი“ (ლოგიკურიცა და ფიზიკურიც) შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ არსებითი სახელით, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ არსებითი სახელი გამოხატავს მხოლოდ საგანს? საგნის გამოხატვასთან ერთად ყველა ენაში არსებითი

სახელი გამოიყენებოდა ატრიბუტული ადვერბიალური და პრედიკატული მნიშვნელობებითაც, მაგრამ ამ ფაქტმა ვერ ჰპოვა ასახვა არსებითი სახელის განმარტებაში. ცნობილია, რომ ზედსართავი სახელი შედარებით გვიან გამოეყო არსებით სახელს. მიუხედავად ამისა უკანასკნელი დღესაც გამოიყენება მსაზღვრელის როლში და არა მხოლოდ გენეტივის ფორმით: “ასისტენტი პროფესორი”; “პროფესორ-მასწავლებლები”; “გენერალ-მაიორი”; ინგლისურში: „ a table spoon” „მაგიდის კოვზი“ “a table tennis” “მაგიდის ტენისი“ „a lamp table” „ლამპის მაგიდა“ “a table lamp” “მაგიდის ლამპა“ “a book case” „წიგნის კარადა“ “a books shop” “წიგნის მაღაზია“ “boat-house” “ნავების გასაჩერებელი შენობა“; თურქულ იზაფეტში: altin zincir “ „ოქროს ძეწკვი“, “ tas bina “ „ქვის - შენობა“, „ kahve palto” ”ყავისფერი პალტო“, aslan- insane”ლომი კაცი“, gul yanak” “ვარდი ლოყა”.

არსებითი სახელისაგან განსხვავებით ზმნიზედა გამოხატავს მხოლოდ ადვერბიალურ მნიშვნელობას, ამის გამო არსებითი სახელების გამოყენებას ამ მნიშვნელობით ტრადიციული გრამატიკა მიიჩნევს „სხვის ფუნქციაში შეჭრად“. უსაფუძვლობა ამ შეფასების მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ზმნიზედები წარმოიქმნენ არსებითი სახელებისგან. გარემოების ფუნქციაში გამოყენებული არსებითი სახელი ადვერბიალური მნიშვნელობის დასაბამიერი გამომხატველია: ისტორიამ არ იცის ტექსტი, რომელშიც არსებითი სახელები გამოხატავენ მხოლოდ საგანს, ფორმებთან: ”ქვა”, ”ხე”, ”ტყე”, ”ქალაქი” და ა. შ. ყოველთვის წარმოდგენილია ფორმები: ”ქვაზე”, ”ხესთან”, ”ტყეში”, ”ქალაქიდან” და ა. შ. რადგან სუბიექტისა და ობიექტის აღმნიშვნელად ენაში გამოდის მხოლოდ არსებითი სახელი, საგნის გამოხატვის მნიშვნელობა ცხადდება ამ მეტყველების ნაწილის ერთადერთ მნიშვნელობად.

ამრიგად, აშკარაა შეუსაბამობა არსებითი სახელის მეტყველებაში გამოყენებასა და მის ტრადიციულ გაგებას შორის. ნაშრომის მიზანია გავარკვიოთ ის ფაქტორები, რომლებმაც ჩამოაყალიბებინეს გრამატიკოსებს აქსიომად ქცეული ყველა ენის გრამატიკაში წარმოდგენილი არსებითი სახელის დეფინიცია. აღნიშნული მეტყველების ნაწილის რაობის დასადგენად ჩვენ განვიხილავთ მას: 1. სხვა

მეტყველების ნაწილებთან მიმართებაში და 2. ტიპოლოგიურად სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებიდან მოშველიებული მასალის შეპირისპირებითი ანალიზის მეშვეობით.

ლინგვისტურ ტრადიციაში დამკვიდრებული არსებითი სახელის დეფინიცია ისე, როგორც მთლიანად მეტყველების ნაწილების სისტემაც, ჩამოყალიბდა მაშინ როდესაც მეცნიერულ აზროვნებაში ენა გაიგებოდა როგორც აზრის გამოხატვის პასიური ფორმა და ამიტომ ისწავლებოდა ლოგიკის პოზიციიდან. ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, „არ არსებობს ენისაგან დამოუკიდებელი ცნება“ (Гумбольдт, 1984:319). არსებითი სახელის სხვა მეტყველების ნაწილებთან მიმართებისა და რაობის პრობლემის კვლევისას ჩვენ განვიხილავთ ენას „როგორც უსაზღვრო მოღვაწეობას სულისა“, რომელიც თავად აყალიბებს საკუთარ შინაარსებსაც და ფორმასაც(Гумбольдт, 1984:70).

რადგან გრამატიკის საძირკველი ჩაიყარა ფილოსოფიაში, გრამატიკული სახელის პრობლემას ჩვენ განვიხილავთ ფილოსოფიურ სახელთან კავშირში.

ნაშრომის აქტუალობა. არსებითი სახელი ბაზისური უნივერსალური მეტყველების ნაწილია, რომლის გამოყენების გარეშე შეუძლებელია როგორც მეტყველება, ისე აზროვნებაც. ლინგვისტური, ფილოსოფიური და სხვა მეცნიერული ტექსტის ავტორმა შეგნებულად თუ შეუგნებლად უნდა გამოხატოს, თუ როგორ ესმის მას საგნის, იდეისა და სახელის ურთიერთმიმართება. აღნიშნული ურთიერთმიმართება განსაზღვრავს მეცნიერულ პარადიგმას ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში. ლინგვისტურ ტრადიციაში დამკვიდრებული არსებითი სახელის დეფინიცია ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც მეცნიერულ აზროვნებაში ენა გაიგებოდა როგორც აზრის გამოხატვის პასიური ფორმა, რამაც განსაზღვრა მისი შესწავლის ლოგიკისტური მეთოდოლოგია. ჩვენ დროს ვ. ჰუმბოლდტის, ლ. ვიტგეინშტაინის, ჯ. ოსტინის დამსახურებით ჩამოყალიბდა ენის როგორც აზროვნებისა და სამყაროს წარმომქმნელი ფორმის ახალი გაგება, მაგრამ არსებითი სახელის დეფინიცია რჩება ძველი - ანტიკური. ჩვენი კვლევის მიზანია გავარკვიოთ ფაქტორები, რომლებმაც

განაპირობეს არსებითი სახელის ტრადიციული დეფინიციის ჯერ ჩამოყალიბება, ხოლო შემდეგ დამკვიდრება ლინგვისტურ თეორიაში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. კვლევის თეორიული ბაზის შექმნა
2. არსებული თეორიის კრიტიკული ანალიზი

კვლევის მეთოდოლოგია ემპირიული მასალის შეგროვება და კლასიფიცირება, შეპირისპირებითი და დიაქრონიული ანალიზი.

საკვლევ ემპირიულ მასალას წარმოადგენს ქართული, ინგლისური, რუსული და თურქული ენების განმარტებითი ლექსიკონები, აგრეთვე ამ ენათა თარგმნითი ლექსიკონები.

სამეცნიერო სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე:

1. არსებითი სახელის ახალი განმარტების ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შედეგები: ნაშრომის თეორიული ღირებულება ეროვნულ ენათა გრამატიკებში არსებითი სახელის დეფინიციის დაზუსტება

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელოვნება ნაშრომი ხელს შეუწყობს ყველა ენის პრაქტიკულ სწავლებას იმით, რომ მისცემს საშუალებას ენის მასწავლებელს ადეკვატურად გამოიყენოს არსებითი სახელის ცნება.

შესავალში ჩამოყალიბებულია პრობლემა, დასაბუთებულია მისი აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, წარმოდგენილია მეთოდური ბაზა; განსაზღვრულია მიზნები, კონკრეტული ამოცანები და საკვლევ ემპირიული მასალა, ხაზგასმულია კვლევის სიახლე და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში „სახელის ცნების ისტორიისათვის“ გაკეთებულია ექსკურსი ფილოსოფიაში. სახელის ბუნების დასადგენად განხილულია ფილოსოფიური და საკრალური ტექსტები.

მეორე თავში კრიტიკულად გაანალიზებულია სახელის ტრადიციული ლოგიკისტური თეორია, დადგენილია ამ თეორიის ჩამოყალიბების წინაპირობა და განმსაზღვრელი პრინციპები.

მესამე თავში განხილულია ახალ მეცნიერულ პრინციპებზე გრამატიკული თეორიის ჩამოყალიბების მცდელობა და მასში არსებითი სახელის ადგილი.

მეოთხე თავი ეძღვნება არსებითი სახელის ახალი თეორიის ჩამოყალიბებას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი ზოგადთეორიული და კონკრეტული დებულებები.

ნაშრომს ასევე ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართი საილუსტრაციო მასალის სახით.

თავი I. სახელის ცნების ისტორიისათვის

1.1 სახელის რაობა საკრალურ და ფილოსოფიურ ტექსტებში

მეცნიერულ ტრადიციაში სახელი განხილულია ორი ასპექტით: ლინგვისტურით: ენობრივ ერთეულებთან მიმართებაში და ექსტრალინგვისტურით: რეფერენტთან (სამყაროსთან) მიმართებაში. უძველეს საკრალურ ტექსტებში ასახული სიტყვის რეფერენციული დანიშნულება თავიდანვე იქცა ფილოსოფიური მსჯელობის საგნად. სიტყვის როლის განსაზღვრა სამყაროს არსებობაში მთავარია ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის. ამ ფაქტს ფილოსოფოსები გააცნობიერებენ მხოლოდ მე-20 საუკუნეში.

იოანეს სახარების დასაწყისში („თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი...“) მოხსენიებული „სიტყვა“ კაცად მოვლენილი ღმერთი იესო ქრისტეა, ამას ადასტურებს იოანე მოციქულის პირველი წერილის შემდეგი ადგილი: „რადგან სამნი არიან, რომლებიც მოწმობენ ცათა შინა: მამა, სიტყვა და სულიწმინდა. და ეს სამი ერთია“ (ბიბლია, 2002:198).


საკრალური ღვთაებრივი გაგება სიტყვას ჰქონდა იოანე ღვთისმეტყველამდე. ძველი ბერძნული ენის ლექსიკონში ლოგოსს აქვს მეტონომიურად დაკავშირებული რამდენიმე ათეული მნიშვნელობა: სიტყვა, მეტყველება, თქმა, მსჯელობა, განსაზღვრა, გამონათქვამი, ანდაზა, წინასწარმეტყველება, ბრძანება, ხელისუფლება, დაპირება, მტკიცება, საბაბი, ამბავი, საუბარი, თხრობა, იგავი, თემა, საფუძველი, ვარაუდი, ახსნა, გონება (ДРС, 1958:1034). ლოგოსის ამ მნიშვნელობებს შორის არ გვხვდება საკრალური- ლოგოსი, როგორც სამყაროს წარმმართველი საწყისი. ძველ ფილოსოფოსთაგან ამ გაგებით ლოგოსი პირველად თავის მოძღვრებაში მთავარ ცნებად გამოიყენა ჰერაკლიტემ, რომელიც ამტკიცებდა იმას, რომ სამყაროში სიბრძნით წარიმართება ყოველივე. მარადიული სიბრძნე, ანუ ლოგოსი, სამყაროს ღვთაებრივი საწყისია. ლოგოსი უპირისპირდება მატერიას, რადგან არის იდეალური (Антология, 1969:275). რა კავშირშია ღვთაებრივი ლოგოსი ენასთან, სიტყვასთან? რატომ უწოდა ჰერაკლიტემ სამყაროს წარმმართველ ძალას ლოგოსი? ამაზე თავისებურ პასუხს ვპოულობთ სტოელებთან, რომლებმაც შემდგომში განავითარეს

ჰერაკლიტეს მოძღვრება. სტოელთა მიხედვით, მარადიული გონი, ცეცხლოვანი ლოგოსი, მოთავსებულია სამყაროს ცენტრში, საიდანაც იგი სწვდება მთელ ყოფიერებას. ყველაზე უფრო „ლოგოსი-ცეცხლი“ თავს იჩენს ადამიანის გონებაში და ნაკლებად -მატერიაში („მიონში“). ლოგოსი ინთება და ქრება და ყველაფერი განპირობებულია მისი კანონით, ანუ ბედისწერით. ბრძენი უკუაგდეს ვნებას და ემორჩილება ბედისწერას (Антология, 1969:485). თავისი მოძღვრების ამ ნაწილში სტოელები ლოგოსის ცნებას მოიაზრებენ საკრალურად. მაგრამ მათივე გაგებით, ადამიანის გონებაში მოცემული ლოგოსი ვლინდება მეტყველებაში. ამიტომ ლოგოსის კანონების შემსწავლელი დარგი-ლოგიკა უნდა სწავლობდეს ლოგოსს მეტყველებაში. ლოგოსის ნაწილებია: გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა (И.Л.У. 1980:181). ამგვარად, სტოელებთან ენა, გამოხატავს რა ლოგიკის ღვთაებრივ ენერგიას, თავად არის მისი განუყრელი ნაწილი.

აზრისა და ენის საკრალური კავშირის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან ეგვიპტელების ტოტის წმინდა წიგნებიც: „აზრი მამა-ღმერთია, სიტყვა შვილია მისი; ისინი განუყოფელად დაკავშირებული არიან მარადისობაში და მათი ერთობა არის სიცოცხლე. აზრი და სიტყვა ქმნიან ყოვლად ძლიერ ქმედებას(Гируцкий, 2001:14). უძველეს მითოლოგიაში მანიფისტირებული სიტყვისა და აზრის განუყრელობა სრულ თანხმობაშია თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ ძირითად პოსტულატთან: ენა განუყოფელია აზროვნებისაგან. ამრიგად, საკრალურ ტექსტებში „სიტყვა“ (ენა), „აზრი“ და „სამყარო“ ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ბიბლიურ ვერსიაში სიტყვის დანიშნულება ვლინდება სამყაროსთან მომართებაში, ხოლო მითოლოგიურში იგი გაიგება აზრთან კავშირში.

ძველბერძნული ფილოსოფიის მეტაფიზიკურ შინაარსს განაპირობებს ჭეშმარიტება „ყველაფერი მიედინება“, ჰერაკლიტეს ამ აღმოჩენას გაიზიარებს ყველა ფილოსოფიური სკოლა, მაგრამ თითოეული შემოგვთავაზებს განსხვავებულ ფილოსოფიურ გამოსავალს. ანტიკურ პერიოდში გამოიკვეთა სახელდების პრობლემაც, მაგრამ ძველი ბერძენი მოაზროვნეები განიხილავდნენ მას ფილოსოფიურად. პლატონის „კრატில்ში,“ ლინგვისტურად რელევანტური ინფორმაცია სიტყვებისა და საგნების დაკავშირების შესახებ განპირობებულია

სამყაროს მეტაფიზიკური გაგებით. პლატონის თანახმად, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ცოდნაზე, თუ ყველა საგანი მარად იცვლება და რამე არ რჩება თავის ადგილზე. მარადცვალებადი არ შეიძლება იყოს შემეცნებული, რადგან დაეწევა თუ არა მას შემეცნებლის აზრი, იგი უმაღლესი სხვა გახდება. (Платон, 1968:479) მაგრამ, რაკი შემეცნება მაინც არსებობს, არსებობს შესამეცნებელიც. მეცნიერება სწავლობს არა ფიზიკურ საგნებს, არამედ მარადიულ იდეებს. ადამიანის უშედეგო ხეტიანს საგანთა სამყაროში ბოლო ედება მაშინ, როცა სული თავის წმინდა, მარადიულ არსებობას უბრუნდება და არსთა ჭეშმარიტ ბუნებას ჭკრეტს. „სულის ამ წვდომასა და ზიარებას აზროვნებას ვეძახით ჩვენ,“- ამბობს „ფედონში“ სოკრატე (პლატონი, 1966:49). სულში (გონებაში) მოცემული მარადიული იდეები სულთან ერთად მარადიულ სამყაროს მიეკუთვნებიან. მარადიული არსები (ეიდოსები) თავის მსგავსად ქმნიან ფიზიკურ საგნებს. ყოველი საგანი მსგავსებით არის დაკავშირებული თავის არსთან (მარადიულ იდეასთან). ბგერებისაგან შემდგარი სიტყვები გამოხატავენ მარადიულ არსებს და აღნიშნავენ საგნებს. ამრიგად, საკრალურ და მითოლოგიურ წყაროებში მონიშნული სახელდების სტრუქტურა პლატონთან იღებს ტრიალულ სახეს.



პლატონთან სახელი მხოლოდ გამოხატავს არსს. მარადიული არსი არ შეიძლება იყოს ფიზიკური სიტყვის განუყოფელი ნაწილი. ამიტომ სახელი არ შეიძლება უკავშირდებოდეს საგანს არსის მეშვეობით. პლატონს არ ჰქონდა არჩევანი: უშინაარსო, მხოლოდ ბგერებისაგან შემდგარი სახელი საგანს შეიძლება დაკავშირებოდა მხოლოდ ფიზიკური მსგავსებით. „თუ სახელი კარგადაა დადგენილი, ის უნდა შეიცავდეს საგნის შესაფერის ბგერებს“ (Платон, 1968:479),- ამბობს პლატონის დიალოგების მთავარი გმირი სოკრატე და „კრატელში“ ცდილობს დაუკავშიროს ბგერები საგანთა თვისებებს. რადგან აკუსტიკურსა (სამეტყველო

ბგერები) და ვიზუალურს (ფიზიკური საგანი) შორის პირდაპირი მსგავსება შეუძლებელია, სოკრატე იშველიებს ბგერათა არტიკულაციას: ბგერა „r“ მე მეჩვენება ყოველგვარი მოძრაობის გამოხატვის საშუალებად. მე მგონი, კანონმდებელი ხვდება იმას, რომ ამ ბგერის წარმოთქმისას ენა არ რჩება უძრავად და ძლიერ თრთის, ხოლო „i“ მან გამოიყენა ყოველგვარი თხელის, წვრილის გამოსახატავად; „d“, „t“ წარმოთქმისას ენა იკუმშება, ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება შებოჭილობის გამოსახატავად. ბგერა „a“ კანონმდებელმა მიაკუთვნა უზარმაზარს (mega); „e“ - მარადიულს (mekos), რადგან ესენი გრძელი ბგერებია; o- სიმრგვლის გამოსახატავად“ (Платон, 1968:471). ამ ჩიხში მოქცეულ ეტიმოლოგიურ ანალიზს პლატონმა შეაღია მთელი თავისი და სოკრატეს შემეცნების უნარი, მაგრამ ამაოდ. ამას მოწმობს სოკრატეს აღიარება: „სასაცილოდ, მგონი, უნდა ჩანდეს ის, რომ ბგერათა მიბადვით საგნები ჩვენთვის სრულიად ნათელი გახდება. მაგრამ ეს გარდაუვალია, რადგან ჩვენ არაფერი გვაქვს უკეთესი პირველადი სახელების მართებულობის გასარკვევად“. (Платон, 1968, 471).

ოცი წელი გაატარა არისტოტელემ პლატონის აკადემიაში, მაგრამ უარყო მარადიული ეიდოსების არსებობა ზეცაში და მოაბრუნა ფილოსოფიური ძიება ფიზიკური სამყაროსკენ. „ჩვენ ვეძებთ არსებულის საწყისებსა და მიზეზებს“ (Аристотель, 1976:180),-გამოაცხადებს არისტოტელე თავის მიზანს ფილოსოფიაში. მარადცვალებად საგნებში პლატონის ყველაზე განთქმულმა მოსწავლემ გამოყო უცვლელი არსებითი ელემენტები- ფორმები და ამით შესაძლებელი გახადა საგნების შესწავლა. ფიზიკური საგნების ფორმები წარმოადგენენ გონებაში მოცემული წმინდა იდეების რეალიზაციას. საგანი წარმოიქმნება ფორმისა და მატერიის შეხამებით, ამიტომ იგი გაყოფადია. წარმოქმნილი და გაყოფადი არ შეიძლება იყოს მარადიული. საგანზე გადადის ფორმის სახელიც. წარმოიქმნება სპილენძის ან ქვის ბურთი და არა თავისთავად ბურთი, სპილენძი, ქვა. ბურთი არ მიეკუთვნება არც სპილენძს და არც ქვას, ეს უკანასკნელნი არ განსაზღვრავენ ბურთის არსს. ფორმის გარეშე მატერიაც გაურკვეველია და შეუმეცნებადი (Аристотель, 1976:207). მატერიის გარეშე გონებაში მოცემული ფორმები სამყაროს იდეალური საწყისებია: ისინი არც გაყოფადია, არც წარმოქმნადი, ამიტომ არიან მარადიული. ფორმები (წმინდა იდეები) ყოველგვარი

შემეცნების საფუძველია. იდეალური არსების (ფორმების) გარდა „კატეგორიებში“ არისტოტელე ლოგიკური ანალიზის გამოყენებით ადგენს ფიზიკურ არსებს-არსებულის ისეთ ელემენტებს, რომლებიც არ ითქმებიან რამეზე. „არსი ძირითადი, პირველადი და პირდაპირი გაგებით ისაა, რომელიც არ ითქმის არც ერთ ქვემდებარეზე და არ არის მოცემული არც ერთ ქვემდებარეში“ (Аристотель, 1978: 55). ასეთი არიან ერთეული ფიზიკური საგნები: ადამიანი, ცხენი, ხე, ქვა..., რომლებიც გამონათქვამში ყოველთვის იკავებენ სუბიექტის ადგილს. მათთან გამოყენებული ცნება მხოლოდ პრედიკატია. ცნება ითქმება კონკრეტულ საგანზე და არა პირიქით. ამიტომ ცნებები (სახეები და გვარები) მეორადი არსებია. სახელები არ მიეკუთვნებიან არც სულიერ (წმინდა იდეები, ცნებები), არც ფიზიკურ (საგნები) არსებს. პლატონის მსგავსად არისტოტელესთვისაც სიტყვა არ არის განუყრელად დაკავშირებული წმინდა იდეებთან და ცნებებთან. სიტყვა მხოლოდ გამოხატავს მარადიულ იდეებსა და ცნებებს და ასახელებს საგანს, ხოლო ფორმები და ცნებები განსაზღვრავენ ამ უკანსაკნელის რაობას (Аристотель, 1978:56). პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიაში არსებულს აქვს ორი- სულიერი და ფიზიკური- სახე, პირველი მარადიულია, მეორე (ფიზიკური სამყარო) შექმნილია ადამიანამდე. ადამიანს მიეკუთვნება მხოლოდ სიტყვა(ენა). ამიტომ არისტოტელე არ სვამს კითხვას, არის თუ არა შესაძლებელი იდეისა და საგნის არსებობა სიტყვის გარეშე. არისტოტელესთვის ენა არის მეტყველება ანუ სამტყველო ბგერებისაგან შემდგარი ფიზიკური ფორმა, რომელიც მხოლოდ ახმოვანებს აზრებს და ასახელებს საგნებს. ამას ადასტურებს „მეტაფიზიკის“ მეოთხე წიგნში ავტორის მიერ მოყვანილი გრამატიკის, დღევანდელი შეფასებით, უცნაური განმარტება: „არის რა ერთ-ერთი მეცნიერება, გრამატიკა სწავლობს მეტყველების ყველა ბგერას“ (Аристотель 1976:120). აღნიშნულის შემდეგ კანონზომიერად უნდა მივიჩნიოდ ის ფაქტიც, რომ „პოეტიკის“ მეოცე თავში დასახელებულ ყველა მეტყველების ნაწილს არისტოტელე უწოდებს ბგერას: ასო-ნიშანი არის გაუყოფელი ბგერა...; მარცვალი არის მნიშვნელობის უქონელი ბგერა... , სახელი არის რთული ბგერა, რომელიც არ გადმოსცემს დროს..., ზმნა არის რთული ბგერა, რომელიც გადმოსცემს დროს..., გამონათქვამი არის რთული მნიშვნელობის მქონე ბგერა, რომლის ნაწილებიც მნიშვნელობის მქონეა“ (Аристотель,1984:667-668).

მხოლოდ ბგერებისაგან შემდგარ ენას არ აქვს სემანტიკა. ამით შეიძლება ავხსნათ ისიც, თუ რატომ არ არსებობდა ანტიკურ პერიოდში ლექსიკოლოგია, ხოლო გრამატიკაში ჩართული იყო ფონეტიკაც.

პლატონთან სახელების სემიოტიკური ფუნქცია განპირობებული იყო იდეების, საგნებისა და სახელების ურთიერთმგავსებით: მარადიული იდეები (ეიდოსები) თავის მსგავსად წარმოქმნიან ფიზიკურ საგნებს, ხოლო “სიტყვის ოსტატები” ბგერობრივად ამგავსებენ სიტყვებს საგანებს. ურთიერთმიმართება იერარქიულია: იდეები საგნები სიტყვები.

არისტოტელესთან იდეები (სახეები და გვარები) მეორეული არსებია, ხოლო „პირველადი არსები“ არიან ფიზიკური საგნები. „რომ არ არსებულებოდა პირველადი არსები, შეუძლებელი იქნებოდა სხვა დანარჩენების არსებობაც“-ამბობს არისტოტელე „კატეგორიებში” (Аристотель; 1978: 56) და წარმოგვიდგენს იდეების, საგნებისა და სიტყვების სხვაგვარ იერარქიას:

საგნები → იდეები → სიტყვები.

წარმოდგენის სახით, რომელიც შეგრძნების საფუძველზე ჩნდება გონებაში და იკონურია ბუნებით, არისტოტელე გვთავაზობს მაკავშირებელ საშუალებას საგნებსა და იდეებს შორის (Аристотель; 1978:425). მისი კონცეფციის თანახმად, ფიზიკური საგნები წარმოდგენათა მეშვეობით იკონურად აისახებიან ადამიანის ცნობიერებაში, სადაც ინდუქციის (განზოგადების) შედეგად გარდაიქმნიებიან ცნებებად. წარმოდგენა გასაგებს ხდის საგნების, როგორც საწყისების „პირველადობას“ და ცნებების (სახეებისა და გვარების) მეორეულობას. მაგრამ არა მხოლოდ ამას, წარმოდგენა, რომელიც გადმოსცემს საგნის იკონურ სახეს, აკავშირებს საგანსა და სახელს. სახელებს არისტოტელე განმარტავს „როგორც ბგერათშეხამებებს, რომლებიც სულში არსებული წარმოდგენების ნიშნებია“, - და დასძენს, - „წარმოდგენების შესახებ ნათქვამი გვაქვს თხზულებაში სულის შესახებ, რადგან ისინი სხვა გამოკვლევის საგანია“ (Аристотель; 1978: 93). როგორც ვხედავთ, არისტოტელესთან სახელები შედგება მხოლოდ ბგერებისაგან, რადგან წარმოდგენები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ მათ არ მიეკუთვნება. ამრიგად, წარმოდგენათა მეშვეობით სამყარო

იკონურად აისახება აზროვნებაში, ეს უკანსაკნელი კი ზუსტად გამოიხატება მეტყველებაში. ამის გამო არისტოტელე მსჯელობის დროს არ აზუსტებს, რა აქვს მას მხედველობაში კონკრეტულ შემთხვევაში: საგანი, იდეა (აზრი) თუ სიტყვა, მაგალითად, „კატეგორიებში“: „კავშირის გარეშე თქმული აღნიშნავს ან არსს, ან „რამდენი“, ან „რომელი“, ან „რაიმესთან მიმართებას“, ან „სად“, ან „როდის“ ან „რომელიმე მდგომარეობაში ყოფნას“, ან „ფლობას,, ან „მოქმედებას“, ან „ვნებიანობას“(Аристотель, 1978:55). „კავშირის გარეშე თქმული“ გულისხმობს როგორც სიტყვას, ისე ცნებასაც. ტერმინებით „სახელი“ და „ზმნა“ არისტოტელე აღნიშნავს როგორც აზრის ნაწილებს ორგანონში: „ის, რაც წარითქმის, ზმნაა; ის, რის შესახებაც წარითქმის, სახელია“(Аристотель,1978:102;120), ისე შესაბამის მეტყველების ნაწილებსაც „პოეტიკაში“: „სახელი არის ბგერათმეხამება, რომელიც არ აღნიშნავს დროს და რომლის ნაწილები ცალკე არაფერს ნიშნავენ;ზმნა არის ბგერათმეხამება, რომელიც აღნიშნავს დროს და რომლის ნაწილები ცალკე არაფერს ნიშნავენ“ (Аристотель, 1984). ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ არნ. ჩიქობავა განიხილავს უცნაურ შემთხვევებს, როდესაც არისტოტელე საგნებს ანაცვლებს სიტყვებს: „საგნებიც წარითქმებიან“..., აგრეთვე ცნებებს: „საგნები არიან ნაწილობრივ ზოგადნი, ნაწილობრივ კერძობითნი.“ (ჩიქობავა, 1968:15;16). მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებენ იმაში, რომ ადამიანისთვის საგნები არ არსებობენ სიტყვებისა და ცნებების გარეშე. ამიტომ ანალიზის დროს მკვლევარმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ არ დაუშვას საგნების, ცნებებისა და სიტყვების აღრევა. არისტოტელეს ეგონა სხვაგვარად შემდეგი მიზეზების გამო:

1. პლატონი და არისტოტელე არ უარყოფენ კავშირს სიტყვებს, იდეებსა და საგნებს შორის, მაგრამ დაუშვებენ მათ ცალ-ცალკე არსებობას ადამიანისთვის.
2. პლატონმა დაიწყო მისტიკური ლოგოსის (სიტყვისა და აზრის ერთიანობის) დესაკრალიზაცია იმით, რომ მისტიკურად ცნო მხოლოდ აზრი, რომელიც მოსწყვიტა სიტყვას და ეიდოსების სახით არსებულად აღიარა მარადიულ ზეცაში. არისტოტელემ დაასრულა ლოგოსის დესაკრალიზაცია იმით, რომ უარყო აზრის (იდეის) მისტიკურობა.

3. ორივე ფილოსოფოსს ენა ესმოდა, როგორც ადამიანის მიერ წარმართული მეტყველება.
4. მხოლოდ ბგერებისაგან შემდგარ ენას არ აქვს საკუთარი სემანტიკა. ანტიკური ენა მოგვაგონებს ჭურჭელს, რომელიც ივსება დროებითი შინაარსით.
5. ანტიკური ფილოსოფოსებისთვის ენის მთავარი ფუნქცია მდგომარეობს აზრების გამოხატვასა და საგნებისა და მათი ნიშნების დასახელებაში. ამასთან, აზრებისა და საგნების არსებობა არაფრით არის დამოკიდებული ენაზე.
6. სახელები აღნიშნავენ საგნებს წარმოდგენათა მეშვეობით. წარმოდგენები არ მიეკუთვნება სახელებს. ცალკე სახელი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.
7. პირველადი არსები ორგვარია: სულიერი (მარადიული ფორმა-იდევები) და ფიზიკური (საგნები). ყოველგვარი არსი აღნიშნება სიტყვით.
8. ფიზიკური პირველადი არსები (საგნები) წარმოდგენათა მეშვეობით აისახებიან გონებაში, სადაც ინდუქციის შედეგად წარმოქმნიან მეორეულ არსებს-ცნებებს (სახეებსა და გვარებს).
9. ენა არ იღებს მონაწილეობას მეორეული არსების წარმოქმნაში.
10. ენა, როგორც ბგერითი ფორმა არ არის ერთგვარი მთლიანობა, იგი შედგება რვა ფუნქციურად და სტრუქტურულად განსხვავებული მეტყველების ნაწილისაგან.
11. მეტყველება არის წართქმული და წარუთქმელი: წართქმული მეტყველება შეიცავს მტკიცებას და არის წინადადება, მხოლოდ ეს უკანსაკნლი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. წინადადებას წარმოქმნიან სიტყვები, მაგრამ არა პირიქით.

აღნიშნულმა, ძირითადად არისტოტელეს ნააზრევმა, განსაზღვრა პირველი გრამატიკების სახე, რაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ორგანონისა“ და „მეტაფიზიკის“ პრინციპები საფუძვლად დაედო ყოველგვარ მეცნიერულ კვლევას. მე-17 საუკუნეში ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი აღნიშნავდა: „ისე, როგორც ალექსანდრმა დაიმორჩილა ყველა ხალხი,

არისტოტელემაც სძლია ყველა სხვა სწავლებას და დატოვა მეცნიერებაში ერთგვარი მონარქია.“(Фр.Бэкон,1971:219).

1.2 საგნების, სიტყვებისა და იდეების ურთიერთმიმართება ნეტარი ავგუსტინეს „წმინდა ჰერმენევტიკის საფუძვლებში“

I საუკუნიდან მოყოლებული ჯერ ზეპირი გადმოცემით, ხოლო შემდეგ წმინდა წერილებით სამყაროს ეუწყა ქრისტიანობა. წმინდა ავრელიუს ავგუსტინე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ქრისტიანობაში რწმენის აუცილებლობასთან ერთად საგანგებო ყურადღება მიაქცია წმინდა წერილების შინაარსის გაგებასაც. როგორც ქრისტიანი ეპისკოპოსი ის მოვალეობად მიიჩნევდა, ჯერ თავისთვის დაედგინა წმინდა წერილების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ გადაეცა იგი სხვებისთვის (Августин, 1835:13). ამ მცდელობას შედეგად მოჰყვა ქრისტიანული ფილოსოფიის დაარსება. „ჩვენ გვსურს ვიცოდეთ და გვესმოდეს ის, რისიც გვწამს“ (<http://antologiya>),- ავგუსტინეს მოსწავლის, ევოდის, ეს სურვილი გამოხატავს ყველა ქრისტიანი ფილოსოფოსის მიზანს. მართალია, გაგების მთავარ პირობად ავგუსტინე დაასახელებს რწმენას, მაგრამ ამით განსახილველად დაუშვებს რწმენისა და გაგების მიმართების პრობლემას. მასთან ღმერთი არის როგორც სიკეთის (ნეტარების), ისე ყოველგვარი ცოდნის წყარო. ამიტომ სწრაფვა ცოდნისკენ მიმართულია ღვთისკენ და წარმოადგენს სიკეთის შემეცნებას. სამყარო ერთიანია და მასში ყველაფერი განსაზღვრულია ღვთის ნებით. შემეცნებით ადამიანი აცნობიერებს სამყაროს ღვთაებრივ წესრიგს. ქრისტიანობამ დაუსახა ფილოსოფიას ახალი გზა: მხოლოდ ღვთის შემეცნებით მოიპოვება სამყაროს მიზეზი, სიკეთე და ჭეშმარიტება. „ყოველგვარი სიკეთე ღვთისგან არის“ (<http://antologiya>). რწმენაზე დაფუძნებულ გაგების ხელოვნებას წმინდა ავგუსტინე მიუძღვნის ნაშრომს „ქრისტიანული მეცნიერება ანუ საეკლესიო მჭევრმეტყველების წმინდა ჰერმენევტიკის საფუძვლები“. ავტორის თანახმად, წმინდა წერილების ტექსტი შეიცავს ღვთის ნებას, რომლის გასაგებად საჭირო არის პირველ რიგში სულის გაწმენდა და ამაღლება. „წმინდა

წერილების“ გაგების ხარისხი გამოხატავს ადამიანის სულიერებას. ის, ვინც აღიარებს სიმბოლოებს, მაგრამ არ იცის მათი მნიშვნელობა, არის სიმბოლოების მონა, ის, ვისაც ესმის სიმბოლოთა ზეგარდმო მნიშვნელობა, და აღიარებს მათ, თავისუფალია და სულიერი. ასეთები არიან პატრიარქები და წინასწარმეტყველები. (Августин, 1835:17). სულიერი ამაღლების გარდა, არსებობს წმინდა წერილების გაგების მეორე გზა-მეცნიერული, რომელიც იძლევა საშუალებას დავადგინოთ ნაწერის ჭეშმარიტი მნიშვნელობა: უხილავი მარადიულისა და სულიერის შესახებ ცოდნა ადამიანებმა შეიძლება მოიპოვონ გრძნობიერი საგნების მეშვეობით. საგნები შეიძლება გამოდიოდნენ ნიშნის როლში, როგორც ის ქვა, რომელიც იაკობმა შემოიღო თავქვეშ ან ცხოველი, რომელიც აბრაამმა შესწირა შვილის მაგივრად. (Августин, 1835:15). ავგუსტინე აკვირდება ნიშნებს სამყაროში და საგანგებოდ გამოყოფს ბუნებრივი ენის სიტყვებს. საგნებისაგან განსხვავებით სიტყვები მხოლოდ ნიშნებია, მათი დანიშნულებაა გამოხატონ საგნები. ამასთან, ყოველი ნიშანი საგანია, ანუ მასალით ფიზიკურია, მაგრამ ყოველი საგანი არ არის ნიშანი. რადგან სამყარო შედგება საგნებისაგან, რომლებიც შეიძლება იყვნენ ამავედროულად ნიშნებიც და ნიშნებისაგან, მეცნიერებთა ნაწილი სწავლობს საგნებს, სხვა- საგნების გამომხატველ ნიშნებს. მაგრამ პირველ შემთხვევაშიც ავგუსტინეს აზრით, „საგნებს ჩვენ ვსწავლობთ მათი გამომხატველი ნიშნების მეშვეობით“. (Августин, 1835:15). „ქრისტიანულ მეცნიერებაში“ ნიშნის განმარტება ასახავს ნიშანდების სამ კომპონენტს: 1. ნიშანს 2. საგანს 3. საგნის წარმოდგენას: „ნიშანი არის საგანი, რომელიც გრძნობიერებაზე თავისი იერით, ფორმით ზემოქმედების გარდა იწვევს ჩვენს გონებაში სხვა საგნის წარმოდგენას, ასე, მაგალითად, დავინახავთ რა ნაკვალევს, ჩვენ წარმოვიდგენთ ცხოველს, რომელმაც იგი დატოვა; კვამლის დანახვაზე წარმოვისახავთ ცეცხლს. (Августин, 1835:67). მაგალითად მოყვანილი ნიშნები ბუნებრივია, რადგან თავისთავად იწვევენ ჩვენში სხვა საგნების მენტალურ სახეს. ხოლო ნიშნები, რომლებითაც ცოცხალი არსებები ურთიერთშეთანხმებით გამოხატავენ თავიანთ გრძნობებსა და აზრებს-ხელოვნური არიან, მათი დანიშნულებაა გადასცენ და აღბეჭდონ სხვა ადამიანის სულში ის, რაც მოცემულია ნიშნის მიმწოდებელი ადამიანის გონებაში (Августин, 1835:69). ამგვარ ნიშანთა ერთობლიობას

წარმოადგენენ ადამიანური ენები, რომლებიც ასეთ შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ ხელოვნურად შექმნილი. ზოგიერთ შეგრძნების გამომხატველ ნიშანს ავგუსტინე დაუშვებს ცხოველებთანაც: მამალი რომ იპოვის საკვებს, იხმობს ქათამს, მამალი მტრედი კვნესით იხმობს დედალს. ნიშნების ნაწილი მიეკუთვნება ხედვას. (კომედიანტების ჟესტები, სამხედრო დროშები), სხვა- სმენას (სიტყვები, მუსიკალური ინსტრუმენტების ხმები) (Августин, 1835:70).

ანტიკური მოაზროვნეები ენის გამოყენებას უკავშირებდნენ ლოგიკური წესების დაცვას. გრამატიკა მათთვის იყო მხოლოდ ლოგიკის ნაწილი, ყველაზე ღირებულ ტექსტად კი ითვლებოდა მსჯელობა. წმინდა ავგუსტინე ენას განიხილავს უპირველესად, როგორც ღმერთთან დაკავშირების საშუალებას. ყველაფერი: ლოგიკა, გრამატიკა, ჰერმენევტიკა, რიტორიკა, ადამიანიც - პოულობს ღირებულებას უმაღლეს სიკეთესთან და ცოდნასთან მიმართებაში. წმინდა ავგუსტინე დაუშვებს იმას, რომ მლოცველმა შეიძლება არ იცოდეს, როგორ წარმოითქმება ესა თუ ის სიტყვა. ენობრივი სისწორე ხომ სხვა არაფერია, თუ არა მიბამვა წინათ მცხოვრები ადამიანთა მეტყველებისთვის (Августин, 1835:65). პირობითია სიტყვათა მნიშვნელობაც, მას ადგენენ წინასწარი მოლაპარაკებით ადამიანები. დადგენილთა შორის სიტყვების გარდა ავგუსტინე ასახელებს აგრეთვე წონის, ზომის, ფასის ნიშნებს, ასო-ნიშნებს, შემოკლების ნიშნებს, ხელოვნების ნიმუშებს, იგავებს, გადმოცემებს. ადამიანთა დადგენილებას აღემატება აზრთა შეერთების ლოგიკური ჭეშმარიტება, რომელიც წარმოადგენს ბუნების მარადიულ კანონს (Августин, 1835:139). ანტიკურ მოაზროვნეებთან შედარებით „ქრისტიანული მეცნიერების“ ავტორი განასხვავებს სწორი აზროვნების ნიჭსა და მჭევრმეტყველების უნარს: „მჭერმეტყველების წესები წარმოადგენენ უფრო სიტყვის გამოყენების ნიჭს, ვიდრე აზროვნების უნარს; დასკვნის გამოტანის, განმარტებისა და გამოყოფის წესები ქმნიან უფრო გონებას“ (Августин, 1835:146). მეცნიერებას მსჯელობის შესახებ შეუძლია დაგვეხმაროს „წმინდა წერილების“ ორაზროვანი ადგილების გარკვევაში, მაგრამ ავგუსტინე გვაფრთხილებს: „წმინდა ტექსტების ახსნა მხოლოდ გონებით სახიფათოა“ (Августин, 1835:208). „წმინდა წერილებში“ ორაზროვნობა გვხვდება ან საკუთარ სიტყვებში ან მნიშვნელობის გადატანის დროს. მაგალითად, „ლომი ნიშნავს ქრისტესაც და

მაცდურსაც, ანალოგიურად, გველი,პური“ (Августин, 1835:203). ბუნდოვანი ადგილების სწორად ამოსაკითხად „ქრისტიანული ჰერმენევტიკა“ გვთავაზობს კონკრეტულ ხერხებს: პირველ რიგში უნდა დავაკვირდეთ, სწორად თუ დავყავით სიტყვები მათი დალაგების მიხედვით და შესაბამისად თუ წავიკითხეთ. გაუგებრობის შემთხვევაში მივმართოთ ანალოგიას: მოვძებნოთ ტექსტში ისეთი ფრაგმენტები, სადაც გამოყენებულია ბუნდოვანი ნაწილების ადგილები, თუ ესეც დარჩა უშედეგოდ, მივმართოთ მესამე ხერხს: განვიხილოთ ბუნდოვანი ადგილები წინა და მომდევნო ნაწილებთან ერთად, და ბოლოს, უნდა დავყოთ ტექსტი ნაწილებად მასში გამოყენებული ცნებების მიხედვით (Августин, 1835:65).


წმინდა ავგუსტინე იყო ჰიპონიის ეპისკოპოსი, „წმინდა წერილების“ გაგებასთან ერთად მისთვის მნიშვნელოვანი იყო მათი შინაარსის სხვებისთვის გადაცემაც. ამიტომ ნაშრომის მეოთხე თავს ავტორი უთმობს საეკლესიო რიტორიკას, რომელიც წარმოადგენს ანტიკური რიტორიკის მსგავსად დარწმუნების ხელოვნებას. მაგრამ ძველბერძნული რიტორიკისთვის დარწმუნების საშუალება იყო ლოგიკური დასაბუთება: მჭევრმეტყველად ელინებში ითვლებოდა ის, ვინც პირველ რიგში აზროვნებდა ლოგიკურად. არისტოტელეს „რიტორიკა“ გვასწავლის ენთიმემების გამოყენებას. ავგუსტინეს კი თანახმად, დარწმუნება საჭიროებს „წმინდა წერილების“ ჭეშმარიტების ცოდნას. მჭევრმეტყველება მოჰყვება სიბრძნეს, რომელიც ღვთაებრივია. ანტიკური ორატორები ლაპარაკობენ ლოგიკურად გამართული, გასაგები ენით. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ენა ქარაგმულია და არ არის გასაგები ყველასთვის. ამიტომ წმინდა ავგუსტინე აღიარებს: კარგი არის არა ის მეთყველება, რომელიც ლამაზად ჟღერს, არამედ ის, რომელიც ავლენს ჭეშმარიტებას (Августин, 1835:275). უფრო მეტიც, იგი თვლის, რომ დამოძღვრის დროს მთავარია შევასწავლოთ საგანი, თუნდაც ზოგიერთი სიტყვის არასწორი გამოყენებითაც (Августин, 1835:277).

ამრიგად, ავგუსტინე არ მიიჩნევს ლოგიკას „წმინდა წერილების“ საკრალური შინაარსის ამოკითხვის საკმარის საშუალებად. ლოგიკური კანონები ბუნებრივია. ყოველივე ბუნებრივი მხოლოდ ნიშანია ღვთაებრივის. ლოგიკა ადგენს აზრის ჭეშმარიტებას ფიზიკური სამყაროს მიმართ, მაშინ როდესაც ავგუსტინე ეძებს უმაღლეს ჭეშმარიტებას, რომელიც დაფარულია ბუნებრივით. მას რჩება ერთი გზა-

მოძებნოს ფიზიკურ სამყაროში ღვთაებრივის არსებობის ნიშნები. ავგუსტინეს ნაშრომის სათაური ზუსტად გამოხატავს ავტორის მიზანს: „წმინდა ჰერმენევტიკის საფუძვლები“ საკრალური ტექსტის ამოკითხვის სახელმძღვანელოა და არა საზოგადოდ ყველა ტექსტის.

ავგუსტინეს ნიშნები იყოფიან ორად: 1. ბუნებრივ ნიშნებად- ღვთის მიერ შექმნილ ფიზიკურ საგნებად, რომელთა ნაწილი მიანიშნებს შემოქმედზე და 2. ხელოვნურ ნიშნებად- სიტყვებად, რომლებიც ადამიანების ურთირთმეთანხმების საფუძველზე აღნიშნავენ საგნებს. საგნები არ გამოდიან ნიშნების როლში ყოველთვის და ამ როლშიც ისინი არ გამოხატავენ მხოლოდ ღვთაებრივს, მიუხედავად ამისა გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ „წმინდა ჰერმენევტიკისათვის“ ბუნებრივი ნიშნები(საგნები) უფრო მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე ხელოვნური (სიტყვები).

უმაღლესი ჭეშმარიტება (ღმერთი) მიუწვდომელია გონებისთვის. ღვთაებრივის შესახებ გვაუწყებენ საგნები; „წმინდა ჰერმენევტიკაში“ სადმე არ ჩანს ცნება (იდეა) როგორც კომუნიკაციის აუცილებელი მონაწილე. სიტყვა- (ხელოვნური ნიშანი) უკავშირდება საგანს წარმოდგენის მეშვეობით.



„წმინდა ჰერმენევტიკის“ თვალსაზრისით, სახელდების ტრიადაში ყველაზე ღირებული კომპონენტია „საგანი“, რომელიც ღვთაებრივია წარმოშობით და თავადაც შეიძლება იყოს ღვთაებრივის გამოხატველი ნიშანი. სიტყვა ხელოვნური და მეორეულია (ნიშნის ნიშანია, თუკი აღსანიშნი საგანი თავად გამოიყენება ნიშნად). წარმოდგენა მენტალურად აკავშირებს სიტყვას საგანთან.

სახელდება ფიზიკური სამყაროს შემეცნების საფუძველია. „წმინდა ჰერმენევტიკაში“ ცნებებს(იდეებს) როგორც აზროვნების მთავარ კომპონენტებს გამოუჩნდა ალტერნატივა-ნიშნები (სიტყვები): „ეჭვგარეშეა, რომ საგნებს ჩვენ

ვსწავლობთ მათი გამომხატველი ნიშნების მეშვეობით“ (Августин, 1835:15). წმინდა ავგუსტინეს ამ გნოსეოლოგიურ აღმოჩენას სათანადო ყურადღება მიექცევა მხოლოდ მე-19 საუკუნეში ვ. ჰუნბოლდტთან და ჩ. პირსთან.

1.3 სახელების ადგილი კამათში უნივერსალიების შესახებ

ნაშრომში „კატეგორიები“ არისტოტელემ დაასახელა 10 უზოგადესი ცნება (კატეგორია): სუბსტანცია, რაოდენობა, თვისება, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, კუთვნილება, მოქმედება, ვნებითობა (Аристотель 1918:55), რომლებზედაც დაიყვანა არსებული. ასეთ შემთხვევაში სისტემურად მოწესრიგებული ადამიანთა აზროვნებაც უნივერსალურია, ხოლო არისტოტელეს კატეგორიები სამყაროს შემეცნების გონებრივი საფუძველია. ბუნებრივია ის ინტერესიც, რომელიც გამოიწვია არისტოტელეს ნაშრომმა მეცნიერულ სამყაროში. „კატეგორიებში“ უკეთ გარკვევის მიზნით პლოტინის მოწაფემ პორფირიუსმა დაწერა „შესავალი არისტოტელეს კატეგორიებისთვის“, რომელშიც შენიშნა: „მე არ შევეხები იმას, არსებობენ თუ არა გვარები და სახეები თავისთავად ან მხოლოდ გონებით არიან მისაწვდომი, და, თუ არსებობენ თავისთავად, აქვთ თუ არა მათ ცალკე არსებობა თუ ისინი მოცემული არიან გრძნობიერ საგნებში. ყოველივე ეს მოითხოვს სხვა, გაცილებით ფართო გამოკვლევას (Порфирий, 2017:313). პორფირიუსის შენიშვნამ სათავე დაუდო კამათს უნივერსალიების შესახებ, რომელიც გამჭოლ თემად ბოლომდე გაჰყვება შუა საუკუნეების ფილოსოფიურ დისკურსს. პლატონთან და არისტოტელესთან ზოგადი იდეები ცოდნისა და მარადისობის აუცილებელი ნაწილია. „მეტაფიზიკაში“ არისტოტელე წერს: „თუ ერთეული საგნების გარდა სხვა არაფერი არსებობს, ხოლო საგანთა რაოდენობა უსასრულოა, მაშინ როგორ შეიძლება მივაღწიოთ ცოდნას უსასრულო საგანთა შესახებ. ჩვენ ხომ ყველა საგანს შევიმეცნებთ იმდენად, რამდენადაც საგნებს აქვთ რაღაც ერთი და იგივე ზოგადი... თუ ერთეული საგნების გარდა არაფერი არსებობს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ არ არსებობს რამე გონებით მისაწვდომი, არამედ ყველაფერი აღიქმება მხოლოდ გრძნობიერებით და

არ არსებობს ცოდნა რაიმეს შესახებ. ასეთ შემთხვევაში ვერ იარსებებდა რაიმე მარადი და უძრავიც, რადგან გრძნობიერებით აღქმადი ყოველივე იმყოფება მოძრაობაში და წარმავალია (Аристотель, 1976:109). ამრიგად, „ზოგადი“ სამყაროს აუცილებელი ნაწილია, მაგრამ სად არსებობს და რას წარმოადგენს იგი?

პრობლემას ქმნიდა პლატონისა და არისტოტელეს განსხვავებული პასუხები დასმულ კითხვებზე: „ზოგადია“ მარადიულ ზეცაში არსებული იდეები, რომლებიც წარმოქმნიან ფიზიკურ საგნებს, და, ამასთან ერთად, „ზოგადი“ ადამიანთა გონებაში მოცემული მეორეული არსებია. პორფირიუსისგან განსხვავებით, რომელი ფილოსოფოსი ბოეციუსი შეეცადა გარკვეულიყო „ზოგადის“ (უნივერსალურის) პრობლემაში პლატონისა და არისტოტელეს თვალსაზრისების სინთეზირებით. ბოეციუსის თანახმად, არსებულთა შორის დასაბამიერი შეიძლება დავადგინოთ ორგვარად. საკუთარ თავთან და ბუნებასთან მიმართებაში (Боэций.1990:21). პლატონმა აღმოაჩინა არსებულის იერარქია: მარადიული იდეები (ეიდოსები) ↔ საგნები, რომელიც არისტოტელესთან მიიღებს შემდეგ სახეს: გვარები ↔ სახეები (განმასხვავებელი, საკუთარი, აქციდენტალური ნიშნები) საგნები. ჩვენთვის პირველია ის, რაც ყველაზე უფრო თვალში საცემია, ასეთია ინდივიდუალური საგნები, შემდეგ სახეები და ბოლოს გვარები. მაგრამ ბუნებაში, პირიქით, პირველია გვარები, რომელთაგან მიღებულ იქნენ სახეები. ამ უკანასკნელებმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცეს „განმასხვავებელ“, „საკუთარ“ და „აქციდენტალურ“ ნიშნებს. ამ იერარქიული მიმართების ბოლოში არიან ინდივიდუალური საგნები(Боэций, 1990:22). არისტოტელეს თანახმად, ინდივიდუალური საგნები ერთიანდებიან სახის იდეაში. სახის იდეები - გვარის იდეაში, მაგრამ პირიქით არის შეუძლებელი. ამის შემდეგ რომელი ფილოსოფოსი სვამს კითხვას: „აქვთ თუ არა გვარებსა და სახეებს დამოუკიდებელი არსებობა, თუ მათ წარმოქმნის გონება?(Боэций,1990:24). ბოეციუსი ცდილობს გადაწყვიტოს პრობლემა შემდეგი მსჯელობით: გვარი შინაარსით ზოგადია და ამიტომ საერთო მრავალი სახისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი გვარი მიეკუთვნება თითოეულ სახეს არა ნაწილებით, არამედ მთლიანად ერთსა და იმავე დროს. მაგრამ, თუ ერთი და იგივე გვარი ერთდროულად მიეკუთვნება მრავალ სახეს, იგი (გვარი) არ შეიძლება

იყოს ერთი. ხოლო თუ ერთი და იგივე არ არსებობს როგორც ერთი, იგი საერთოდ არ არსებობს. იგივე უნდა ითქვას სახის შესახებაც საგნებთან მიმართებაში. თუ გვარი რაოდენობით ერთია, ის არ შეიძლება მთლიანად მიეკუთვნებოდეს თითოეულ მრავალ სახეს. ხოლო თუ არსებობს მრავალი ერთი და იგივე გვარი, მაშინ ერთნაირი გვარების სიმრავლე შექმნის ახალ გვარს, რომელიც რიცხვით ისევ იქნება მრავალი და გონება გადავა უსასრულობაში (Боещия, 1990:25). ბოეციუსის აზრით, მოყვანილიდან შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ერთი დასკვნა: გვარი (ზოგადი იდეა) არ არსებობს როგორც ცალკე ობიექტი გონების გარეთ.

თუ გვარებსა და სახეებს წარმოქმნის გონება, მაშინ იგი ამას აკეთებს ან უსაგნოდ ან საგნის მეშვეობით. საგნებთან კავშირის გარეშე (უქვემდებაროდ) წარმოქმნილი გვარები და სახეები იქნება ცარიელი და მცდარი. ხოლო თუ გვარებისა და იდეების წარმოქმნა დაკავშირებულია საგნებთან, უნდა ვაღიაროთ, რომ გვარებიცა და სახეებიც არსებობენ საგნებში: „ხაზს ჩვენ მოვიაზრებთ გონებაში საგნისაგან ცალკე, მაშინ როდესაც საგნის გარეთ იგი შეუძლებელია“ (Боещия, 1990:27). ამიტომ „გვარები და იდეები არსებობენ ერთი, ხოლო მოიაზრებიან სხვა ფორმით.მაგრამ პლატონს ეგონა, რომ გვარები, საგნები და სხვა არა მხოლოდ მოიაზრებიან, არსებობენ სხეულების გარეთ. არისტოტელე კი მიიჩნევს, რომ ისინი (იდეები) მოიაზრებიან უსხეულოდ, მაგრამ არსებობენ გრძნობიერ საგნებში (Боещия,1990:29). ბოეციუსის ეს შეხედულება გაბატონდა შუა საუკუნეებში, იგი არ სცილდება პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევს, რომელშიც იდეებისა და საგნების გარდა ადგილი ეთმობა სახელებსაც. მაგრამ „კომენტარში“ იდეათა ბუნებას რომელი ფილოსოფოსი არკვევს მხოლოდ საგნებთან მიმართებაში. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბერძენი ფილოსოფოსებისთვის, რომელთა მიმდევარიც იყო ბოეციუსი, იდეები, საგნები და სახელები არ წარმოადგენდნენ შესწავლის თანაბარი მნიშვნელობის მქონე ობიექტებს.

არისტოტელეს გვარებსა და სახეებს იოანე დამასკელი “ფილოსოფიურ თავებში“ განიხილავს სახელების როლის გათვალისწინებით, რადგან ქრისტიანი ფილოსოფოსისთვის „საგნები ისწავლება ნიშანთა მეშვეობით“ (Августин, 1835:15) და ამიტომ „მეცნიერებაც არის სიტყვიერი ხელოვნება“(Дамаскин, 2002:57). მხოლოდ

მარტივი სიტყვებით შეიძლება მარტივი ცნებებით ვიმსჯელოთ მარტივ საგნებზე და დავადგინოთ ის, რასაც სწავლობს ფილოსოფია- არსებულის ბუნება (Дамаскин, 2002:57).

არისტოტელეს თანახმად, განმასხვავებელი იდეები აერთიანებენ ინდივიდუალურ საგნებს (სოკრატე, პლატონი... არიან მოაზროვნეები), სახეები - განმასხვავებელ იდეებს (მოაზროვნეები არიან ადამიანები), გვარები- სახეებს (ადამიანები არიან ცოცხალი არსებები). ამ იერარქიაში გვარები უზოგადესი ცნებებია, რომლებიც სრულიად ინაწილებენ, ამოწურავენ არსებულს და არ დაუშვებენ მათზე უფრო ზოგად სხვა კატეგორიებს. მაგრამ, რაკილა „არსებული“ გამაერთიანებელი ნიშანია კატეგორიების (თითოეული კატეგორია ნაწილია არსებულის), გამოდის, რომ „არსებული“ ზეკატეგორიაა, რომელშიც შედიან არისტოტელეს კატეგორიები. იდეათა განხილვაში სახელების შემოტანით იოანე დამასკელმა გადაწყვიტა კატეგორიების ერთიანობის პრობლემა: „არსებული არის ზოგადი სახელი ყოველივე არსებულის“ (Дамаскин, 2002:58) - მიიჩნევს „ფილოსოფიური თავების“ ავტორი. ამიტომ იგი, „არსებული“, აერთიანებს ყოველივეს, მაგრამ თავად ვერ ქმნის კატეგორიას. განსახილველ ნაშრომში ვხვდებით არისტოტელეს „კატეგორიების“ თავისებურ ლინგვისტურ ინტერპრეტაციას. იოანე დამასკელის თანახმად, ბგერა შეიძლება იყოს აღმნიშვნელი და არაღმნიშვნელი; დანაწევრებული და დაუნაწევრებელი. დასახელებული თვისებების სხვადასხვა შეხამება ახასიათებს ყველა რეალურ ბგერას: დაუნაწევრებელ არაღმნიშვნელ ბგერას გამოსცემენ უსულო საგნები, (ხე, ქვა...) ; დანაწევრებული არაღმნიშვნელი ბგერები შეიძლება ხელოვნურად გამოსცეს ადამიანმა, მაგალითად, „სკინდაფსი“; აღმნიშვნელი დაუნაწევრებული ბგერებია ძაღლის ყეფა; აღმნიშვნელ დანაწევრებულ ბგერებს წარმოადგენს მეტყველება. ფილოსოფია არ განიხილავს დაუნაწევრებელ და არაღმნიშვნელ ბგერებს, მაგრამ არც ყოველგვარ დანაწევრებულ აღმნიშვნელ ბგერებსაც. აღმნიშვნელი ბგერა შეიძლება იყოს ზოგადი („ადამიანი“) და კერძო (პეტრე, პავლე). ფილოსოფია განიხილავს აღმნიშვნელ დანაწევრებულ განზოგადებულ ბგერას, რომელიც წარითქმება მრავალი საგნის შესახებ(Дамаскин,2002:60). იოანე დამასკელის “ფილოსოფიური ბგერა” (ლ.გ) თავის

მხრივ შეიძლება იყოს არსებითი: გამოხატავს სუბსტანციას ან საგანთა ბუნებას და თანაარსებითი: გამოხატავს სხვადასხვა აქციდენციას. გამონათქვამში „ადამიანი არის მოკვდავი გონიერი ცოცხალი არსება“ ყველა ბგერა(სიტყვა) არსებითია, რადგან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში „ადამიანი“ იქნება შეუძლებელი. მაგრამ „თეთრი იქნება ვინმე თუ შავი, იგი მაინც იქნება ადამიანი“(Дамаскин, 2002:60).

არისტოტელეს „ორგანონში“ ტერმინები „არსი“, „პირველადი არსები“, „მეორეული“ არსები“, „გვარები“, „სახეები“, „აქციდენციები“ ამბივალენტურია: ერთ შემთხვევაში ისინი გულისხმობენ აღსანიშნებს (არსებულის ობიექტებს), მაგალითად: „მეორად არსთაგან სახე უფროა არსი, ვიდრე გვარი, რადგან ის უფრო ახლოა პირველად არსთან. მართლაც, პირველადი არსის ახსნისას მიუთითებენ სახეზე და არა გვარზე“ (არისტოტელე 1978:57). სხვა შემთხვევაში განსახილველი ტერმინები გულისხმობენ ნიშნებს: „რაც შეეხება პირველად არსებს, უდავოა, რომ თითოეული მათგანი აღნიშნავს გარკვეულ რამეს. ის, რასაც იგი გამოხატავს, არის რაღაც ერთეული, რიცხვით ერთი. რაც შეეხება მეორეულ არსებს, სახელდების ფორმის გამო გეგონება, თითქოს ისინიც მსგავსად აღნიშნავენ გარკვეულ რამეს, როდესაც გვატყობინებენ „ადამიანის“ ან „ცოცხალი არსების“ შესახებ, მაგრამ ეს არ არის სწორი. ისინი უფრო აღნიშნავენ გარკვეულ თვისებას, რადგან პირველადი არსებისაგან განსხვავებით, ქვემდებარე ამ შემთხვევაში არ არის ერთი. ბევრის შესახებ იტყობინება, რომ ისინი ადამიანები და ცოცხალი არსებები არიან“ (Аристотель, 1978:59). უნდა აღვნიშნოთ, რომ „პირველადი არსი“ როგორც ერთეული საგანი არ შეიძლება იყოს თავისი თავის ნიშანი: ნიშანი არ შეიძლება აღნიშნავდეს თავის თავს. „პირველადი არსი“ შეიძლება იყოს ერთეული საგნის ნიშანი მხოლოდ როგორც სიტყვა. „კატეგორიების“ ერთ-ერთი მთავარი დებულება „პირველადი არსი არ არის მოცემული ქვემდებარეში და არც ითქმება ქვემდებარის შესახებ“(Аристотель, 1978:58) მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ჭეშმარიტი, თუ „პირველად არსში“ იგულისხმება ერთეული საგანი და არა სახელი. პირველადი არსი წარმოადგენს სუბსტანციას-ცალკე არსებულს, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს მოცემული რამეში და გამონათქვამში უნდა გამოდიოდეს როგორც ქვემდებარე. მაგრამ, თუ პირველად არსში იგულისხმება არა ერთეული საგანი, არამედ თქმა (სახელი), მაშინ იგი

(პირველადი არსი) შეიძლება გამოიყენებოდეს პრედიკატშიც, მაგალითად, „მაგიდა როგორც ერთეული საგანი პირველადი არსია“. მოყვანილ გამონათქვამში „პირველადი არსი“ არ აღნიშნავს პირველად არსს, არამედ არის თქმა (სახელი), რომელიც გამოხატავს პირველადი არსების (ცალკე საგნების) კლასს, ცნებას. არისტოტელე წერს: „ქვემდებარის შესახებ აუცილებლად წართქმება სახელიცა და ცნებაც“ (Аристотель, 1978:56), ანუ პრედიკატულ და სემიოტიკურ ფუნქციებს სახელები და ცნებები ასრულებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ანტიკური ფილოსოფოსები აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ სახელები გამოხატავენ ცნებებს და აღნიშნავენ საგნებს, მაგრამ დაუშვებდნენ სახელების, ცნებებისა და საგნების ცალ-ცალკე არსებობას. მხოლოდ ამ პირობის დაშვებით არისტოტელეს შეეძლო ელაპარაკა პირველად და მეორეულ არსებზე. არისტოტელესეულ იერარქიაში: „პირველადი არსები“ (ფიზიკური საგნები) „მეორეული არსები“ (განმასხვავებელი ცნებები სახეები გვარები) ცალკე ადგილი არ ეთმობა სახელებს. ანტიკური ფილოსოფია გამორიცხავდა კითხვას: არიან თუ არა შესაძლებელი „პირველადი“ და „მეორეული“ არსები სახელების გარეშე?

ქრისტიანი ფილოსოფოსები სამყაროს ღვთაებრივი ბუნების ასახსნელად უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ყოველგვარ ნიშნებს და, კერძოდ, სიტყვებსაც. იოანე დამასკელიც გვთავაზობს განვიხილოთ ცნებები (გვარი, სახე, განსხვავება, ნიშანი, აქციდენცია) როგორც სახელები: „ასეთია ხუთი სახელი, რომელზედაც დაიყვანება ყოველი ფილოსოფიური სახელი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას აღნიშნავს თითოეული მათგანი, რაში ემსაგვსებიან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან (Дамаскин, 2002:62). ცნებებსაც იგი განმარტავს სახელებზე დაყრდნობით: „გვარი არის ის, რაც გამოითქმება და სახელდება სახით განსხვავებულ მრავალ საგანზე და მიუგებს კითხვას: რა არის საგანი; ... სახე არის ის, რაც გამოითქმება რიცხვით განსხვავებულ მრავალ საგანზე და მიუგებს კითხვას: რა არის საგანი; აქციდენცია არის ის, რაც გამოითქმება სახით განსხვავებულ მრავალ საგანზე და მიუგებს კითხვას „როგორია საგანი?“ (Дамаскин, 2002; 63). მაგრამ ფიზიკური საგნის არსებობას დამასკელი დაუშვებს სიტყვისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ ინდივიდუალურის ანუ „პირველადი არსის“ განმარტება მასთან არ ეფუძნება სახელს: „ ინდივიდუალური

არის ის, რაც ხორციელდება თავისთავად სუბსტანციისა და აქციდენციისაგან და არსებობს მსგავსისაგან ცალკე“ (Дамаскин, 2002:66).

ფრანგმა ფილოსოფოსმა როსცელინმა უნივერსალების სახელებთან მიმართების პრობლემა გადაწყვიტა განსხვავებულად: სახეები და გვარები მან გააიგივა სახელებთან. უნივერსალებზე კამათის ისტორიაში ზოგადი იდეების ონტოლოგიური და, სხვა მიჩნევით, გნოსეოლოგიური ბუნება შეიცვალა ლინგვისტურით. ამგვარი დაშვება ბადებს შემდეგ უხერხულობას: რაკილა ენა იმხანად გაიგებოდა როგორც აზრის გამომხატველი ფიზიკური ფორმა, რომელსაც არ აქვს საკუთარი სემანტიკა, როსცელინის სიტყვებთან გატოლებული უნივერსალებიც წარმოადგენენ მხოლოდ ბგერათა ნომინაციებს- ფიზიკურ ფორმებს. შინაარსის გარეშე ფიზიკური სიტყვა ვერ გააერთიანებს ფიზიკურ საგნებს, გ.ლაიბნიცის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორი ნივთი არ შეიძლება იკავებდეს ერთსა და იმავე სივრცეს“ (Лейбниц, 1982:100). გაერთიანება შეუძლია ნიშანს, ხოლო ნაშნად ბგერა იქცევა მხოლოდ იდეის (შინაარსის) გაჩენით (Пирс,2000:48). ქრისტიანი ფილოსოფოსების ნააზრევის ჭეშმარიტებას საბოლოოდ განსაზღვრავდა მიმართება ბიბლიასთან. თუ ზოგადი მხოლოდ ენობრივია (ფიზიკური), მაშინ, როსცელინის თანამხად, ქრისტიანული წმინდა სამება: მამა, ძე, წმინდა სული არ წარმოადგენს ერთობას, არამედ სამ დამოუკიდებელ სუბსტანციას თანაბარი ძლევამოსილებითა და ნებით (Шишков,2016:136). ბუნებრივია, რომ ეკლესიის მიერ როსცელინის ნომინალიზმი გამოცხადდა აკრძალულად. ბიბლიურ დოგმატიკას უფრო შეეფერებოდა ქრისტიანული ფილოსოფიის სხვა მიმართულება- რეალიზმი და, კერძოდ, უკიდურესი რეალიზმი, რომლის წარმომადგენელი გილიომი შამპოდან ზოგადის არსებობას მთლიანი სახით დაუშვებდა ინდივიდუალურ საგნებში (<http://www.agnuz...>; Антология мировой, 1969:795). სხვა ფრანგმა ფილოსოფოსმა პეტრე აბელიარმა კრიტიკულად შეაფასა როგორც როსცელინის ნომინალიზმი, ისე გილიომის რეალიზმიც და ჩამოაყალიბა უნივერსალების კონცეპტუალისტური თეორია, რომლის თანახმად, უნივერსალია არ შეიძლება წარმოადგენდეს ბგერით ნომინაციას, რომელიც ფიზიკურია და ინდივიდუალური. ყოველგვარი ფიზიკური საგანი არსებობს მანამდე, ვიდრე ის ადამიანის მიერ იდეის მეშვეობით იქნება

წართქმული. ზოგადი იდეები (უნივერსალიები) და ინდივიდუალური ფიზიკური საგნები განსხვავდებიან ბუნებით, რაც თავს იჩენს მათი გამონათქვამში გამოყენების დროსაც. ინდივიდუალური საგნის აღმნიშვნელი სიტყვა არ შეიძლება იდგეს პრედიკატის პოზიციაში, ხოლო უნივერსალია(გვარი, სახელი) ინდივიდუალურ საგანთა მიმართებაში ყოველთვის პრედიკატია. არისტოტელეს ათ კატეგორიას (=გვარებს) პეტრე აბელიარი უწოდებს „პრედიკამენტებს“ ანუ პირველად შემასმენლებს (<http://www.agnuz>). უნივერსალიები გამოიხატებიან სიტყვებით, მაგრამ არ არიან სიტყვები, ისინი განსაზღვრავენ საგნებს და ამიტომ არ შეიძლება იყონ საგნები. ფიზიკური საგნების აღქმის დროს გონება აფიქსირებს მათი მსგავსების მდგომარეობას (status) და ამის საფუძველზე აყალიბებს ზოგად ცნებებს (საგანთა მენტალურ სიმრავლეებს), რომლებიც არც ნაწილია და არც არსი ინდივიდუალური საგნების. ამრიგად, ზოგადი იდეის წარმომქმნელი მიზეზი-საგანთა მსგავსების მდგომარეობა (status) მოცემულია ბუნებაში, ხოლო თავად იდეა (უნივერსალია) წარმოიქმნება და არსებობს მხოლოდ გონებაში(<http://www.agnuz...>).

ქრისტიანულ ფილოსოფიაში ჩამოყალიბებული უნივერსალიების პრობლემა გადასაწყვეტად საჭიროებდა ურთიერთმიმართების გარკვევას იდეებს, საგნებსა და სახელებს შორის. ტრიადაში „იდეები - საგნები-სახელები“ შუა საუკუნეებშიც მთავარი ყურადღება ეთმობოდა იდეებს, რამაც იჩინა თავი პრობლემის ფორმულირებაშიც: „ უნივერსალიების (იდეების) პრობლემა“. შუა საუკუნეების ფილოსოფიისთვის აღნიშნული პრობლემა არ შეიძლება ყოფილიყო მეორეხარისხოვანი, რადგან იგი გულისხმობდა მთავარ ფილოსოფიურ პრობლემას: რა არის არსებული?

ძველი ბერძენი და ქრისტიანი ფილოსოფოსებისთვის არსებული არ შემოიფარგლებოდა ფიზიკურით. სულიერი, რომელიც განსაზღვრავს და აწესრიგებს ფიზიკურს, ადამიანს ეძლევა იდეათა სახით. კატეგორიების (უზოგადესი გვარების) დასახელებით არისტოტელემ ფიზიკური უსასრულობა მოაქცია გნოსეოლოგიურ საზღვრებში. ინდივიდუალური საგნები ჩნდება, იცვლება და ქრება, მაგრამ მათი კატეგორია უცვლელი რჩება. ის, რაც უცვლელია, მარადიულია, სულიერი, ღვთაებრივი. პლატონთან და არისტოტელესთან საგნების შესწავლა შეიძლება

მხოლოდ მათი იდეალური არსების (იდეების) შემეცნებით. ანტიკური თვალსაზრისის თანახმად, სამყაროს შესწავლის პროცესში სახელები არ იღებენ მონაწილეობას. მართალია, ისინი გამოხატავენ იდეებს და აღნიშნავენ საგნებს, მაგრამ არ არიან განუყრელად დაკავშირებული ამ უკანასკნელებთან: იდეები, საგნები და სახელები არსებობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში უნივერსალიებზე კამათში დაძლეულ იქნა ძველბერძნული კონცეფცია, რომლის თანახმადაც, იდეა ფიზიკური საგნის არსია. აბელიარის თეორიაში იდეა (ცნება) წარმოადგენს საგანთა კლასს.

თავი II. სახელის რაობისათვის ლოგიკისტურ გრამატიკაში

2.1 სახელის დიონისესეული განმარტება ანტიკურ გრამატიკაში

წიგნში „ზოგადი ენათმეცნიერება“ ლ.ხალვაში წერს: ტრადიციული გრამატიკა ყალიბდებოდა ფილოსოფიისა და ლოგიკის მუდმივი კარნახით. ფილოსოფიას და ლოგიკას აინტერესებდათ ჭეშმარიტება, რომელიც დგინდება წინადადებაში. ამიტომ ტრადიციული ლოგიზირებული გრამატიკაც სწავლობდა წინადადებას არა რეალურ გამოყენებაში (კომუნიკაციაში), არამედ ლოგიკის კარნახით- სუბიექტისგან მოწყვეტით.

ტრადიციული გრამატიკა წინადადებებს სწავლობდა ძირითადად პრედიკაციის თვალსაზრისით. თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა კომუნიკაციის პრინციპების გათვალისწინებით შექმნას ახალი ტიპის გრამატიკა“. (ხალვაში, 2014:377,378).

მეცნიერების ყველა დარგი ეფუძნება ჭეშმარიტ დებულებებს, გრამატიკის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ჭეშმარიტებად აღიარებულია არსებითი სახელის რეფერენციული განმარტება, რომლის თანახმად ეს მეტყველების ნაწილი გამოხატავს საგანს. ევროპულ ლინგვისტურ ტრადიციაში არსებითი სახელის ამგვარ გაგებას არ აქვს ალტერნატივა. განსხვავება დეფინიციათა შორის სხვადასხვა გრამატიკულ წყაროში ეხება სიტყვიერ გამოხატვას და არა კონცეპტუალურ მხარეს: „არსებითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელსაც საგნობრივი წარმოდგენა ახლავს.... საგნობრიობა - აი არსებითი სახელის ნიშანი, მისი ნიშანდობლივი მხარე“. (შანიძე, 1980:36); „არსებითი სახელი მეტყველების ნაწილია, რომელიც აერთიანებს საგნობრიობის გამომხატველ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ მას რიცხვის, განსაზღვრულობა - განუსაზღვრელობის, ბრუნვის, კუთვნილების კატეგორიებით“. (Кожонов, 1956:64); „როგორც მეტყველების ნაწილი არსებითი სახელი გამოიყოფა სამი ნიშნის საფუძველზე: სემანტიკურის, მორფოლოგიურისა და სინტაქსურის. სემანტიკური ასპექტით არსებითი სახელი აღნიშნავს სუბსტანციებს, ესე იგი სულიერ არსებებს, ნივთიერებებს“ - წერს „ფრანგული ენის თეორიული გრამატიკის“ ავტორი ვ.გაკი. (Гак, 1986: 67, 68). „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკის“ ავტორი მ. ბლოხი

არსებითი სახელის საგნობრივ მნიშვნელობას უკავშირებს ამ მეტყველების ნაწილის უპირატესობას სახელდებაში: „არსებით სახელს, როგორც მეტყველების ნაწილს, აქვს სუბსტანციის ან საგნობრიობის კატეგორიალური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ არსებითი სახელი მეტყველების ნაწილთა ძირითადი ნომინატივია“ (Блох, 2004: 49-50). კემბრიჯში გამოცემული რ. ჰადლესტონისა და ჯ. პალამის ინგლისური ენის გრამატიკაში ვკითხულობთ: „Noun: a grammatically distinct category of words which includes those denoting all kinds of physical objects, such as persons, animals, and inanimate objects. (არსებითი სახელი გრამატიკულად განსხვავებული სიტყვების კატეგორიაა, რომელიც მოიცავს ყველა სახის ფიზიკურ ობიექტს, მაგალითად, ადამიანები, ცხოველები, უსულო საგნები) (Huddleston, Pullum, 2007:83).

სახელის განმარტებას საგანზე მითითებით პირველად ვხვდებით დიონისეს ნაშრომში Τεχνική γραμματική (Tehne grammaticke) : „სახელი ბრუნებადი მეტყველების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს სხეულს ან საგანს (უსხეულოს), მაგალითად: ქვა, აღზრდა“ (И.Л.У 1980:216). წარმოადგენს თუ არა მოყვანილი განმარტება ალექსანდრიელი გრამატიკოსის წინადადებაში სახელის გამოყენებაზე დაკვირვების შედეგს? თუ მხედველობაში მივიღებთ ფუნქციას და არა ფორმას, მაშინ დასმულ კითხვაზე უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი, რადგან ძველ ბერძნულ ენაში ისე, როგორც თანამედროვე ენებშიც, სახელი საგანთან ერთად აღნიშნავდა ადგილსაც და დროსაც, მაგალითად: ἡμερας „დღისით“, νυκτος „ ღამით“, δευτεριαις „მეორე დღეს“, οχιατος „წყვდიადში“, ἐξ' ἀριστερᾶς „მარცხნიდან“; τριτατοι αφικοντο εις την παλιν „მესამე დღეს ისინი მოვიდნენ ქალაქს“. მაგალითები მოგვყავს აკაკი ურუშაძის წიგნიდან „ძველი ბერძნული ენა“. ავტორი გამოყოფს სახელებში ლოკალური მნიშვნელობის სუფიქსებს: „სუფიქსი -i ადგილობითი (ლოკალური) ბრუნვის მაწარმოებელი ელემენტი იყო. მისგან წარმოებული ფორმები ზმნიზედებად იქცნენ. - i იხმარება მხოლოდით რიცხვში, მრავლობითში მას ენაცვლება სუფიქსი -σι“: Μαραθωνι „მარათონში“, “Μεγαροι” „მეგარაში“, ἐν Αθηνηι „ათენში“, Ὀλυμπιαδι „ოლიმპიაში“ (ურუშაძე, 1987: 115, 116). დიონისეს გრამატიკაში არც ის ფაქტი არის ასახული, რომ ძველ ბერძნულ ენაში სახელი, როგორც ყველა ენაში, გამოიყენებოდა

შემასმენლის სახელად ნაწილად (nomen preadicati): ἔργον οὐδὲν δεῖδιος “შრომა არაა სირცხვილი“ (ურუშაძე, 1987:301). თავის გრამატიკაში დიონისე არ განასხვავებს არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს, მაგრამ ზოგად სახელს მიაკუთვნებს მხოლოდ საგნობრიობის მნიშვნელობას, რაც ეწინააღმდეგება ენობრივ ფაქტებს:

ἄγᾶτον (სიკეთე)-ἄγᾶτος (კეთილი)

ἄνθρωπος (ადამიანი) - ἄνθρωπινος (ადამიანური)

ἀρχή (დასაწყისი) - ἀρχαίος (დამწყები)

ἄγρος (მინდორი)- ἄγριος (მინდვრის)

(ურუშაძე, 1987: 377)

ამასთან, განსახილველ განმარტებაში დიონისე განასხვავებს ფიზიკურ საგანს (ქვა) მენტალურისაგან (აღზრდა); ფიზიკური საგნების (პირველადი არსების) და ცნებების (მეორეული არსების) განსხვავებას „კატეგორიებში“ ყურადღებას აქცევდა არისტოტელე, რომელიც ადგენდა ფიზიკური საგნების (პირველადი არსების) აღმნიშვნელი სიტყვების ადგილს მსჯელობა-აზრში. არისტოტელეს თანახმად, თუ მსჯელობაში წარმოდგენილია ფიზიკური საგნებისა და ცნებების (სახე,გვარი) აღმნიშვნელი სიტყვები, ქვემდებარის (სუბიექტის) როლში ყოველთვის გამოდიან პირველნი, რადგან ცნება ითქმის კონკრეტულ საგანზე და არა, პირიქით, კონკრეტული საგანი ცნებაზე. ამრიგად, პირველადი არსი (ფიზიკური საგანი) მსჯელობაში „არ ითქმის არც ერთ ქვემდებარეზე და არ არის მოცემული არც ერთ ქვემდებარეში“ (Аристотель, 1978: 55).

მეცნიერების ყველა დარგი წარმოადგენს თეორიას, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს აქსიომებსაც. არ იქნება დიდი გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ განმარტება „ არსებითი სახელი არის სიტყვათა კლასი, რომელიც აღნიშნავს საგანს“ გრამატიკულ აზროვნებაში დიდი ხანია ითვლება ერთგვარ აქსიომად. ხანდაზმულობით იგი შეიძლება გავუტოლოთ წინადადების ცნობილ განმარტებას: „წინადადება არის სიტყვათა შეხამება, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს“. ორივე განმარტება წარმოდგენილია პირველ ევროპულ გრამატიკაში დიონისესთან.

რაკილა შევადარეთ დღეს გრამატიკაში ფართოდ დამკვიდრებული წინადადებისა და არსებითი სახელის დეფინიციები, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე მეცნიერებმა დაადგინეს წინადადების დიონისესეული განმარტების მცდარობა და ცდილობდნენ მის გასწორებას, ამ პრობლემის კრიტიკული ანალიზი მოცემულია არნოლდ ჩიქობავას ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. რაც შეეხება განმარტებას „არსებითი სახელი არის სიტყვათა კლასი, რომელიც აღნიშნავს საგანს“, არავის გასჩენია ეჭვი მისი ჭეშმარიტების მიმართ. ჯერ რომაელ ავტორებთან, მარკ ვარონთან, ელიუს დონატუსთან, პრისციანთან, ხოლო შემდეგ არაბ გრამატიკოსებთანაც აქსიომად მიღებული განსახილველი განმარტება გვიან შუა საუკუნეებში განმეორდება ევროპულ გრამატიკებშიც და ამგვარად მოაღწევს ჩვენამდე. ჩვენ არ შეგვხვედრია არც ერთი გრამატიკული წყარო, რომელშიც არსებითი სახელი იყოს განმარტებული განსხვავებულად. დიონისეს გრამატიკიდან მოყოლებული ყველა თანამედროვე გრამატიკის ჩათვლით საგნობრიობა დასახელებულია არსებითი სახელის მთავარ ნიშნად.

დიონისესეულ სიახლეს წარმოადგენს ფიზიკურ საგანთან, ავტორის ტერმინოლოგიით, „სხეულთან“ (ქვა) ერთად „უსხეულო საგნის“ (აღზრდა) გამოყოფა. „უსხეულო საგანი“ (აღზრდა) იდეაა, ცნება, რომელსაც არ მოეპოვება შესატყვისი ფიზიკური საგანი სამყაროში. ნაშრომში „სულის შესახებ“ არისტოტელე წარმოდგენებს უწოდებს “ შეგრძნების საგნებს ოღონდ მატერიის გარეშე“ (Аристотель, 1976:440), მაგრამ სადმე არ მოიხსენიებს საგნებად იდეებს. განყენებულ ცნებებს: „აღზრდა“, „ცოდნა“, „მიმართება“, „კმაყოფილება“, „სიზუსტე“, „სიუხვე“... არ აქვთ პირდაპირი კავშირი ფიზიკურ საგნებთან. მათი გადატანით საგნებად მოხსენიება შეიძლება მხოლოდ რეალურ საგნებთან მსგავსების საფუძველზე. ერთიცა და მეორეც საჭიროებს სახელს: ცნება გამოიხატება, ხოლო ფიზიკური საგანი აღინიშნება სახელით, სხვაგვარად, სახელთან მიმართებაში ცნებაცა და ფიზიკური საგანიც აღსანიშნებია. ცნებისა და ფიზიკური საგნის პირობითი გაერთიანებით დიონისე აყალიბებს „ უნივერსალური საგნის“ ცნებას, რომელზედაც აფუძნებს

სახელის დეფინიციას: სახელი ყოველთვის აღნიშნავს საგანს (ფიზიკურს ან კონცეპტუალურს).

აზრის (მტკიცების) სტრუქტურას არისტოტელე სწავლობდა წინადადებაში (გამონათქვამში), ამიტომ უკანასკნელ ორ ტერმინს „ორგანონში“ იგი იყენებდა როგორც აზრის გამომხატველის, ისე თვით აზრის მნიშვნელობითაც. აზრიცა და წინადადებაც ბერძენი ფილოსოფოსისთვის წარმოადგენდა ლოგოსს- წართქმულ მეტყველებას (Аристотель, 1978:95). დეფინიციით „წინადადება არის სიტყვათა შეხამება, რომელიც გადმოსცემს დამთავრებულ აზრს“(И.Л.У , 1980: 216) დიონისემ დაუტოვა წინადადებას მხოლოდ ერთი, ლინგვისტური, აზრის გამომხატველის მნიშვნელობა. მაგრამ დიონისეს განმარტება არ იყო წმინდა ლინგვისტური, იგი ეფუძნებოდა აზრს (მტკიცებას) და ამიტომ იყო ლოგიცისტური. არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების ზეგავლენა იმდენად იყო დიდი, რომ ვერც ანტიკური და ვერც შუა საუკუნეების პერიოდის გრამატიკოსებმა ვერ შეძლეს ლოგიკური სტრუქტურის მიღმა წინადადების სინტაქსური სტრუქტურის დანახვა. „ამგვარად მოხდა, - წერს არნ. ჩიქობავა,- მსჯელობისა (თუ წინადადებისა)? და მისი ნაწილების, ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ მოძღვრების გადმონერგვა ლოგიკიდან გრამატიკაში“ (ჩიქობავა, 1967:13). დავამატებდით იმას, რომ აღნიშნული „გადმონერგვა“ არ მომხდარა თავისთავად და ერთბაშად. ანტიკური გრამატიკები არაფერს გვატყობინებენ ქვემდებარე-შემასმენლის შესახებ, ხოლო საგნის, თვისების და რიცხვის აღმნიშვნელ სახელს დიონისეს მსგავსად განმარტავენ ლოგიცისტურად-მხოლოდ საგანზე მითითებით. გრამატიკული კაზუსი ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ ლოგიციზმის გამო არსებითი სახელის განმარტება,თუნდაც სახელის დეფინიციის სახით, გრამატიკაში გაჩნდა ძველბერძნულ და ლათინურ ენებში საკუთრივ არსებითი სახელის ჩამოყალიბებამდე. მართლაც, უცნაურია, როდესაც რომაელი გრამატიკოსი ელიუს დონატუსი თავის „მცირე გრამატიკაში“ სახელს განმარტავს ლოგიცისტურად, როგორც არსებით სახელს: „სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც ბრუნვის მეშვეობით აღნიშნავს საგანს ან მოვლენას ცალკე ან როგორც ზოგად ცნებას“. (Донат, 2003:120), ხოლო შემდეგ ლაპარაკობს ამგვარად გაგებული სახელის შედარების ხარისხის ფორმებზე. სახელისა და არსებითი

სახელის ერთმანეთში არევა ანტიკური გრამატიკებიდან გადაინაცვლებს სხვა ენათა გრამატიკებში, მათ შორის აისახება იოანე ბაგრატიონის კალმასობისეულ გრამატიკაშიც: „სახელი არს ნაწილი სიტყვისა, მნიშვნელი არსებისა გინა ნივთისა, ანუ პირისა რაისამე, მაგალითად: ცა, ქვეყანა, კაცი, ცხენი, ბრძენი, თეთრი... სახელი იწვალეების არსებითად და ზედშესრულად”(იოანე ბაგრატიონი, 1815:37).

აღწერითი გრამატიკა, მართალია, იყო ლოგიცისტური, მაგრამ მაინც- მიმართული ენისკენ. ენაზე მეცნიერული ხედვის ჩამოსაყალიბებლად საჭირო იყო ლოგიციზმის დაძლევა. მაგრამ ლინგვისტური აზრი განვითარდება სხვა მიმართულებით. ანტიკური ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით შეხედულება ენაზე როგორც მხოლოდ აზრის გამოხატვის ფიზიკურ ფორმაზე რჩებოდა უცვლელი. დროთა განმავლობაში გახდა ცხადი, რომ არისტოტელეს მიერ „ორგანონში“ დადგენილი აზროვნების ფორმები და კანონები უნივერსალურია. ჭეშმარიტებად დამკვიდრდა ის აზრი, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები აზროვნებენ ლოგიკურად ერთნაირად, ხოლო ნააზრევს გამოხატავენ ენით განსხვავებულად ანუ აზროვნება უნივერსალურია, მისი გამომხატველი ენა კი არის ეროვნული. ეჭვი ენის როგორც აზრის გამომხატველის მიმართ გაჩნდა ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში. იდეების, საგნებისა და სახელების ურთიერთმიმართებაში პლატონი აბსოლუტურ ღირებულებას ანიჭებდა იდეებს - ცალმხრივად განსაზღვრულ საგნების წარმომქნელ მარადიულ არსებს. ითვლებოდა, რომ ფიზიკურ და ამიტომ ცვალებად სიტყვას არ შეეძლო ყოველთვის ზუსტად გამოეხატა ჭეშმარიტი იდეა. არისტოტელეც არ ენდობოდა სიტყვებს მათი მრავალმნიშვნელობის გამო, თუმცა, მისი მოძღვრების თანახმად, ჭეშმარიტი შეიძლება იყოს წინადადება და არა ცალკე იდეა. მე-17 საუკუნეში რ. დეკარტი შესაძლებლად მიიჩნევს ბუნებრივი ენის გარდაქმნას მათემატიკური პროცნიპებით ისე, რომ ნათელი და მარტივი გახდეს ყველა აზრი. ეს ფილოსოფიური დაშვება განაპირობებს ლინგვისტური აზრის განვითარების მიმართულებას.

2.2 სახელის განმარტება რაციონალურ გრამატიკაში

1660 წელს პორ-როიალში გამოსულ გრამატიკაში ავტორები ა.არნო და კ. ლანსლო მიზნად დაისახავენ ენის ლოგიკური საფუძვლის დადგენას და ამ მიზნით ერთმანეთისგან განასხვავებენ ლოგიკურად სწორ და არასწორ ენობრივ ფორმებს. ლოგიკისაკენ მიმართული პორ-როიალის გრამატიკა იყო განმარტებითი და არა ტრადიციული აღწერითი. ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში ინტერესი ენისადმი ჯერ გაჩნდა ფილოსოფიაში. „მაგრამ პირველად ფილოსოფიაში გამოყენებული ტერმინების: „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „სახელი“, „ზმნა“, „პროპოზიცია“, „წინადადება“ და სხვა ფილოსოფიური სემანტიკისაგან „გაწმენდა“ გრამატიკოსებს მოუხდათ დამოუკიდებლად” (ხალვაში : 2014,133). ამიტომ ანტიკური გრამატიკოსებისთვის ლოგიციზმი თავსმოხვეული იყო გარედან, ისინი დაუშვებდნენ მას გაუცნობიერებლად. პორ-როიალის გრამატიკის შემთხვევაში ლოგიციზმი გაცნობიერებულია, თეორიულად გამართლებული. ავტორები დაუშვებენ, რომ გონება ლოგიკური პრინციპებით აყალიბებს ენას, მაგრამ არასწორი გამოყენების გამო ენობრივი ფორმა კარგავს ლოგიკურ სისწორეს. ლოგიკურად სწორი ენობრივი ფორმა წარმოადგენს გახმოვანებულ აზროვნებას. „ჩვენს ცნობიერებაში შემოდღევის გარეშე სხვა ადამიანების სულს შეუძლია სიტყვის წყალობით ჩასწვდეს ჩვენი სულის ყველა ჩანაფიქრს და მის მრავალგვარ მოძრაობას“ (Арно, Лансло,1990:90). აქედან განომდინარე ა. არნო და კ. ლანსლო აიგივებენ წინადადებას აზროვნების იმ ფორმასთან, რომელსაც იგი ჩვეულებრივ გამოხატავს-მსჯელობასთან და ამ უკანასკნელის ნაწილებს სუბიექტსა და ატრიბუტს (პრედიკატს) აცხადებენ წინადადების წევრებად: „ჩვენ მიერ გამოთქმულ მსჯელობას გარეთა საგნების შესახებ, როგორც გვაქვს, მაგალითად, შემთხვევაში, როდესაც ვამბობთ: დედამიწა არის მრგვალი (la terre est ronde), ეწოდება წინადადება. ამრიგად, ყოველ წინადადებას აუცილებლად აქვს ორი წევრი: სუბიექტად წოდებული ერთი არის ის, რის შესახებ რაიმე დასტურდება, მაგალითად, „დედამიწა“; ატრიბუტად წოდებული სხვა წარმოადგენს იმას, რაც დასტურდება, მაგალითად, „მრგვალი“. წინადადების ამ ორ წევრს შორის მოცემულია მათი

„არის“ (Арно и Лансло , 1990:92). როგორც ვხედავთ, წინადადების მთავარი წევრები „სუბიექტი“ (ქვემდებარე) და „ატრიბუტი“ (შემასმენელი) დასახელდნენ წინადადების მსჯელობასთან გაიგივების შედეგად და არა წინადადების სინტაქსური სტრუქტურის გამოვლინებით. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ა. არნოსა და კ. ლანსლოს მოეპოვებოდა სათანადო აკადემიური რესურსი წინადადების წმინდა ლინგვისტური ანალიზის ჩასატარებლად. ნაშრომის 24-ე თავში, რომელიც ეძღვნება სინტაქსს, ავტორები დაწვრილებით განიხილავენ სიტყვათა გრამატიკულ მიმართებებს - შეთანხმებასა და მართვას (Арно,Лансло, 1990:204) და გრამატიკის ისტორიაში, ალბათ, პირველად ლაპარაკობენ ზმნის დამატებაზე: „ზმნის დამატების სახით ხშირად გამოდიან სხვადასხვა ბრუნვის ფორმები, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ეს ბრუნვები გამოხატავენ სხვადასხვა მიმართებას“ (Арно и Лансло, 1990:207). აღნიშნული შემდგომში წარმატებით იქნება გამოყენებული წინადადების ლინგვისტური წევრების დასადგენად, რაც შეეხება „რაციონალური გრამატიკის“ ავტორებს, მათთვის განმსაზღვრელი იყო წინადადების ლოგიკური სტრუქტურა. თუმც, სახელის საგნობრიობას ისინი დაასაბუთებენ ფილოსოფიურად და არა ამ მეტყველების ნაწილის წინადადებაში გამოყენების პოზიციაზე მითითებით.

არისტოტელეს მიერ „ორგანონში“ დასახელებული ათი კატეგორიიდან მხოლოდ პირველი-„სუბსტანცია“ ცალკე არსებული ობიექტია, დანარჩენი (თვისება, რაოდენობა, მიმართება, ადგილი, მოქმედება, მდგომარეობა, ვნებითობა, კუთვნილება) სუბსტანციის არსებობის ფორმებია (Аристотель, 1978:55). ამის გათვალისწინებით ა. არნო და კ. ლანსლო ყოფენ მეტყველების ნაწილებს სუბსტანციის აღმნიშვნელ სიტყვებად: სახელები, არტიკლები (აზუსტებენ სახელების მნიშვნელობას), ნაცვალსახელები (ჩაენაცვლებიან სახელებს), მიმღობები (ზმნური სახელები), წინდებულები (აკავშირებენ სახელებს), ზმნიზედები (წარმომავლობით სახელები) და სიტყვებად, რომლებიც აღნიშნავენ სუბსტანციების არსებობის ფორმებს, აქციდენციებს: ზმნები, კავშირები, შორისდებულები (Арно ,Лансло: 1990:93). ამავე ფილოსოფიური პრინციპის გამოყენებით გრამატიკის ავტორებმა გამოყვეს სახელებში არსებითი და ზედსართავი სახელებიც: „მათგან იმათ, რომლებიც აღნიშნავენ სუბსტანციებს, ეწოდათ არსებითი სახელები. ისინი კი,

რომლებიც აღნიშნავენ აქციდენციებს იმ სუბიექტზე მითითებით, რომლებსაც ეს აქციდენციები შეესაბამებიან, იწოდებიან ზედსართავ სახელებათ“. (Арно, Лансло: 1990:94). ამრიგად, პორ-როიალის გრამატიკაში საფუძველი ჩაეყარა არსებითი სახელის სინტაქსურ დახასიათებას: არსებითი სახელი არის საგნის (სუბსტანციის) აღმნიშვნელი მეტყველების ნაწილი, რომელიც წინადადებაში გამოდის სუბიექტის (ქვემდებარის) პოზიციაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებითი სახელის ჩამოთვლილი ნიშნები დადგენილი იყო ფილოსოფიურ-ლოგიკური და არა ლინგვისტური ანალიზის შედეგად.

2.3 არსებითი სახელის კონცეფცია მე-19 საუკუნის ლოგიკურ-გრამატიკულ სწავლებაში

არსებითი სახელის ლოგიცისტური განმარტება ნ. გრეჩის „ვრცელი რუსული ენის გრამატიკაში“

ა. არნოსა და კ. ლანსლოს შემოქმედების შედეგად გრამატიკამ შეიძინა ფილოსოფიურ-ლოგიკური შინაარსი, რომელიც გულისხმობდა შესაბამის მეთოდოლოგიას. ამიერიდან გრამატიკოსს უნდა განეხილა ენა ფილოსოფიისა და ლოგიკის პოზიციებიდან. ანტიკური გრამატიკის გაუცნობიერებელი ლოგიციზმი იქცა გაცნობიერებულ ნორმად. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის გრამატიკულ აზროვნებაში ბატონობდა ლოგიციზმი. „ლოგიკურ-სინტაქსური სკოლა ბევრ ქვეყანაში გავრცელდა, რუსეთში ამ სკოლის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. გრეჩი („პრაქტიკული რუსული გრამატიკა“, 1927; „ვრცელი რუსული გრამატიკა“, 1829); პ.მ პერეველესკი („რუსული სინტაქსის მონახაზი“ 1948) ი.ი. დავიდოვი („რუსული ენის ზოგად-შედარებითი გრამატიკის ცდა“, 1852). ლოგიკურ - გრამატიკული მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო დიდი რუსი ენათმეცნიერი თ. ი. ბუსლაევი („რუსული ენის ისტორიული გრამატიკის ცდა“, 1859)“ (კოდუხოვი, 1982:51). რადგან ამ დროს უკვე გამოიცა ფრ. ბოპის, რ. რასკის, ი. გრიმის ნაშრომები და მკვიდრდებოდა ენათა ისტორიულ - შედარებითი კვლევა, სამეცნიერო გრამატიკის ავტორები პირველ ნაწილში, ეტიმოლოგიაში, გვთავაზობდნენ ენობრივ

ფორმათა ჩამოყალიბების ფილოსოფიურ ახსნას, ხოლო მეორეს უთმობდნენ სინტაქსს. ასე, მაგალითად, „ვრცელ რუსულ გრამატიკაში“ ნ. გრეჩი შენიშნავს, რომ ენა არ შეიძლება შექმნილიყო წინადადების ჩამოყალიბებამდე, რადგან სიტყვების მხოლოდ ერთმანეთის გვერდით განლაგება მათი ურთიერდაკავშირების გარეშე ჩვენთვის იქნება გაუგებარი (Греч, 1827:13). მიუხედავად ამისა, ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს განიხილოს ენობრივი სტრუქტურის ისტორიული ჩამოყალიბების პროცესი ფილოსოფიურად. აღნიშნული საინტერესოა ჩვენთვის არსებითი სახელის სხვა მეტყველების ნაწილებთან ურთიერთმიმართების დადგენის თვალსაზრისით. ნ. გრეჩის აზრით, ურთიერთობის პირველი საშუალება იყო შორისდებული, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყო საკუთრივ მეტყველების ნაწილი. რუსი გრამატიკოსი სვამს კითხვას: „რომელი მეტყველების ნაწილი არსებობდა ენაში უწინარესად?“ (Греч, 1827:11) და იძლევა მასზე ფილოსოფიურ პასუხს: ყოველი საგანი წარმოადგენს არსებით თვისებათა ერთობლიობას. ამიტომ ადამიანებისთვის სინამდვილე შედგება საგნებისა და მათი თვისებებისგან. მეტყველების ნაწილებიც შესაბამისად აღნიშნავენ ან საგანს ან საგნის თვისებას (Греч, 1827:102). საგნის აღმნიშვნელი სიტყვები არსებითი სახელებია; საგნის თვისებას გამოხატავენ „თვისების სახელები“, რომელთა შორის ნაწილი თვისებას გადმოსცემს უმოქმედოდ, სხვა- მოქმედებით. უმოქმედოდ თვისებას გამოხატავენ ზედსართავი სახელები. მოქმედი თვისების გამომხატველი სიტყვებია მიმღეობები. ნ. გრეჩის დაშვებით, ადამიანებმა ჯერ სიტყვიერად გამოყვეს საგნის თვისება უმოქმედოდ, ხოლო შემდეგ ზედსართავი სახელებით აღნიშნეს შესაბამისი საგნებიც, რის შედეგადაც პირველადი ზედსართავები იქცნენ არსებით სახელებად. ამრიგად, პირველი მეტყველების ნაწილი ენაში იყო ზედსართავი სახელი (Греч, 1827:11). საგნები და მათი თვისებები მოცემული არიან სინამდვილეში, ამიტომაც ყოველ არსებულ საგანსა და თვისებას ახასიათებს მყოფობის უნივერსალური ნიშანი, რომლის გადმოსაცემად ადამიანებმა შემოიღეს ენაში ზმნა „არის“ (იყო, იქნება). მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა ელემენტარული წინადადების შედგენა. მაგალითად: „ღმერთი არის ყოვლადშემძლე“, „პეტრე არის დიდი“, „ოქრო არ არის მსუბუქი“ (Греч, 1827:102). კანონზომიერია ის ფაქტი, რომ ნ. გრეჩის ფილოსოფიურ- ლინგვისტური კონცეფციის

თანახმად, პირველად წინადადებაში წარმოდგენილია სახელები და ვერ ვხვდებით სრულმნიშვნელოვანი ზმნის ფორმებს. პირველი წინადადებები გამოხატავენ იმას, რომ „მავანი საგანი, მართლაც არსებობს და მასვე მიეკუთვნება მავანი თვისება“ (Грех, 1827:12). ჯერ გაჩნდნენ საკუთარი არსებითი სახელები, ხოლო შემდეგ საზოგადო. ენის განვითარების მომდევნო ეტაპზე უკვე გაჩენილის საფუძველზე შეიქმნა ახალი: მიმღობებისა და მყოფობის გამომხატველი ზმნის („არის“) შერწყმით-პირიანი ზმნები. გაჩნდნენ ზედსართავებისა და მიმღობების „თვისებათა თვისების“ გადმომცემი ზმნიზედური სიტყვები და საგანთა ურთიერთმიმართების გამომხატველი წინდებულები და ნაწილაკები. აზრების ნაწილების ურთიერთმიმართება ენობრივად გამოიხატა კავშირებით. ხოლო საკუთარი თავის გამოსახატავად და მეტყველებაში სახელების ჩასანაცვლებლად ადამიანებმა შემოიღეს ნაცვალსახელები.

მოყვანილ ფილოსოფიურ-ლინგვისტურ კონცეფციაზე დაყრდნობით ნ. გრეჩი რუსული ენის გრამატიკულ სტრუქტურაში გამოყოფს მეტყველების ნაწილების წარმოქმნის შვიდ საფეხურს (ავტორის ტერმინოლოგიით, „ხარისხებს“). აღნიშნული პასაჟი უნიკალურია იმით, რომ წარმოადგენს კონკრეტული ენის მეტყველების ნაწილების დიაქრონიულ დახასიათებას, ამიტომ მოვიყვანთ მას მთლიანად:

„მეტყველების ნაწილთა ურთიერთმიმართების შესახებ“

პირველი ხარისხი

1. პირველყოფილი ბგერა -შორისდებული
2. ხმაბაძვითი ბგერა

მეორე ხარისხი

3. პირველადი სიტყვა, საგნის თვისების, თვით საგნისა და მისი მოქმედების აღმნიშვნელი მეტყველების ნაწილი.

მესამე ხარისხი

4. პირველადი არსებითი სახელი, საკუთარი (სქესი. სახელობითი ბრუნვა)
5. თვისების სახელი, შეკვეცილი.
6. ზედსართავი
7. მიმღობა
8. ზმნა
9. ნაწილაკი

მეოთხე ხარისხი

10. პირველადი არსებითი სახელი, საზოგადო
11. სრული მიმართებითი ზედსართავი სახელი
12. პირველადი შეერთებული ზმნა
13. ნაცვალსახელი
14. წინდებული. ირიბი ბრუნვები

მეხუთე ხარისხი

15. კავშირი ქვემდებარესა და შემასმენელს შორის.
16. პირველადი ზმნიზედა
17. კავშირი
18. რაოდენობითი რიცხვითი სახელი
19. მე-2, მე-3 პირის ნაცვალსახელები; ზედსართავი ნაცვალსახელები.

მეექვსე ხარისხი

20. ზმნები ყველა კილოსა და დროში; მე-2 პირის ფორმა
21. ვითარების ზმნიზედები
22. სრული მიმღობები
23. დეეპრიჩასტიე (საქცევი)

მეშვიდე ხარისხი

24. წარმოქმნილი არსებითი სახელები

25. განყენებული არსებითი სახელები
26. ნაზმნარი არსებითი სახელები
27. წარმოქმნილი ზედსართავი სახელები
28. კუთვნილებითი ზედსართავი სახელები
29. გარემოებითი ზედსართავი სახელები, ე.ი რიგობითი რიცხვითი სახელები
30. ერთგზისი ზმნები
31. შორისდებულებისგან წარმოქმნილი ზმნები
32. არსებითებისგან წარმოქმნილი ზმნები
33. ზედსართავებისგან წარმოქმნილი ზმნები
34. ნაცვალსახელებისგან წარმოქმნილი ზმნები

მერვე ხარისხი

35. მეორადი სახის ზმნები
36. მეორადი სახის არსებითი და ზედსართავი სახელები, კნინობითი და უფროობითი
37. რთული არსებითი და ზედსართავი სახელები (Грех, 1827:379).

ამრიგად, რუსული ენის მეტყველების ნაწილთა ურთიერთმიმართებას ნ. გრეჩი წარმოგვიდგენს დინამიკაში. ფ. სოსიურის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური პრინციპის თანახმად, დიაქრონიულად აღწერილი ენობრივი ფაქტები ვერ ქმნიან ენობრივ სისტემას (სოსიური, 2002:89). შეუძლებელია რუსული ენის სიტემას ერთდროულად მივაკუთვნოთ საგნის თვისებისა და მოქმედების აღმნიშვნელი პირველადი სიტყვა, ხოლო, მეორე მხრივ, პირველადი არსებითი, პირველადი ზედსართავი სახელები და ამასთან კიდევ არსებითი და ზედსართავი სახელები სრული გრამატიკული ფორმებით. მეტყველების ნაწილთა შორის პირველადი სიტყვის დაშვება ისე, როგორც ენის პირველ სიტყვად შორისდებულის მიჩნევა, მხოლოდ ფილოსოფიური ჰიპოთეზებია. შეუძლია თუ არა ფილოსოფიას ახსნას ენაში ყველაფერი? მე-20 საუკუნეში ლ. ვიტგენშტაინი გასცემს ამაზე უარყოფით პასუხს: „ფილოსოფიას არ ძალუძს ჩაერიოს ენის ნამდვილ გამოყენებაში, საბოლოო ჯამში მას შეუძლია მხოლოდ ენის აღწერა. ფილოსოფოსს არ შეუძლია მიაჩიქოს ენას რაიმე საფუძველი.

იგი ტოვებს ყველაფერს ისე, როგორც არის“ (Витгенштейн, 1985:126). და მაინც ნ. გრეჩის მეტყველების ნაწილთა დინამიკურ დახასიათებაში ყურადღებას იქცევს ორი ფაქტი: პირველი, ავტორმა შესაძლებლად დაუშვა საგნის, თვისებისა და მოქმედების ერთად გამომხატველი სახელი. მეორეც, სახელი, მართალია, არ არის სინამდვილის გამომხატვის თვითკმარი საშუალება, მაგრამ ნ. გრეჩის ანალიზის მიხედვით, იგი არის ენის ყველაზე გამოსაყენებელი ერთეული.

ნ. გრეჩის მეორე ნაშრომიც „პრაქტიკული რუსული გრამატიკა“ გამოირჩევა მდიდარი ემპირიული მასალით, რომლის ლინგვისტური ანალიზის შედეგი ეწინააღმდეგება ფილოსოფიურ-ლოგიკურ წანამძღვრებს. მაგრამ ნ. გრეჩი ანგარიშს უწევს ზოგად ლინგვისტურ თეორიას, რომელიც პორ-როიალის გრამატიკის ავტორებმა დააფუძნეს ფილოსოფიასა და ლოგიკაზე. რუსი გრამატიკოსი წერს : „სინტაქსის შედგენისას მე ვისარგებლე ამ საგანთან დაკავშირებით საფრანგეთსა და გერმანიაში გამოცემული უახლესი თხზულებებით“ (Греч Практ., 1927:235).

„პრაქტიკული რუსული გრამატიკის ავტორი იზიარებს ა. არნოსა და კ. ლანსლოს დებულებას იმის შესახებ, რომ „დამიანები არ ლაპარაკობენ იმისთვის, რათა გამოხატონ ის, რასაც ჭკრეტენ, არამედ თითქმის ყოველთვის იმისთვის, რათა შეადგინონ მსჯელობა საგნების შესახებ“ (Арно и Лансло, 1990: 92). ამიტომ ნ. გრეჩისთვისაც წინადადება არის სიტყვებით გამოხატული მსჯელობა, რომელიც ასეთ შემთხვევაში შედგება ორი ნაწილისგან - ქვემდებარისა და შემასმენლისგან. „ქვემდებარე არის საგანი, რომლის შესახებაც ითქმება წინადადებაში, რომელსაც ეძლევა ან ერთმევა ჩვენი მსჯელობით რაიმე თვისება.შემასმენელი არის თვისება, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნებთ ან მოვაკლებთ ქვემდებარეს მსჯელობაში“ (Греч Практ., 1827:236). მსჯელობა-წინადადების მთავარ ნაწილებს (წევრებს) რუსი გრამატიკოსი აღნიშნავს ანტიკური ლოგიკის ტერმინებით („ქვემდებარე“, „შემასმენელი“), ა. არნოსა და კ. ლანსლოს გამოყენებული ჰქონდათ ფრანგული: sujet (სუბიექტი) და attribut (პრედიკატი) (Арно и Лансло, 1950:92). სიახლე გვაქვს განმარტებაშიც. ნ.გრეჩი ქვემდებარეს განმარტავს „ საგნის“, ხოლო შემასმენელს „თვისების“ მეშვეობით, პორ-როიალის გრამატიკაში შესაბამისი დეფინიციები შინაარსობრივად უფრო ზოგადია: „sujet(სუბიექტი) არის ის, რის შესახებაც

დასტურდება წინადადებაში“, ხოლო „attribut (პრედიკატი) არის ის, რაც ადასტურებს წინადადებაში“ (Арно и Лансло, 1990:92). „კატეგორიებში“ აზრის სტრუქტურის დასადგენად არისტოტელე არკვევს ურთიერთმიმართებას შემდეგ ტერმინებს შორის: „არსებული“, „პირველადი არსი“, „მეორეული არსი“, „სახე“, „გვარი“, „ქვემდებარე“, „შემასმენელი“, „სიტყვა“, „ცნება“, „სახელი“, „ზმნა“. არისტოტელე არ იძლევა ქვემდებარის განმარტებას, ამ ტერმინის მნიშვნელობა მასთან შეიძლება დავადგინოთ მხოლოდ კონტექსტიდან: „ქვემდებარეზე-ცალკე ადამიანზე ითქმის როგორც ადამიანზე, მაგრამ ადამიანი არ არის მოცემული არც ერთ ქვემდებარეში“ (Аристотель, 1978:54); „ქვემდებარეზე აუცილებლად ითქმის სახელიცა და ცნებაც, ასე, მაგალითად, ადამიანი ითქმის ქვემდებარეზე - ცალკეულ ადამიანზე“ (იქვე,56); „პირველადი არსების გარდა სხვა ყველაფერი (ცნება, სახელი, ლ.გ) ან ითქმება პირველადი არსების შესახებ, როგორც ქვემდებარეზე ან მოცემულია მასში როგორც ქვემდებარეში“ (იქვე). ამრიგად, ერთი მხრივ, ქვემდებარე კონკრეტული ფიზიკური სულიერი ან უსულო საგანია, მაგალითად, „ადამიანი“, ხოლო, მეორე მხრივ, პირველადი არსები (კონკრეტული საგნები) აზრში მოცემული არიან როგორც ქვემდებარე. არისტოტელეს მსჯელობაში არ არის ყოველთვის მკაფიოდ გავლებული ზღვარი საგანსა და აზრს შორის. ამის გათვალისწინებით არისტოტელესეული ქვემდებარე შეიძლება განვმარტოთ, როგორც აზრის სტრუქტურაში მოცემული (უფრო კორექტულად რომ ვთქვათ, ასახული) ფიზიკური საგანი, რომელიც ყოველთვის იკავებს სუბიექტის ადგილს და არ არის არც სიტყვა, არც ცნება (Аристотель, 1978:56). უცნაურია, მაგრამ საგანს (ქვემდებარეს) ცნებასა და სახელს (სიტყვას) ბერძენი ფილოსოფოსი არ განიხილავს როგორც განუყრელად დაკავშირებულ ერთეულებს. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს „ორგანონის“ ავტორის მსჯელობის თავისებურებათა სრული ანალიზი, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ არისტოტელესეული ქვემდებარე „არის ის, რაც ყოველთვის გამოდის სუბიექტის პოზიციაში და არა თავად სუბიექტი“ რაც არ გამორიცხავს ამ პოზიციაში საგნის აღმნიშვნელი სიტყვების გარდა სხვა მნიშვნელობითაც სიტყვების გამოყენებას. აღნიშნულს კარგად ათვალსაჩინოებს პეტრე ესპანელისა და უ. ოკამის სუპოზიციები. ოთხი გამონათქვამიდან: 1. „ადამიანი მოვიდა“ 2. „ადამიანი ქმნის კულტურას“ 3.

„ადამიანი სახეა“ 4. „ადამიანი სახელია“ მხოლოდ პირველში სიტყვა „ადამიანი“ აღნიშნავს კონკრეტულ სულიერ საგანს, სხვა გამონათქვამებში იგი აღნიშნავს შესაბამისად: „კაცობრიობას“, „ცნებას“, „სიტყვას“ (Оккам, 2002:31). ამრიგად, ფიზიკური საგნის (ქვემდებარის) გარდა სუბიექტად შეიძლება გამოდიოდეს განყენებული იდეა, ცნებაცა და სიტყვაც; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებითი სახელის გამოყენება არ შემოიფარგლება ფიზიკური სინამდვილით, არამედ ვრცელდება მენტალურ და ენობრივ სფეროებზეც, შევადართო მაგალითები:

I

არსებობა არსებულის ნიშანია

ყველაფერი დასრულდა

არაფერი მოხდება

მიმართება შეიცვალა

ხანგრძლივობა შემცირდა

ინტენსივობა გაიზარდა

რხევა ტალღის თვისებაა

სიწითლე გაგივლის

მამაცობა უკვდავია

II

ცნება აზროვნების ფორმაა

იდეა ბრწყინვალეა

უნივერსალია ზოგადი ცნებაა

წარმოდგენა იკონურია

სახე და გვარი მეორეული არსებია

აზრი არის მტკიცება

III

სახელი იბრუნება

ზმნა იუღლება

წინადადება შეიცავს სტრუქტურას

მოყვანილი მაგალითების სუბიექტები არაფიზიკური სფეროს არსებია. სუბიექტის გასაგნების წინაპირობა ჩამოყალიბდა არისტოტელესთან. ბუნებრივი ენის სახელი, ერთი მხრივ, აღნიშნავს ერთეულ საგანს, მაგალითად, „მე ვიცნობ ამ ადამიანს“, მეორე მხრივ- საგანთა მთლიან კლასს (ცნებას), მაგალითად, „ადამიანი მორალური არსებაა“. პირველად ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია არისტოტელემ „კატეგორიებში“: „რასაც გამოხატავს პირველადი არსი, ერთეულია რიცხვით, რაც შეეხება მეორეულ არსებს, სახელწოდების ფორმით გეგონებათ, რომ ისინიც აღნიშნავენ რაღაც გარკვეულს, მაგალითად, „ადამიანი“, „ცოცხალი არსებაა“, მაგრამ ეს არ არის სწორი. ისინი აღნიშნავენ უფრო რაღაც თვისებას, ქვემდებარე ამ შემთხვევაში ხომ არ არის ერთი რაღაც“ (Аристотель, 1978:59). იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა გულისხმობს საგანთა კლასს, იგი შეიძლება გამოდიოდეს მსჯელობაში როგორც სუბიექტის („ადამიანი მორალური არსებაა“), ისე პრედიკატის პოზიციაში („გენო ადამიანია“), ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არისტოტელეს თანამხად, ცნება გამოხატავს თვისებას და განსაზღვრავს ერთეულ საგანს. თუ სიტყვა გამოხატავს ერთეულ საგანს, მსჯელობაში იგი იკავებს მხოლოდ სუბიექტის ადგილს („ადამიანი გელოდება!“). არისტოტელეს მიხედვით, საგანი არ შეიძლება გამოიყენებოდეს პრედიკატში. სუბიექტის შემდგომი „გასაგნება“ მოხდება პორ- როიალის გრამატიკაში, რომლის ავტორები ა. არნო და კ. ლანსლო ლოგიკურისა და გრამატიკულის აღრევის შედეგად სუბიექტი და პრედიკატი აღიარეს წინადადებაშიც. კიდევ ერთ ნაბიჯს ამ მიმართულებით გადადგამს ნ. გრეჩი იმით, რომ გააიგივებს ქვემდებარეს სუბიექტთან და მიაწერს ამ უკანასკნელს არსებით განმასხვავებელ ნიშნად ქვემდებარის საგნობრიობას. ამრიგად, რუსი გრამატიკოსის ორივე ნაშრომში ერთმანეთთან გაიგივებულია სუბიექტი, ქვემდებარე და საგანი. ამის გამო ქვემდებარე- სუბიექტის პოზიციაში მდგარი ყოველგვარი შინაარსი მისთვის საგანია.

არსებით სახელს ნ. გრეჩი განმარტავს ანტიკურად: მხოლოდ საგანზე მითითებით, სინტაქსური ფუნქციის დაუსახელებლად: „არსებითი სახელი არის საგნისა თუ არსების სიტყვიერი გამოხატვა“ (Греч, 1927:105). მაგრამ სუბიექტისა და ქვემდებარის გაიგივების შემდეგ არსებითი სახელის სინტაქსური ბედი გადაწყდა. საგნის აღმნიშვნელ მეტყველების ნაწილს მსჯელობა-წინადადებაში უნდა დაეკავებინა მხოლოდ ქვემდებარე-სუბიექტის პოზიცია. აღნიშნული ეწინააღმდეგება ენობრივ ფაქტებს. არსებითი სახელი გამოიყენებოდა და გამოიყენება ენებში, მათ შორის რუსულშიც, პრედიკატის, სხვაგვარად, შემასმენლის პოზიციაშიც.

არსებობა არსებულის ნიშანია

რხევა ტალღის თვისებაა

ცნება აზროვნების ფორმაა

აზრი არის მტკიცება;

შემასმენლის დასახასიათებლად ამგვარი მაგალითები „პრაქტიკულ რუსულ გრამატიკაში“ მოჰყავს თავად ავტორსაც: „поза есть цветок“ (ვარდი ყვავილია); „ленность есть порок“ (სიზარმაცე მანკია). ორიდან ერთი: ან მოყვანილ მაგალითებში შემასმენლის როლში არ გვაქვს არსებითი სახელი, ან არსებითი სახელის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საგნობრიობით.

ფიზიკურ სულიერ და უსულო საგნებთან ერთად (ჩიტი, ქვა, ელვა, ქარი) ნ. გრეჩი ანტიკური გრამატიკის ტრადიციის თანახმად დაუშვებს გონებრივ (სული, დრო) და განყენებულ (სითეთრე, სინაზე, სილამაზე) საგნებსაც (Греч, 1927:105). რას ეფუძნება ცნებათა საგნობრიობა? ყველა ლექსიკონი გამოყოფს ამ სიტყვის პირდაპირ (ძირითად და გადატანით მნიშვნელობებს: „საგანი- 1. ყოველგვარი მატერიალური მოვლენა ნივთი.2. რის შესახებაც ვაზროვნებთ ან რის მიმართაც რაიმე მოქმედებას ვაწარმოებთ, რასაც მსჯელობა საუბარი ეხება, ობიექტი. 3. მეცნიერების დარგი, სასწავლო დისციპლინა“ (ქეგლ, 1990:836).

ამრიგად, ცნებათა საგნობრიობა გადატანითია. ცნება იმიტომ არის საგანი, რომ აღინიშნება არსებითი სახელით, რომელიც არის ფიზიკური საგნის სიტყვიერი

გამოხატვა. მაგრამ მსჯელობის ფარგლებში არსებითი სახელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენება პრედიკატის (შემასმენლის) როლშიც, რომელშიც იგი არ გამოხატავს საგანს. მეორე მხრივ, ქვემდებარე- სუბიექტად გამოყენებული ყველა სიტყვა არ შეიცავს საგნის გაგებას, მაგალითად, რუსული ენის ინფინიტივი:

тренироваться необходимо

ვარჯიში საჭიროა

двигаться полезно

მოძრაობა სასარგებლოა

останавливаться нельзя

გაჩერება არ შეიძლება

сидеть скучно

ჯდომა მოსაწყენია

смотреть трудно

ყურება ძნელია

спать невозможно

ძილი შეუძლებელია

არ არის შემთხვევითი, რომ ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში ინფინიტივის შესატყვის ფორმებს (გაჩერება, ჯდომა, ყურება...) ეწოდება „სახელზმნა“ და არა არსებითი სახელი.

პლატონთან მარადიული იდეები წარმოქმნიან ცვალებად და დროებით საგნებს, ამიტომ განსხვავებაც იდეებსა და საგნებს შორის აბსოლუტურია. „წარმოდგენის“ შემოღებით არისტოტელემ ზღვარი ფიზიკურ სამყაროსა და გონებას შორის გახადა „გამჭვირვალე“. ერთეული ფიზიკური საგნები არა მხოლოდ აისახებიან წარმოდგენათა მეშვეობით გონებაში, არამედ ერთიანდებიან ცნებებად. „მეორეული არსებია სახეები და გვარები, მათ მიეკუთვნება პირველადი არსები. მაგალითად,

ცალკეული ადამიანი მიეკუთვნება სახეს „ადამიანი“ და გვარს „ცოცხალი არსება“-
წერს „კატეგორიებში“ არისტოტელე და ასკვნის: „რომ არ არსებულებიყვნენ პირველადი
არსები, შეუძლებელი იქნებოდა სხვა დანარჩენის არსებობაც“ (Аристотель, 1978:55,56).
„პორფირიუსისათვის კომენტარში“ არისტოტელეს ფილოსოფიის მცოდნე ბოეციუსი
აღნიშნავდა, რომ გვარები აერთიანებენ სახეებს, სახეები-ინდივიდუალურ საგნებს,
მაგრამ პირიქით არის შეუძლებელი (Боэций, 1990:22,24). პეტრე აბელიარის
კონცეპტუალისტური თეორიის მიხედვით, იდეები და ინდივიდუალური საგნები
განსხვავდებიან ბუნებით, რის გამოც გამონათქვამში ისინი იკავებენ სხვადასხვა
ადგილს. იდეა, რომელიც ზოგადია და განსაზღვრავს საგანს, ყოველთვის
პრედიკატია. ამიტომ არისტოტელეს 10 კატეგორიას (=გვარებს) შეიძლება ვუწოდოთ
პრედიკამენტების ანუ პირველადი შემასმენლების სახელი (<http://www.agniz...>). პეტრე
აბელიარის კონცეფცია არ დაუშვებს იდეის გასაგნებას: იდეა, რომელიც წარმოადგენს
საგანთა კლასს, არ შეიძლება ამასთან ერთად იყოს ამ საგანთა კლასის წევრიც(საგანი).
იდეის გათანაბრება საგანთან შეიძლება მხოლოდ პირობითად, ამ პირობითობის
დაშვება ეფუძნება ლინგვისტურ კანონზომიერებას: რაკი არსებითი სახელი
აღნიშნავს საგანს და გამოხატავს იდეას, არსებითი სახელის ყოველგვარ აღსანიშნს,
სულ ერთია ფიზიკურსა თუ სულიერს, დიონისემ მეტონიმის წესით უწოდა საგანი.
მაგრამ არსებითი სახელი არ აკავშირებს იდეასა და საგანს ერთმანეთთან ყოველთვის:
პეტრე ესპანელისა და უ. ოკამის სუპოზიციებმა გვაჩვენეს, რომ არსებითი სახელი
შეიძლება გამოხატავდეს ცნებას და არ აღნიშნავდეს საგანს (Оккам, 2002:31). იდეების
და განსაკუთრებით განყენებული იდეების (სიმართლე, სიკეთე, ჭეშმარიტება,
მიმართება...) საგნობრიობა ენობრივი პირობითობაა და არა ლოგიკური ფაქტი.
იდეების თუნდაც პირობითი საგნობრიობა დიონისესთან ეფუძნება იმას, რომ
არსებითი სახელი აღნიშნავს მხოლოდ საგანს. არისტოტელეს კატეგორიებს
(უზოგადეს ცნებებს), რომლებიც გამოიხატებიან არსებითი სახელებით, პეტრე
აბელიარმა, როგორც აღვნიშნეთ, უწოდა „პრედიკამენტები“. აღნიშნული ტერმინი
კარგად მიაჩნებოდა კატეგორიების და საერთოდ იდეების პირველად
დანიშნულებაზე გამონათქვამში. ამრიგად, იდეათა დანიშნულებას პლატონი
ხედავდა საგანთა რაობის განსაზღვრაში, აღნიშნული განაპირობებს იდეათა ადგილს

გამონათქვამის ლოგიკურ სტრუქტურაში: წინადადებაში, რომელიც მოგვითხრობს კონკრეტული საგნის შესახებ, იდეა (ცნება) იკავებს პრედიკატის პოზიციას და, არისტოტელეს თანახმად, გამოხატავს თვისებას და არა საგანს, რადგან ერთი საგანი ვერ განსაზღვრავს სხვა საგნის რაობას. ამიტომ კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, არისტოტელეს ტერმინოლოგიით, „ქვემდებარე“ ვერ დაიკავებს გამონათქვამში პრედიკატის ადგილს; გამონათქვამი „ეს სკამი არის ის მაგიდა“ უაზროა, შესაძლებელია: „სკამი არის მაგიდა“ იმ გაგებით, რომ „სკამი ასრულებს მაგიდის მაგივრობას“. მაგრამ უკანასკნელ გამონათქვამში სიტყვა „მაგიდა“ არ აღნიშნავს საგანს, არამედ გამოხატავს მაგიდის ცნებას (იდეას). თუ წინადადება მოგვითხრობს იდეის შესახებ, მაშინ იდეამაც შეიძლება დაიკავოს სუბიექტის ადგილი, მაგალითად: „სიხარბე მანკია“, „სიქველე ღირსებაა“. მაგრამ ამგვარი გამონათქვამები გამორიცხავენ კონკრეტული საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. პრედიკატის პოზიციას მათში იკავებს ისევ იდეა. ამდენად, იდეისა და საგნის დაპირისპირება მეტაფიზიკური ფილოსოფიის და მასში ჩამოყალიბებული ლოგიკის საზიარო პრინციპია. ზღვარი საგანსა და იდეას შორის შეიძლება მოიშალოს მხოლოდ ენაში, სადაც ერთიცა და მეორეც გამოიხატება ერთი აღმნიშვნელით - არსებითი სახელით.

ადრე თუ გვიან გრამატიკოსს უნდა დაედგინა ენობრივი ფაქტების რაობა საკუთრივ ლინგვისტური ანალიზით. პორ-როიალის გრამატიკის ავტორებმა ეს გააკეთეს ნაშრომის ბოლო თავში, სადაც სინტაქსური კონსტრუქციების განხილვის შედეგად დაადგინეს ძირითადი გრამატიკული მიმართებები სიტყვებს შორის. შეთანხმებით კონსტრუქციებში სიტყვათა გრამატიკული ფორმები შეთანხმებული არიან ერთი მეორესთან, მაგალითად, რიცხვში ეთანხმება ზმნა სახელს და ნაცვალსახელს; ზედსართავი- სახელს; სქესში - ზედსართავი არსებით სახელს. „კონსტრუქციებში მართვით ერთი სიტყვა განაპირობებს გარკვეულ ცვლილებებს მეორეში“ (Арно и Лансло, 1990:204). მართვა ხდება ბრუნვათა და ნაწილაკთა (წინდებულთა-ლ.გ.) მეშვეობით. რადგან ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, მას (ზმნას) დამატების სახით ახლავს სახელის გრამატიკული ფორმა, მაგალითად, „მხარი დავუჭიროთ ვინმეს“, „ვემსახუროთ ვინმეს ან რისთვის“ (იქვე, 208). ნ. გრეჩის

გრამატიკაში დამატება გამოხატავს მიმართებებს საგნებს შორის, რომლებიც შეიძლება იყონ მშვიდი და მოქმედი. პირველნი გულისხმობენ საგნების შეკავშირებით ყოფნას მოძრაობის გარეშე, მაგალითად, лист дерева (ხის ფოთოლი), кровля дома (სახლის სახურავი), хозяин в доме (პატრონი სახლში). მოქმედნი, პირიქით, გამოხატავენ მიმართებებს საგნებს შორის მოძრაობაში, ქმედებაში: „Иван едет в Москву“ (ივანე მიემგზავრება მოსკოვს), Солнце греет землю“ (მზე ათბობს მიწას) (Греч Практ., 1927:266). მმართველი სიტყვებია ზმნები და არსებითი სახელები, მართული-არსებითი სახელები. ნ . გრეჩის შეფასებით, დამატება წარმოადგენს წინადადების შემთხვევით და არა არსებით ნაწილს (იქვე, 238). გრამატიკული მიმართების სხვა ფორმა -განსაზღვრება გვაქვს შემთხვევაში, როდესაც ზედსართავი სახელი ეთანხმება სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში არსებით სახელს, მაგალითად: Петр преобразовал обширную Россию (პეტრემ გარდაქმნა ვრცელი რუსეთი) (იქვე,253).

ნ.გრეჩის გრამატიკის ამ ნაწილში მოცემული ლინგვისტური ანალიზი, სამწუხაროდ, დარჩა სათანადო თეორიული განზოგადების გარეშე, ეს უკანასკნელი შეუქმნიდა ავტორს საფუძველს განეხილა წინადადება ლინგვისტური პოზიციიდან და ამის შედეგად სწორად შეეფასებინა მეტყველების ნაწილთა სინტაქსური ფუნქციები.

2.4 არსებითი სახელის ფილოსოფიურ -ლოგიკური განმარტება ი.

დავიდოვის „რუსული ენის ზოგადშედარებითი გრამატიკის ცდაში“

სხვა რუსი გრამატიკოსი ივანე დავიდოვიც ნაშრომში „რუსული ენის ზოგად-შედარებითი გრამატიკის ცდა“ იყენებს ენის კვლევის ფილოსოფიურ და შედარებით მეთოდებს, რომლებიც სათანადოდ დაამუშავეს ფრანგმა და გერმანელმა ენათმეცნიერებმა. „რუსული ენის გადმოცემის ჩემული ხერხი ფილოსოფიურია, ვინაიდან გრამატიკული ფორმების კერძო ცვლილებები ექვემდებარება ზოგად ლოგიკურ კანონებს“ (Давыдов, 1854:XXIV) - გვამცნობს თავის მეთოდოლოგიურ პოზიციას ავტორი ნაშრომის შესავალში. ნ. გრეჩის გრამატიკების მსგავსად

განსახილველ გრამატიკაშიც ენის გრამატიკული სტრუქტურა განისაზღვრება ფიზიკური სამყაროს რაობით. მაგრამ არის განსხვავებაც. ი. დავიდოვისთვის სამყარო შედგება მოძრაობისა (მოქმედებისა) და საგნებისაგან. ბუნების ამ ორი საწყისის გონებაში ასახვითა და შეკავშირებით წარმოიქმნება აზრი. „წინადადება არის სიტყვით გამოხატული აზრი ანუ ორი ცნების ერთიანობა“ (Давыдов, 1954:59). სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მოძრაობასა (მოქმედებას) და საგანს - ზმნა და სახელი-ძირითადი არიან ენისთვის. წინადადებაში ისინი ასრულებენ ქვემდებარისა და შემასმენლის როლებს, მაგალითად, „ვარდი ყვავის“. სხვა მეტყველების ნაწილები გაჩენილან არსებითი სახელისა და ზმნის გამო და მათთან კავშირში. ქვემდებარის თვისებას განსაზღვრავენ ზედსართავი სახელები, შემასმენლისა- ზმნიზედები, მაგალითად, „прекрасная роза цветёт недолго“ (მშვენიერი ვარდი ყვავის მოკლე ხანს). საგანთა ურთიერთმიმართებას სივრცეში გამოხატავენ წინდებულები, მოქმედებისა დროში-კავშირები: „прекрасная роза в саду цветёт, а в комнате скоро вянет“ (მშვენიერი ვარდი ბაღში ყვავის ხოლო ოთახში მალე ჭკნება). „მეტყველების ნაწილები, რომლებიც აყალიბებენ სრულ აზრს, გამოხატავენ ან ცნებას ან მიმართებას ცნებათა შორის, ამიტომ იყოფიან სრულმნიშვნელოვან და დამხმარე მეტყველების ნაწილებად. პირველს მიეკუთვნება ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი; მეორეს ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, წინდებული, კავშირი. ზმნიზედას უკავია შუა ადგილი სრულმნიშვნელოვან და დამხმარე სიტყვებს შორის. ზოგჯერ იგი გამოხატავს ცნებას (შინ, კარგად), სხვა დროს - მიმართებას (აქ, იქ). შორისდებულები გამოხატავენ გრძნობის მოძრაობას“ (Давыдов, 1954:61). ამრიგად, წინადადება- აზრში ქვემდებარის ადგილს ავტორი მიაკუთვნებს საგნის აღმნიშვნელ არსებით სახელს, ხოლო შემასმენლისა-ზმნას. ქვემდებარე და შემასმენელი აზრისა და წინადადების საზიარო წევრებია. მაგრამ გრამატიკული ქვემდებარე და შემასმენელი გამოხატავენ თითო ცნებას,ლოგიკური ქვემდებარე და შემასმენელი შეიძლება გამოხატავდნენ რამდენიმე ცნებას, ამიტომ აზრისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის ორწევრიანია, წინადადება ი. დავიდოვის გრამატიკაში დაუშვებს ოთხ წევრს: ქვემდებარეს, შემასმენელს, განსაზღვრებასა და დამატებას. მათგან ქვემდებარე და

შემასმენელი თავიანთი ლოგიკური წარმომავლობის გამო არიან წინადადების მთავარი წევრები. ისინი ქმნიან აზრს.

„ჩვენ შეგვიძლია მოვიაზროთ ან საგანთა ყოფნა, ან მათი მოქმედება, ან მათი თვისება“ (Давыдов, 1854:285). ი. დავიდოვის ლოგიკურ - ფილოსოფიური დებულების ჭეშმარიტება ადვილად შეიძლება დავადასტუროთ მრავალი მაგალითით, მათ შორის ქართული ენიდანაც:

ქარი არის,	ქარი ქრის,	ქარი იყო ძლიერი
ავტობუსი არის,	ავტობუსი მოდის,	ავტობუსი იყო დიდი
ცისარტყელა არის,	ცისარტყელა გამოჩნდა,	ცისარტყელა იყო ლამაზი

ყველა მოყვანილ მაგალითში წარმოდგენილია საგანი, ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ენის ბაზისურ სიტყვად ნ. გრემმა აღიარა სახელი; ი. დავიდოვმა შეაფასა ვითარება სხვა მხრიდან, ამგვარ მაგალითებში მისთვის მთავარი არის ზმნა. „ყველა ძირისეული სიტყვა ენაში ზმნა არის და ყველა ძირეული ცნება მოქმედების ცნებაა“, - მიიჩნევს „რუსული ენის ზოგადშედარებითი გრამატიკის ცდის“ ავტორი (იქვე, 62). განსაზღვრება და დამატება არ წარმოადგენენ აზრის ნაწილებს, ამიტომ მათი გამოყოფა შეიძლება მხოლოდ წინადადებაში: „განსაზღვრებითი ეწოდება ისეთ სიტყვებს წინადადებაში, რომლებიც გვიხსნიან ცნებას საგნის შესახებ.., დამატებითი სიტყვები გვიხსნიან ცნებას ნიშნის, მოქმედების ან თვისების შესახებ, მაგალითად, „Бог любит правду“ (ღმერთს უყვარს სიმართლე) (იქვე, 280).

ი. დავიდოვი არ ცდილობს გაათანაბროს საგანი ცნებასთან. არსებითი სახელი მას ესმის როგორც უ. ოკამის პერსონალურ სუპოზიციიაში მდგარი სახელი, რომელიც ერთდრიულად აღნიშნავს საგანს და გამოხატავს ცნებას: „მეტყველების ნაწილს, რომელიც ემსახურება ბუნების არსების და ცნებების გამოხატვას, ეწოდება არსებითი სახელი ან სახელი უპირატესად, მაგალითად: ქვა, ხე, ცხენი, მზე- ბუნების საგნების სახელებია; სათნოება, სილამაზე- ცნებების სახელებია“ (იქვე, 121).

წინადადება გაგებულნი როგორც მსჯელობა მისაღებია ლოგიკისათვის, რომელიც გამოყოფს მასში სუბიექტსა და პრედიკატს ისე, რომ არ აქცევს ყურადღებას

საკუთრივ სიტყვებს და მათ შორის გრამატიკულ მიმართებებს. მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეიძლება გვერდი აუაროს გრამატიკამ. ლინგვისტური ანალიზის დროს ადრე თუ გვიან წინადადების გრამატიკული ფაქტურა უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ორწევრიან ლოგიკურ სტრუქტურასთან. წინადადებაში დამატებისა და განსაზღვრების გამოყოფა ფაქტობრივად უარყოფს წინადადების გაიგივებას მსჯელობასთან. მაგრამ ამ ფაქტისთვის ი. დავიდოვს არ მიუცია სათანადო თეორიული შეფასება. მართალია, დამატებასა და განსაზღვრებას იგი უწოდებს „წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს“ (Давыдов, 1854:280), მაგრამ ამით ვერ უარყოფს წინადადების სინტაქსური სტრუქტურის არსებობას. წინადადების ლოგიკისტური გაგების კიდევ ერთ კონტრარგუმენტს- გარემოებას ი. დავიდოვი არ ცნობს წინადადების წევრად, და ალბათ ამიტომ დეტალურად აღწერს გრამატიკის სხვა ნაწილში. რადგან საგნის ყოველგვარი მოქმედება ან თვისება წარმართება სივრცესა და დროში გარკვეული სახითა და მიზეზით, წინადადებაში გვაქვს ამის აღმნიშვნელი სიტყვებიც, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ გარემოების სახელით (Давыдов, 1854:319). ჩვენთვის მნიშვნელოვანია მივაქციოთ ყურადღება იმას, რომელი მეტყველების ნაწილებით გამოიხატება გარემოება. ადგილის გარემოებასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს: „ადგილის გარემოება გამოიხატება ნაცვალსახელებისა და სახელებისგან მიღებული ზმნიზედებით: здесь (აქ), там (იქ), внизу (ქვემოთ), долу (ძირს). მაგრამ მხოლოდ ზმნიზედები არ არის საკმარისი ადგილის გარემოების გამოსახტავად. ამიტომ მათ ნაცვლად გამოიყენებიან ირიბ ფორმაში მდგარი სახელებიც წინდებულებით“ (Давыдов, 1854:320). მოყვანილი დებულება შეიცავს წინააღმდეგობრიობას: გარემოების მთავარ გამომხატველად ავტორი მიიჩნევს ზმნიზედებს, რომლებიც წარმოიქმნენ ამ ფუნქციის შემსრულებელი სახელებისგან. ისმის კითხვა, ზმნიზედა თუ მისი მაწარმოებელი სახელია გარემოების მთავარი გამომხატველი? დავაკვირდეთ ი. დავიდოვის მიერ მოყვანილ მაგალითებს:

1. ადგილის გარემოება:

ехать на санях (ციგით მგზავრობა)

жить при дороге (ცხოვრება გზასთან)

кататься на дрожках (გასეირნება ეტლით)

победа под Полтавою (გამარჯვება პოლიტავასთან)

в чужой монастырь со своим уставом не ходят (სხვის ტაძარში თავისი წესდებით არ შედიან)

язык до Киева доведет (ენა კიევამდე მიგიყვანს)

2. დროის გარემოებ

играть по вечерам и по ночам (თამაში საღამოებითა და ღამეებით)

работать день и ночь (დღე და ღამე მუშაობა)

курс оканчивается в один день (კურსი მთავრდება ერთ დღეში)

запастись хлебом на целый год (მომარაგება პურით ერთი წლისთვის)

с весны до глубокой осени жить в деревне (გაზაფხულიდან ღრმა შემოდგომამდე სოფელში ცხოვრება)

3. ვითარების გარემოება

верхом (ზემოდან),

боком (გვერდით),

соловьем (ბულბულივით),

ложкой (კოვზით),

стеблем (ღეროსავით),

однажды (ერთხელ),

мало (ცოტა),

много (ბევრი),

часто (ხშირად),

очень (ძალიან),

по уши (ყურებამდე),

за деньги (ფულით).

4. მიზეზის გარემოება:

с радости (სიხარულით),

от зависти (შურით),

за труды (შრომისათვის). (იქვე, 327).

მოყვანილ მაგალითებში გარემოების როლში სახელები აშკარად სჭარბობენ ზმნიზედებს.

ანტიკური გრამატიკა იყო ნორმატიული. ძველი ბერძენი და შემდეგ უფრო რომაელი გრამატიკოსები ენობრივი ფორმების უნიფიკაციის გზით ადგენდნენ ბრუნებისა და უღლების პარადიგმებს, აყალიბებდნენ ენობრივი ფორმების გამოყენების წესებს. ამასთან, ანტიკური გრამატიკის ნორმატიულობა ეფუძნებოდა ანალოგიის პრინციპს, რომელიც აფიქსირებდა მეტყველების ელემენტების მსგავსებას (ИЛУ, 1980: 207). ანტიკური გრამატიკა ვერ ადგენდა ენის კანონებს, ამიტომ დროთა განმავლობაში ეს ადგილი გრამატიკულ აღწერაში დაიკავეს ლოგიკურმა კანონებმა. გრამატიკული ლოგიციზმი განპირობებული იყო იმით, რომ ანტიკური გრამატიკა იფარგლებოდა მეტყველების აღწერით. არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ლოგიცისტური პრინციპების კრიტიკა ენათმეცნიერებაში დაიწყო ლინგვისტების მიერ ენის კანონებზე ყურადღების გადატანით, პირველად ეს მოხდა ისტორიულ-შედარებით გრამატიკაში, რომლის შემომღებმა ფრ. ბოპმა, რ. რასკმა, ი. გრიმმა და მათმა მიმდევრებმა ენათა მონათესაობისა და წინარე - ენის დასადგენად მიმართეს ენებში მოქმედ ობიექტურ კანონებს. „ისე როგორც სამი მოცემული წერტილიდან შეიძლება ავაგოთ ფიგურა, სამი მონათესავე ენის მიმართებიდან შეიძლება

გამოვიყვანოთ მათი სიცოცხლის კანონი”,- აღნიშნავდა ი. გრიმი და ამიტომ უსარგებლოდ მიიჩნევდა ლინგვისტურ კვლევაში ლოგიკური პრინციპების გამოყენებას: „მე მეუცხოება ლოგიკური ცნებები გრამატიკაში, მათ, როგორც ჩანს, შემოაქვთ სიზუსტე და მკაფიოობა განმარტებებში, მაგრამ ისინი ხელს უშლიან დაკვირვებას, რომელიც სულია ენობრივი კვლევის” (იხ.ЗвегиПнцев, 1956:54). ენებზე დაკვირვების შედეგად ფრ. ბოპმა დაადგინა ინდოევროპულ ენებში აფიქსთა დამთხვევის კანონზომიერება (ЗвегиПнцев, 1956:29), ხოლო რ. რასკმა ჩამოაყალიბა სამეტყველო ბგერათა შესატყვისობის ფონეტიკური კანონები (ЗвегиПнцев, 1956:38,39). არნ. ჩიქობავას შეფასებით, „ისტორიულმა თვალსაზრისმა აქცია ენის შესახებ აზროვნება ენათმცნიერებად. განვითარების პრინციპმა მოგვცა ის, რაც ვერ მოახერხა ფილოსოფიურმა გრამატიკამ, ვერ მოახერხა სწორედ იმიტომ, რომ მისთვის ენა არსებობდა მხოლოდ სტატიკაში- როგორც აზრის გამოვლენა - განხორციელების საშუალება“ (ჩიქობავა, 1983:244).

2.5 არსებითი სახელის ლოგიკურ-გრამატიკული განმარტება თ.

ბუსლაევთან

ი. გრიმის იდეებით რუსეთში გატაცებული იყო ცნობილი ფილოლოგი თ. ბუსლაევი (Виноградов, 1978:69), რომლის თანახმად, „ფილოლოგიური გრამატიკა“, ასე უწოდებდა იგი ანტიკურ გრამატიკას, ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვებით მხოლოდ აყალიბებდა ენის გამოყენების პრაქტიკულ წესებს და არაფერი იცოდა იმ კანონების შესახებ, რომლებიც გვიხსნიან გრამატიკულ ფორმათა წარმოქმნასა და სახეცვალებას; „ფილოლოგმა არ იცოდა გრამატიკული ფორმის შინაგანი წყობა, მაგრამ შეეძლო მისი სწორად გამოყენება“ (Буслаев, 1858:11). მეცნიერება ენის შესახებ, რომელიც ლინგვისტიკის სახელით ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, პირიქით, ცდილობდა დაკვირვების საფუძველზე აღმოეჩინა ენის წარმოშობის კანონები, ამიტომ „ლინგვისტიკისთვის გრამატიკა უკვე აღარ არის ხელოვნება, არამედ

იქცა პოზიტიურ მეცნიერებად ენის შესახებ“ (Буслаев 1858: XIV). ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით, რომელიც ეფუძნება ენობრივ კანონებს, გრამატიკა განიხილავს ენას, როგორც მთლიან ორგანიზმს, რომელიც არ შეიცავს მცდარ და გამონაკლის ფორმებს. ამიტომ უცნაურია ზოგადი გრამატიკების ავტორთა მიზანი გრამატიკული ფორმების ასახსნელად გამოიყენონ სქოლასტიკური ლოგიკის დებულებები (Буслаев, 1858: XVI) თ. ბუსლაევი ერთმანეთისგან განასხვავებს გრამატიკულ წესებს, რომლებითაც ხდება სალიტერატურო ენის გამოყენება და გრამატიკულ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ენობრივი ფორმების თვისებებს. „გრამატიკა არის მეცნიერება ენის შესახებ. ცალკე გრამატიკულ ფორმებს იგი უქვემდებარებს ზოგად კანონებს“ (Буслаев, 1868:12). უნდა აღინიშნოს, რომ თ. ბუსლაევის თეორიულად დასაბუთებული სურვილი შეექმნა წმინდა ლინგვისტურ საწყისებზე მეცნიერული გრამატიკა განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ. რუსი გრამატიკოსის მართებული მიჩნევით, კომუნიკაცია შეიძლება შედგეს მხოლოდ აზრის გადმოცემით, ხოლო აზრს გამოხატავს წინადადება. „ამიტომ მეტყველების ნაწილების წარმოქმნა და მათი ცვლილება ეფუძნება სინტაქსურ კანონებს, რადგან წარმართება აზრის მოთხოვნით, ამრიგად, ...ყოველი სიტყვა სხვა არაფერია თუ არა ცოცხალი წევრი ცოცხალი მთლიანობისა, რომელსაც ეწოდება წინადადება“ (Буслаев, 1858:2). ამრიგად, წინადადების უპირატესობას სამეტყველო ბეგრასთან, მარცვალთან, სიტყვასთან თ. ბუსლაევი ხედავს იმაში, რომ იგი განახორციელებს კომუნიკაციის მთავარ მიზანს, გამოხატავს აზრს. ამდენად ლინგვისტურ ღირებულებას წინადადებას ანიჭებს აზრი. ამის გამო ბუსლაევისთვისაც აზრი წინადადების რაობის ფაქტორია. „წინადადება შედგება ქვემდებარისა და შემასმენლისგან“, - წერს იგი „რუსული გრამატიკის სახელმძღვანელოში“ (Буслаев , 1896:113). მაგრამ თუ ზოგად (ფილოსოფიურ) გრამატიკებში წინადადება შედგება მხოლოდ ქვემდებარისა და შემასმენლისგან, თ. ბუსლაევთან ვკითხულობთ: „ქვემდებარე და შემასმენელი იწოდებიან წინადადების მთავარ წევრებად სხვა სიტყვებისგან განსხვავებით, რომლებიც მათ განსაზღვრავენ და ავსებენ(ამატებენ) და იწოდებიან მეორეხარისხოვან წევრებად“ (Буслаев, 1896:117). წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები ლინგვისტური და არა ლოგიკური ერთეულებია, მათ თ. ბუსლაევი

გამოყოფს წინადადებაში სიტყვებს შორის არსებული სინტაქსური მიმართების საფუძველზე: „წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები ისეთი სიტყვებია, რომლებიც უერთდებიან მთავარ წევრებს შეტანხმებისა და მართვის მეშვეობით. შეთანხმებით შეერთებული სიტყვები განსაზღვრებითია, მართვით შეერთებული - დამატებითი“ (Буслаев, 1896:117). აღნიშნული წევრების გარდა არის ისეთიც, რომელიც არ უერთდება მთავარ სიტყვას გრამატიკულად, შეთანხმებისა და მართვის წესით, მაგალითად:

очень хороший (ძალიან კარგი)

нисколько не хочу (სულ არ მსურს),

иду туда (მივდივარ იქ),

ამგვარი სიტყვები გარემოებითია (Буслаев, 1856:117). ამრიგად, წინადადების მთავარ წევრებს- ქვემდებარესა და შემასმენელს- თ. ბუსლაევი გამოყოფს აზრის ნაწილების- სუბიექტისა და პრედიკატის- საფუძველზე. თუ ყოველი წინადადება გამოხატავს აზრს, მაშინ ყველა წინადადება უნდა შეიცავდეს აზრის ნაწილებსაც და შესაბამისად სუბიექტისა და პრედიკატის გამომხატველ სიტყვებსაც. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები გამოყოფილი არიან ლინგვისტური ანალიზის შედეგად: წინადადებაში სიტყვებს შორის სინტაქსური მიმართებების დადგენით. თ. ბუსლაევის ენა სამეტყველო ბგერებიდან წინადადებამდე წარმოადგენს „ცოცხალ მთლიანობას“, რომელსაც იგი აღნიშნავს ისტორიულ- შედარებითი გრამატიკიდან გადმოღებული ტერმინით „ორგანიზმი“ (Буслаев, 1858:2). ამგვარად გაგებული ენიდან გამომდინარე მეტყველების ნაწილებს თ. ბუსლაევი განიხილავს წინადადებაში, მჭიდრო კავშირში წინადადების წევრებთან, კერძოდ, „ქვემდებარე უპირატესად არის არსებითი სახელი, ასე რომ ყოველი სხვა მეტყველების ნაწილი ქვემდებარის როლში განიცდის „გაარსებითებას“, მაგალითად, „грязнуло ура“ (იქუხა ვაშამ) (Буслаев, 1896:117). შემასმენლის „თავდაპირველი ეტიმოლოგიური ფორმა არის ზმნა, რადგან ეს მეტყველების ნაწილი ყოველთვის წარმოდგენილია შემასმენლის მარტივ ფორმაში და სხვა მეტყველების ნაწილთან ერთად გვხვდება შედგენილ შემასმენელშიც“: „Земля есть планета (დედამიწა არის პლანეტა),

„праздность вредна (სიზარმაცე მავნეა) (Буслаев, 1856:116). განსაზღვრების როლში გამოდიან არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები. მაგალითად : „император Петр построил Петербург” (იმპერატორმა პეტრემ ააშენა პეტერბურგი), „река Дунай широка” (მდინარე დუნაი ფართოა), „город Афины славен” (ქალაქი ათენი დიდებულია). სიტყვები: „императорი“, „დუნაი“, „ათენი“ წარმოადგენენ განსაზღვრებას (Буслаев, 1856:118). დამატებას წარმოადგენენ მართვადი სიტყვები: არსებითი სახელები წინდებულითა და უწინდებულად, აგრეთვე ინფინიტივი. რაც შეეხება გარემოებით სიტყვებს, ასეთებად თ. ბუსალევი ასახელებს უპირატესად ზმნიზედებს. მაგრამ შენიშნავს: „(არსებითი სახელების- ლ.გ) ირიბი ბრუნვები წინდებულითა და უწინდებულად, რომელთაგან წარმოიქმნა ზმნიზედების უდიდესი ნაწილი, ნათლად გვაჩვენებენ, რომ ასეთი ზმნიზედები თავდაპირველად იყვნენ მართვადი სიტყვები, დამატებები, მაგრამ მმართველი სიტყვების უქონლობის გამო იქცნენ დამოუკიდებელ სიტყვებად (Буслаев, 1896:118). თუ გარემოების გამომხატველი ზმნიზედების უდიდესი ნაწილი წარმოიქმნა სახელების ფორმებისგან, მაშინ ზმნიზედები არ შეიძლება ვაღიაროთ გარემოების უპირატეს სიტყვებად, რასაც ადასტურებენ თ. ბუსალევის გრამატიკაში მოყვანილი მაგალითებიც:

„живёт в городе“ (ცხოვრობს ქალაქში),

„идёт из города“ (მოდის ქალაქიდან),

„едет в Киев“ (მიემგზავრება კიევში),

„Петербург основан в 1703 году“ (პეტერბურგი დაარსებულია 1703 წელს),

„со времени Петра Великого“ (პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული),

„пишу пером“ (ვწერ კალმით),

„бежит без оглядки“ (გარბის უკან მოუხედავად),


„умирать с голоду“ (შიმშილით კვდომა),

„делать из любви“ (სიყვარულის გამო გაკეთება). თ.ბუსლაევის შეფასებით, მოყვანილი და მსგავსი მაგალითები, ზმნიზედებისგან განსხვავებით, წინადადებაში შეიძლება განვიხილოთ ორგვარად, როგორც დამატება და როგორც გარემოება (Буслаев, 1896:119). ზმნიზედებისგან განსხვავებით არსებითი სახელები, მართლაც, გამოიყენებიან დამატებისა და გარემოების როლში, პირველი არ გამოირიცხავს მეორეს. მაგრამ ამ ფაქტიდან გამომდინარე თ.ბუსლაევი გარემოების ნამდვილ გამომხატველად მიიჩნევს ზმნიზედას. რაც შეეხება არსებით სახელს, იგი როგორც საგნობრიობის მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვა, გამოიყენება საგნის წარმომჩენ ქვემდებარისა და დამატების სინტაქსური ფუნქციებით (Буслаев,1896:117). ამრიგად, თ. ბუსლაევთან არსებითი სახელი არა იმიტომ აღნიშნავს საგანს, რომ წინადადებაში გამოიყენება როგორც ქვემდებარე და დამატება,პირიქით, არსებითი სახელი იმიტომ გამოდის ქვემდებარისა და დამატების სინტაქსურ როლებში, რომ აღნიშნავს საგანს. მაგრამ „სახელი აღნიშნავს საგანს“ ანტიკური გრამატიკის ფილოსოფიური პოსტულატია და არა ლინგვისტური ანალიზის შედეგი. თ. ბუსლაევის გრამატიკაშიც ფილოსოფიურ-ლოგიკური სძლევს ლინგვისტურს.

თავი III. არსებითი სახელის გაგება ლინგვისტიკაში ისტორიზმისა და ფსიქოლოგიზმის დამკვიდრების პერიოდში

3.1 ენის თავდაპირველი ელემენტების პრობლემა

ენობრივი კანონების დადგენით ისტორიულ-შედარებითმა კვლევამ შეიძინა მეცნიერული საფუძველი, ხოლო ლინგვისტურმა ანალიზმა-ობიექტურობა. სწორედ ამ პერიოდში გრამატიკოსებმა შესაძლებლად მიიჩნიეს ენის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა. პრეცედენტი ენის თავდაპირველი ფორმების რეკონსტრუქციაში ეკუთვნის ფრ. ბოპს, რომელმაც ენის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე დაუშვა ერთმარცვლიანი ძირები. შემდგომ ეტაპზე ძირები იყოფიან ორ-ზმნურ და ნაცვალსახელურ- კლასებად. პირველისგან წარმოიშვნენ ზმნები და სახელები, მეორისგან- ნაცვალსახელები, წინდებულები, კავშირები და ნაწილაკები.



ფრ. ბოპსის თანახმად, გრამატიკული ფორმები მიღებულია სრულმნიშვნელოვანი ძირების დამხმარე ძირებთან აგლუტინაციის (შერწყმის) შედეგად, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის დაბოლოება „-s“ ბევრ ინდოევროპულ ენაში წარმოიშვა ჩვენებითი ნაცვალსახელისგან „SA“ (ეს): სანსკრიტული: sutas (შვილი), გოთური wulfs (მგელი); ხოლო ზმნის I პირის მხოლობითი რიცხვის ფლექსია „mi“ (სანსკ. asmi “ ვარ “ , dadami “ვამღევ“) წარმოქმნილია ნაცვალსახელისგან „ma“ (იხ.Звегинцев,1956:34-35).

მართალია, ფრ. ბოპსთან მეტყველების ნაწილთა გაჩენის თვალსაზრისით უწინარესია ზმნური ძირები, მაგრამ კომპარტივისტიკის დამაარსებელი ენაში სახელების გაჩენასაც ვარაუდობდა გრამატიკული ფორმების წარმოქმნამდე, რადგან არ დაუშვებდა ენის გამოყენებას სახელების გარეშე. არ იყო შემთხვევითი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ისიც, რომ პირველ მეტყველების ნაწილებად ი. დავიდოვმა

დაასახელა მოქმედებისა და საგნების აღმნიშვნელი, ხოლო თ. ბუსლაევმა - ქვემდებარისა და შემასმენლის გამომხატველი სიტყვები. სახელისა და ზმნის აღიარება მეტყველების საფუძვლად უკავშირდება პლატონსა და არისტოტელეს. სულ სხვაა ნ. გრეჩის მიერ მეტყველების ნაწილთა დიაქრონიულ ანალიზში პირველად სიტყვად საგნის თვისებისა და თვით საგნის აღმნიშვნელი სახელის გამოყოფა, რომელიც ეფუძნება იმ ფილოსოფიურ ტრადიციას, რომლის თანახმადაც, საგნებსა და მოვლენებს ადამიანი აღიქვამს მათი თვისებების მეშვეობით, ამიტომ სამყარო შედგება საგნებისა და მათი თვისებებისგან (Оккам, 2002:11).

გერმანელი ენათმეცნიერი მაქს მიულერი დარწმუნებული იყო ენის ისტორიული კვლევის შესაძლებლობაში. იგი აღნიშნავდა: „ინდო-ევროპულ ენათა გრამატიკული საფუძველი თითქმის მთლიანად გამოკვლეულია თავდაპირველი სიტყვების ჩათვლით და საკმარისად ახსნილია თუნდაც ერთი შეხედვით ყველაზე უმნიშვნელო იდუმალი ცვლილებებიც... ამაში მდგომარეობს შედარებითი გრამატიკა, ანუ ენის ფორმალური ელემენტების მეცნიერული ანალიზი“ (Мюллер, 2009:177). ენობრივი ფაქტების კლასიფიკაცია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ „ენის წარმოქმნა, ფუნქციონირება და განვითარება ექვემდებარება ბუნებრივ კანონებს“ (Мюллер, 2009: 24). ენის კანონი არ ემორჩილება ადამიანის ნებას, ამიტომ ლინგვისტური ანალიზის შედეგიც ობიექტურია. ამ მხრივ ენათმეცნიერება უნდა მივაკუთვნოთ ბუნების მეცნიერებას (Мюллер, 2009:2). მ. მიულერის აზრით, ენის ისტორიული ანალიზი აუცილებელია, რადგან დიონისე თრაკიელის გრამატიკა ვერ იძლევა ადამიანთა მეტყველების სწორ და სრულ სურათს. სახელი და ზმნა განასხვავებს ფილოსოფოსებმა, მათვე შემოიღეს მრავალი გრამატიკული ტერმინი; „ათენში ფორმალურ ლოგიკას და ფორმალურ გრამატიკას ჰქონდა ერთი და იგივე ტერმინოლოგია“ (Мюллер, 2009:77). დიონისეს ნაშრომი გრამატიკის ერთ-ერთი სათავეა, საიდანაც გრამატიკული მოძღვრება გავრცელდა ცივილიზებულ სამყაროში. იმ ფაქტიდან, რომ ინდოევროპულ ენათა გრამატიკული წყობა ძირითადი მახასიათებლებით ერთი და იგივეა, მ. მიულერი ასკვნის: „გრამატიკის მთლიანი წყობა: წარმოქმნის ელემენტები, ბრუნება, უღლება იყო ჩამოყალიბებული ინდო-ევროპული ოჯახის დაშლამდე“ (Мюллер, 2009:177). გრამატიკულ ფორმათა

ცვლილებას მ. მიულერი ხსნის სიტყვათა ფონეტიკური შერწყმით. ინდოევროპულ ენათა ისტორიას იგი განიხილავს როგორც თანდათან მოშლის პროცესს.

სახელდების (საგნების შერქმევის) აქტი აიძულებს მ. მიულერს აღიაროს: „ყოველი სიტყვა თავდაპირველად არის შემასმენელი“ (Мюллер, 2008:254). ფრ. ბოპთან საგნის მიმართ გამოყენებული ზმნური ძირი იქცევა სახელად ჯერ კიდევ გრამატიკული ფორმის შექმნამდე. მ. მიულერი მიიჩნევს სხვაგვარად: „ინდო-ევროპულ ენებში არც ერთ შემასმენლობით ძირს არ შეეძლო სიტყვის შექმნა. იმისათვის, რომ ზმნური ძირისგან “*luc-*” (ნათ-) მიგველო არსებითი სახელი, საჭირო იყო მას დართოდა ნაცვალსახელური ძირი „*s*“: *lucs* (ნათება) (Мюллер, 2009:204). ამიტომ ასკვნის მ. მიულერი: „ზმნური და ნაცვალსახელური ძირები ადამიანთა მეტყველების ერთადერთი შემადგენელი ნაწილებია“ (Мюллер, 2009:209). ამრიგად, არსებითი სახელი არ არის ენის პირველადი ელემენტი, მაგრამ არის ენის პირველი გრამატიკულად გაფორმებული სიტყვა. მ. მიულერის თანახმად, სახელდების აქტი განპირობებულია საგნის ატრიბუტით (თვისებით ან მოქმედებით), რომელიც უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, ანუ საერთო მრავალი საგნისთვის. ამ პირობით სახელი გამოიყენებოდა ერთი საგნის მიმართ, მაგრამ ზოგადი ნიშნის წყალობით იგი იმთავითვე ვრცელდებოდა მსგავს საგნებზე ანუ იქცეოდა საგანთა კლასის აღმნიშვნელად. ამგვარად, საკუთარი სახელები იქცეოდნენ საზოგადო სახელებად. სახელდების პროცესი საფუძველია შემეცნების, რადგან საგნის ცოდნა აღემატება ამ უკანასკნელთა შეგრძნებასა და აღქმას, იგი საჭიროებს საგნის დაკავშირებას შესაბამის საგანთა კლასთან, იდეასთან: „სანსკრიტული *Naman* (სახელი) წარმოიქმნა ძირისგან *gna* (ცოდნა) და აღნიშნავდა იმას, რითაც ჩვენ ვიმეცნებთ საგნებს“ (Мюллер, 2009:289).

მ. მიულერის შენიშვნა : „სახელი და ზმნა, უფრო სწორად, ქვემდებარე და შემასმენელი განასხვავებს ფილოსოფოსებმა“ (Мюллер, 2009:60) შეიცავს მითითებას იმაზე, თუ როგორ ესმოდათ ფილოსოფოსებს სახელი და ზმნა, კერძოდ, როგორც ლოგიკური კატეგორიები, „აზრის ნაწილები“. მაგრამ მ. მიულერი არ გააგრძელებს ამ მიმართულებით კვლევას. ალბათ იმიტომ, რომ ფილოსოფოსების მიერ გავლებულ ლოგიკურ ზღვარს- სახელი ქვემდებარეა, ზმნა-შემასმენელი- ჩათვლის საკმარისად ამ ორი მეტყველების ნაწილის განსასხვავებლად.

3.2 სახელის გაგებისათვის ფსიქოლოგიურ კონცეფციებში

ფსიქოლოგიზმი, როგორც მეცნიერების ზოგადმეთოდოლოგიური მიმართულება, ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში ეყრებოდა მას საფუძველი. იდეა იმის შესახებ, რომ ყველაფრის არსი მოცემულია ადამიანთა სულში, გონებაში, ეკუთვნის პლატონს (პლატონი. 1966:19). ფსიქოლოგიისა და ლოგიკის დამაარსებელი არისტოტელე უპირატესობას ანიჭებდა მეორეს. ლოგიკის, როგორც მეცნიერებათა „ორგანონის“ იდეამ, განაპირობა მეცნიერული აზროვნების ისტორიაში დიდი ხნით ლოგიციზმის გაბატონება. ფსიქოლოგიის აღიარება, კვლევის უნივერსალურ მეთოდოლოგიურ საფუძველად დაკავშირებული იყო პირველ რიგში ი. კანტის ფილოსოფიასთან. ტრადიციული მეტაფიზიკის თანახმად, ორ იდეას იმიტომ შეუძლია შეეხამოს ერთურთს გონებაში, რომ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან შესაბამისი საგნები ბუნებაში. ამას გულისხმობს დ. იუმი, როცა წერს: „ბუნებამ დაადგინა კავშირები ცალკეულ იდეებს შორის“ (იუმი, 1992:52); ინგლისელი ფილოსოფოსი აზუსტებს: „როდესაც მრავალ მაგალითში გვინახავს, რომ საგანთა რაღაც ორი სახე- ცეცხლი და სითბო, თოვლი და სიცივე- ყოველთვის შეერთებული ყოფილა, მაშინ, თუკი ცეცხლი ან თოვლი კვლავ შეგრძნებაში მოგვეცა - გონება, ჩვეულებისამებრ, მოელის სითბოს ან სიცივეს და სწამს, რომ ასეთი თვისება არსებობს და გამოჩნდება, თუ ამ საგნებს მივუახლოვდებით“ (იუმი, 1992:48). მსგავსად ყოველი საზრისი წარმოქმნილია შესაბამისი ფიზიკური ობიექტით. მენტალური სამყარო სრულიად განისაზღვრება ფიზიკურით. დ. იუმისთვის არსებობს მხოლოდ ემპირიული გონება. რადგან მიზეზ-შედეგობრივი მიმართება ეფუძნება ცდას და არა გონებას, ენაში გვაქვს მხოლოდ ასერტორიული გამონათქვამები და არ არსებობენ აპოდიქტური, რომლებიც შეიცავენ გონებისეულ (აპრიორულ) აუცილებლობას.

არისტოტელედან მოყოლებული დ. იუმის ჩათვლით ფილოსოფოსები მიიჩნევდნენ, რომ გონება იგივეობრივად ასახავს და შესაბამისად განმარტავს

სამყაროს. ი. კანტის ახალი მეტაფიზიკის თანახმად, გონება ახდენს სამყაროს კონსტრუირებას იმ ფსიქიკური მონაცემისგან, რომელსაც მას აწვდის შეგრძნება. როგორც ინდივიდისგან დამოუკიდებელ კონსტრუქტორს გონებას მოეპოვება მოღვაწეობის (სამყაროს კონსტრუირების) საკუთარი იმანენტური (აპრიორული) ფორმები და კანონები. წმინდა გონების შესწავლა (კრიტიკა) იმიტომ არის შესაძლებელი და აუცილებელი, რომ მას (გონებას) აქვს საკუთარი კატეგორიები, მათ შორის მიზეზ - შედეგობრივი კავშირიც, რომელიც დედუქციურია ბუნებით. ი. კანტი წერს: „გარეთა ნივთები ჩვენ გვეძლევიან როგორც შეგრძნების საგნები, მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორი არიან ისინი (ნივთები- ლ.გ.) თავისთავად, ჩვენ არაფერი ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი მოვლენები, ესე იგი წარმოდგენები“ (Кант, 1965:105). ამრიგად, კანტის მეტაფიზიკის თანახმად, ადამიანისთვის რეალურია გონებისეული, იდეალური სამყარო და არა უცნობი საგნებისგან შემდგარი ფიზიკური სამყარო. თუ ყველაფერი, რაც ვიცით სამყაროს შესახებ, ვიცით გონებიდან, მაშინ მეცნიერების ყველა დარგის საფუძველი უნდა იყოს ფსიქოლოგია. ამრიგად, ი. კანტთან საგნებს წარმოქმნის გონება და არა ბუნება. „ნივთი თავის თავად“ არ არის საგანი, არამედ - რაღაც (=გაურკვეველი რამ), რაც ზემოქმედებს შეგრძნებაზე. „ნივთი თავისთავად“ სახელდების თვალსაზრისით პირობითი ტერმინია. ამდენად ი. კანტთან საგანი, როგორც არსებითი სახელის აღსანიშნი, შეიძლება იყოს მხოლოდ გონებაში.

ლინგვისტიკაში ფსიქიკურის კვლევას მოითხოვდა ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრებაც, რომლის მიხედვით ენის რაობას განსაზღვრავს მისი შიდა-ფორმა, რომელიც არის ადამიანის სულის ნაწილი (Гумбольдт, 1984:100). მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფსიქიკურის შესაწავლაში კორექტივს შეიტანს მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდოლოგია - პოზიტივიზმი. ამ კონცეპციის თანახმად, მეცნიერული ცოდნა არ არის აბსოლუტური და ამიტომ კვლევაც არ შეიძლება მიზნად ისახავდეს პირველმიზეზების დადგენას, როგორც ამას მოითხოვდნენ მეტაფიზიკის წარმომადგენლები (Конт, 2012:81). მეტაფიზიკური ცოდნისაგან განსხვავებით პოზიტიური (რეალური) ცოდნა უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებსა და კანონებს. ხოლო ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა

მკვლევრის „წარმოსახვა ექვემდებარება დაკვირვებას“ (Конт, 2003:72). ფსიქიკის დაკვირვებადი ნაწილი არის ის, რომელიც წარმოდგენათა მეშვეობით ასახავს ფიზიკურ სინამდვილეს. ვ. ჰუმბოლდტის „ენის შიდა- ფორმა“ დარჩა ემპირიული ფსიქოლოგიის გარეთ. ფსიქიკურის შესწავლის საფუძველად პოზიტიურმა მეცნიერებამ აღიარა წარმოდგენები და მათი არსებითი კავშირები-კანონები. ამ უკანასკნელთა დადგენის შემთხვევაში მეცნიერული კვლევა ვრცელდებოდა წარსულში არსებულ ობიექტებზეც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტური მეთოდოლოგია წარმოდგენილი იყო ისტორიზმითა და ფსიქოლოგიზმით. ენაზე ამ ორი თვალსაზრისის შეთავსებას ვხვდებით ლაიფციგის ახალგრამატიკული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ჰერმან პაულის ნაშრომში „ენის ისტორიის პრინციპები“. „ყოველი გრამატიკული კატეგორია წარმოიქმნება ფსიქოლოგიურის საფუძველზე. პირველი წარმოდგენს მეორის გარეგან გამოხატვას“ (Пауль, 1960:315), - წერს ჰ. პაული და აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ენის შესასწავლად არ არის საკმარისი მხოლოდ „ენის ისტორია“ (ასე უწოდებს ავტორი მეცნიერებას ენის შესახებ). სამეტყველო მოღვაწეობა ფსიქიკური პროცესია, ამიტომ მას უნდა სწავლობდეს ფსიქოლოგიაც. აღნიშნულის შემდეგ არ არის მოულოდნელი, როდესაც წინადადებასაც, როგორც სამეტყველო მოღვაწეობის შედეგს, ჰ. პაული განმარტავს ფსიქიკური სუბსტრატის საფუძველზე: „წინადადება არის გამომხატველი, სიმბოლო იმისა, რომ მეტყველის ფსიქიკაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე წარმოდგენის ან წარმოდგენათა ჯგუფის შეკავშირებას და საშუალება იმისათვის, რათა მსმენელის ფსიქიკაშიც აღიძვრეს იმავე წარმოდგენათა იგივე შეკავშირება“ (Пауль, 1960:143). წარმოდგენათა შეკავშირება ფსიქიკური საფუძველია წინადადების, იგი შედგება ფსიქოლოგიური ქვემდებარისა და ფსიქოლოგიური შემასმენლისაგან. „ფსიქოლოგიური ქვემდებარე არის წარმოდგენათა ის ჯგუფი, რომელიც პირველი ჩნდება მთქმელის ცნობიერებაში და რომელსაც უკავშირდება წარმოდგენათა სხვა ჯგუფი- ფსიქოლოგიური შემასმენელი“ (Пауль, 1960:147). ჰ. პაულის წინადადებაში წარმოდგენები არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ლოგიკურად, ამიტომ ფსიქოლოგიურ ქვემდებარედ და ფსიქოლოგიურ შემასმენლად შეიძლება გამოდიოდეს ყოველი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი, რასაც

ადასტურებს ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითიც: „წინადადება Karl fährt morgen nach Berlin (კარლო მიემგზავრება ხვალ ბერლინს) შეიძლება იყოს აღქმული როგორც ოთხწევრიანი, თუ წინადადების ყველა შემადგენელი ნაწილი მსმენელისთვის ახალია. ამ შემთხვევაში „კარლოსთვის“ შემასმენელი იქნება „მიემგზავრება“ ხოლო ეს უკანასკნელი გამოდის, როგორც ქვემდებარე შემასმენლებისთვის „ხვალ“ და „ბერლინს“... თუ ცნობილია, რომ ვიღაც ხვალ გაემგზავრება ბერლინს, მაგრამ გაურკვეველია ვინ. მაშინ გრამატიკული ქვემდებარე „კარლო“ გადაიქცევა ფსიქოლოგიურ შემასმენლად (Пауль, 1960:339). ამრიგად, ტერმინები „ფსიქოლოგიური ქვემდებარე“ და „ფსიქოლოგიური შემასმენელი“ გამოხატავენ უწინარესობის მიმართებას წარმოდგენებს და არა სიტყვებს შორის და ქმნიან არა საკუთრივ წინადადებას, არამედ ამ უკანასკნელის მხოლოდ ფსიქიკურ საფუძველს. მაგრამ ყოველ ცვლილებას წინადადების ლინგვისტურ სტრუქტურაში ჰ. პაული გვიხსნის ცვლილებით მის ფსიქიკურ სუბსტრატში - „ფსიქოლოგიურ მსჯელობაში“. ფილოსოფიური და ლოგიკისტური გრამატიკებისაგან განსხვავებით ენის ფსიქოლოგისტური ანალიზი არ ითვალისწინებს ენის მიმართებას ფიზიკურ სამყაროსთან. იგი შემოიფარგლება წინადადებით, რომელშიც ყველაფერს განიხილავს როგორც ფსიქოლოგიური სუბიექტისა და ფსიქოლოგიური პრედიკატის მიმართების შედეგს. ამასთან, ჰ. პაულისთვის ლინგვისტური კვლევა შეიძლება იყოს მხოლოდ ისტორიული. ამ მეთოდოლოგიური პრინციპის თანახმად, ენობრივი ელემენტის მეცნიერული ინტერპრეტაცია არის ამ ელემენტის წარმომავლობისა და განვითარების ჩვენება. ისტორიული და ფსიქოლოგისტური თვალსაზრისები არ გამორიცხავენ ერთი მეორეს. „ენის ისტორიის პრინციპებში“ ჰ. პაული გვიხსნის არა მეტყველების ნაწილების ჩამოყალიბების პროცესს, არამედ წინადადების წევრებისა. წინადადების ამოსავალი სტრუქტურა მასთან შედგება ორი (ქვემდებარე და შემასმენელი) წევრისგან. იმის გამო, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქვემდებარე-შემასმენლის მიმართება შეიძლება განმეორდეს წინადადებაში შემავალ სხვა სიტყვებს შორისაც, წინადადების სტრუქტურა დაუშვებს რამდენიმე შემასმენელს ერთ ქვემდებარესთან და, პირიქით. აღნიშნული ხდება მაშინაც, როდესაც ქვემდებარესთან მიმართებაში შემასმენელი განიცდის „დეგრადაციას“

(შესუსტებას), რის შედეგადაც ქვემდებარე იძენს კიდევ ერთ შემასმენელს. მაშინ „ორი შემასმენლიდან ერთი ექვემდებარება მეორეს და ამით გადაიქცევა განსაზღვრებად ქვემდებარისთვის“ (Пауль, 1960:163). ავტორს მოჰყავს მაგალითები შექსპირიდან: *It is thy sovereign speaks to thee* (ეს არის შენი მონარქი, (რომელიც) გელაპარაკება შენ); *Here are some will thank you* (აქ არიან ვიღაცები, ვინც მადლობას გადაგიხდის); *„It is not you I can call for?“* (ეს არ ხარ შენ, (ვისაც) მე ვიძახი); გერმ. *„Wermas ein Man lac vorme Gral?“* (ვინ იყო კაცი, (რომელიც) იწვა გრაალის წინ?). „ამრიგად, სახელის განსაზღვრება აშკარად იღებს სათავეს ქვემდებარის განსაზღვრებაში“, - ასკვნის ჰ. პაული. მისი მონაცემითვე უძველესი დროიდანვე ცნობილია პრედიკატული განსაზღვრება; *„er cam gesund* (ის ჩამოვიდა ჯანმრთელი), *„er bat mich auf den knleen“* (ის მეხვეწებოდა მუხლმოდრეკილი) (Пауль, 1960:169). მაგრამ ატრიბუტული მიმართების ყველაზე მარტივი და ადრინდელი შემთხვევაა ორი არსებითი სახელის თანადგომა (აპოზიცია): *„Totila ein konig der Ostgoten* (ტოტილა მეფე ოსტგოტების); *„Paul Mendelsson“* (პაულ მენდელსონი); *„ein Art Forellen“* (კალმახის ჯიში), *„ein Fuder Wein“* (კასრი ღვინო).

დამატება და გარემოება წარმოიქმნენ წინადადებაში შემავალი იმ სიტყვებისაგან, რომლებმაც დაამყარეს პრედიკატული მიმართება შემასმენელთან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გამოვიდა მასზე დაქვემდებარებული სიტყვების მიმართ ფსიქოლოგიური ქვემდებარის როლში. გარემოება (Adverbiale Bestimmungen “ზმნის განსაზღვრება”) შემასმენლის გარდა შეიძლება განსაზღვრავდეს მთლიან წინადადებასაც: *„morgen Abend will ich dich besuchen“* (ხვალ საღამოს მინდა გეწვიო); *„auf dem Tische liegen zwei Bucherr“* (მაგიდაზე აწყვია ორი წიგნი) (Пауль, 1960:343).

ჰ. პაულის თანახმად, სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილებს ახასიათებს შესაბამისი სინტაქსური ფუნქცია. „ზედსართავისა და ზმნისგან განსხვავებით, არსებითი სახელი უპირველეს ყოვლისა გამოდის ქვემდებარისა და დამატების ფუნქციით”, - თვლის ჰ. პაული, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი: „ამავე დროს არსებითი სახელი შეიძლება იყოს გამოყენებული განსაზღვრების, ანუ პრედიკატივის ფუნქციითაც, როგორც ზედსართავი სახელი, მეორე მხრივ, არსებითი სახელის როლში შეიძლება გამოდიოდნენ სხვა სიტყვებიც“ (Пауль, 1960:417). ამრიგად, თუ

წინადადებაში არსებითი სახელი არ არის ქვემდებარე ან დამატება, იგი გამოიყენება არა თავისი სინტაქსური ფუნქციით, მაშინ როდესაც ზმნა „განვითარების უკვე უძველეს საფეხურზე გამოდის როგორც შემასმენელი ქვემდებარესთან“ (Пауль, 1960:417). ამასთან ერთად, ჰ. პაულის შეფასებით, „გამოკვეთილი ფორმალური დიფერენციაციის მიუხედავად, განსხვავება სახელსა და ზმნას შორის არ არის აბსოლუტური“ (Пауль, 1960:452), რადგან არსებობენ გარდამავალი და შერეული ფორმებიც: მიმღეობა, ინფინიტივი. ზმნიზედების უდიდესი ნაწილი წარმოიქმნა სახელების წინდებულიანი ფორმებისგან, მაგრამ შეუძლებელია საზღვრის გავლება ზმნიზედებსა და ზედსართავ სახელებს შორის ყველა ენაში: „ფორმალურად ზედსართავი განსხვავდება ზმნიზედისგან იმით, რომ იბრუნება, რის შედეგადაც გრამატიკულად ეთანხმება არსებით სახელს.“ იქ, სადაც ეს ფორმალური კრიტერიუმი არ არსებობს, ენობრივ ალღოს არ ძალუძს გაავლოს შესაბამისი ზღვარი, მაგალითად, გერმანულში: „er spricht gut“ (ის კარგად ლაპარაკობს), ან er ist gut gekleidet“ (ის კარგად არის ჩაცმული), მაგრამ „er ist gut“ (ის არის კარგი) (Пауль, 1960:433). ჰ. პაული გამოყოფს შემთხვევებს, როცა განსაზღვრება შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ქვემდებარეს, ისე შემასმენელსაც. ამიტომ ახალზემოგერმანულ ზმნიზედას allein (ერთი) ლათინურსა და ფრანგულში შეესატყვისებიან ზედსართავი სახელები „solus“, „seul“ (მარტო) (Пауль, 1960:436). ჰ. პაულის აზრით, შეუძლებელია დავანაწილოთ სიტყვები მეტყველების ნაწილებად ერთდროულად სამი (სემანტიკური, სინტაქსური და ფორმალური) კრიტერიუმის საფუძველზე. ამიტომ ანტიკური დროიდან დამკვიდრებული მეტყველების ნაწილების სისტემა არ შეიძლება იყოს ლოგიკური.

შეძლო თუ არა ჰ. პაულმა ენის ფსიქოლოგიისტური აღწერით კავშირის გაწყვეტა ლოგიკურ-გრამატიკულ ტრადიციასთან და გრამატიკული სტრუქტურის სხვა პერსპექტივით წარმოჩენა? წინადადებაში ფსიქოლოგიური ქვემდებარისა და ფსიქოლოგიური შემასმენლის დაშვებით მიმართება წინადადების წევრებსა და წინადადების ნაწილებს შორის გახდა უფრო თავისუფალი: წინადადებაში შემავალი ყველა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა შეიძლება გამოდიოდეს, როგორც ფსიქოლოგიური ქვემდებარის, ისე ფსიქოლოგიური შემასმენლის როლში. აღნიშნულმა შეუქმნა „ენის ისტორიის პრინციპების“ ავტორს საფუძველი მისულიყო

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ჭეშმარიტებასთან: განსხვავება სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილებს შორის არ არის აბსოლუტური. ჰ. პაულის შეხედულება შეეფერება ისტორიულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ ენის ევოლუციონისტურ გაგებას. მაგრამ მეტყველების ნაწილებს ჰ. პაული განმარტავს ტრადიციულად სემანტიკური, სინტაქსური და ფორმალური ნიშნებით. ანტიკური ტრიადა „არსებითი სახელი-საგანი-ქვემდებარე“ „ენის ისტორიის პრინციპებში“ დარჩა უცვლელი.

3.3 სახელის ლოგიკისტური გაგების კრიტიკა ა. პოტებნიასთან

ჰ. პაულისგან განსხვავებით უკრაინელი ენათმეცნიერი ა. პოტებნია არათუ არ წყვეტს კავშირს ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრებასთან, პირიქით, ცდილობს მას დააფუძნოს ფსიქოლოგიზმი ლინგვისტიკაში. ის მიიჩნევს, რომ ისტორიულ-შედარებით მეთოდს შეუძლია გვაჩვენოს ენის წარმოქმნისა და განვითარების პროცესი მხოლოდ ფსიქოლოგიასთან კავშირში, რადგან სიტყვა ჩნდება ფსიქიკური ხატის გარდაქმნისა და შეგრძნებათა განზოგადების შედეგად (Потебня, 1976:151). ენის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებენ წარმოდგენებიცა და ასოციაციებიც: „ადამიანი აღიქვამს წარმოთქმულ ბგერას და ბგერის ფსიქიკური სახე, რომელიც მუდამ მოჰყვება საგნის ფსიქიკურ ხატს, შემდგომში ასოცირდება მასთან“ (Потебня, 1976:111). ა. პოტებნია საინტერესოდ იყენებს ვ. ჰუმბოლდტის ერთ-ერთ მთავარ „შინაგანი ფორმის“ ცნებას. ადამიანის ფსიქიკაში შეუწყვეტლივ წარიმართება წარმოდგენათა წარმოქმნის, მათი ასოციაციებით დაკავშირებისა და სიტყვათა მეშვეობით ცნებებად გარდაქმნის პროცესი. წარმოდგენის წყალობით ადამიანი ასახავს გარეთ მოცემულ საგანს მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. საგნის ამგვარი აღქმა არის სუბიექტური. ამასთან, სიტყვაში საგანი აისახება მხოლოდ ერთი თავისი ნიშნით, მაგალითად, რუსული სიტყვა стол (მაგიდა) ასოციაციით იწვევს რაღაც გაშლილის სახეს, რომელიც შეადგენს ამ სიტყვის შინაგან ფორმას და ამიტომ არის ყველასათვის საერთო და, მაშასადამე, ობიექტურიც. საგანს აქვს მრავალი

ნიშანი, მაგრამ, ა. პოტებნიას სწავლებით, ენას მოაქვს საგანი ჩვენთვის მხოლოდ ერთი ნიშნით, რომელიც აკავშირებს სიტყვას საგანთან. საგნის ერთი ნიშნის შემცველი სიტყვის შინაარსი ობიექტურია, ა. პოტებნია უწოდებს მას „უახლოესს“. სიტყვა ვერ გადმოსცემს საგნის მრავალ და მით უმეტეს ყველა თვისებას. ეს მეორე, ანუ სიტყვის სუბიექტური („შორი“) შინაარსი მხოლოდ იგულისხმება. მოლაპარაკე ადამიანები ობიექტურად აცნობიერებენ სიტყვის მხოლოდ უახლოეს შინაარსს, ასე, მაგალითად, რუსებისთვის „Облако“ (ღრუბელი) პირველ რიგში არის ის, რაც „обволакивает“ (მოეფინება). სიტყვის უახლოესი ობიექტური მნიშვნელობა გვაჩვენებს, როგორ წარმოდგინება საგანი ადამიანებს. ამიტომ არის იგი სიტყვის შინაგანი ფორმა. ერთი და იგივე საგანი შეიძლება იყოს წარმოდგენილი მრავალი შინაგანი ფორმით სხვადასხვა ენაში და ერთი ენის ფარგლებშიც სინონიმის შემთხვევაში (Потебня, 1976:114,115). „შინაგანი ფორმა“ არ არის საგნის ფსიქიკური სახე, არამედ გარკვეული ნიშნით წარმოდგენილი სიტყვის სემანტიკური სახე, რომელიც იწვევს მოლაპარაკე ადამიანთა ცნობიერებაში შესაბამისი საგნის ასოციაციას. ამრიგად, ა. პოტებნია განასახვავებს წარმოდგენას, როგორც საგნის ფსიქიკურ სუბიექტურ სახეს, და წარმოდგენას- სიტყვის მნიშვნელობის ფორმას. რადგან სიტყვის შინაარსი შედგება ორი, შინაგანი ფორმა და წარმოდგენა, კომპონენტისგან, ერთი სიტყვის გამოყენებაც გულისხმობს მჯელობას. როცა სახეში გვცემს ამოდრავებული ჰაერი, ჩვენ ვამბობთ: „Ветер“ (ქარი) და ამით მიღებულ შეგრძნებას დავურთავთ ადრე შეგრძნებითვე წარმოქმნილ წარმოდგენას, რომელიც ფიქსირებულია სიტყვაში „ქარი“. ახლად მიღებული შეგრძნება ფსიქოლოგიური სუბიექტია. „ქარი“ სიტყვის მეშვეობით მასზე დართული მანამდელი წარმოდგენა პრედიკატია (Потебня, 1976:148). ამრიგად, ა. პოტებნიას კონცეფციაში ერთსიტყვიან ნომინატიურ წინადადებაში არსებითი სახელი პრედიკატია. მაგრამ პრედიკატზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მეტყველების ნაწილებისა და დისკურსული (დანაწევრებული) აზროვნების ჩამოყალიბების შემთხვევაში. მეტყველების ნაწილებს ა. პოტებნია დაუშვებს მხოლოდ წინადადებაში. ერთიცა და მეორეც შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადამიანი განასახვავებს აღქმულში საგანსა და მის ნიშნებს. სინამდვილეში არა მხოლოდ ნიშნები არ არსებობენ საგნების გარეშე,

საგნებიც შეუძლებელი არიან ნიშნების გარეშე. ამიტომ, ა.პოტებნიას დასკვნით, კაცობრიობის გარიჟრაჟზე პირველადი ზოგადი სახელი აღნიშნავდა ერთსაც და მეორესაც, ანუ საგანსაც და მის ნიშანსაც. ჩველი ბავშვის მიერ წარმოთქმული დანაწევრებული ბგერების პირველი კომპლექსები: „ლა-ლა“, „პა-პა“, „მა-მა-მა“ გადმოსცემენ შეგრძნებათა დაუშლელ ერთიანობას. ბავშვის მსგავსად, პირველყოფილ ადამიანებსაც არ შეეძლო დაეწყოთ მეტყველება წინადადებით, რადგან ეს უკანასკნელი საჭიროებს მეტყველების ნაწილების ცოდნას. ა. პოტებნიას თანახმად, დანაწევრებული ბგერა არ ჩნდება იმთავითვე მეტყველების ნაწილებისა და წინადადების სახით. იგი წინ უსწრებს ენობრივ ერთეულებს და არის რეფერენტების გამოყოფისა და მათი მენტალური განზოგადების საშუალება. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბავშვი ხედავს დედას განსხვავებულს: სხვადასხვა სამოსში, შეცვლილ გარემოში და ა. შ., მიუხედავად ამისა, ის უწოდებს მას ერთსა და იმავე სიტყვას: „დედა“. ენის საშუალებით ადამიანი ახდენს სინამდვილის მენტალურ კატეგორიზაციას. ამ შემთხვევაში აღქმის შეუწყვეტელ პროცესში, რომელიც წარმართება ფსიქოლოგიური მსჯელობის მეშვეობით, სუბიექტი ყოველთვის ცვალებადია, პრედიკატი- უცვლელი. როცა ბავშვი გაიცხადებს იმას, რომ უამრავი მოვლენის მიღმა დგას ერთი არსი, მას ჩამოუყალიბდება სუბსტანციის კატეგორია. ა. პოტებნია იზიარებს პლატონისა და არისტოტელეს გნოსეოლოგიურ პრინციპს: „ადამიანისთვის ნამდვილი ცოდნა არის მხოლოდ არსის ცოდნა“ (Потенция, 1976:155). საგანი არ არის ნიშანთა ერთობლიობა (a+b+c....), იგი არის ნიშანთა ერთობლიობა (a+b+c...)+ x (არსი). მაგრამ ანტიკური მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, ა.პოტებნია, ვ.ჰუმბოლდტის მსგავსად, აზროვნების წინაპირობად მიიჩნევს სიტყვას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრაინელი ენათმეცნიერი განასხვავებს ვერბალურ და არავერბალურ წარმოდგენებს, ასე, მაგალითად, წყლის წარმოდგენა თავისთავად არ აღნიშნავს საგანს, იგი ასახავს წყალს მთლიანად, იძლევა მის ონტოლოგიურ სურათს კატეგორიზაციის გარეშე. გარეთა ობიექტის მთლიანად ამსახველი „გრძნობიერი სახის“ დაშლა ხდება სიტყვის მეშვეობით. აზროვნების განმაპირობებელი სიტყვა შეიძლება გამოხატავდეს როგორც წარმოდგენას, ისე ცნებასაც, მაგრამ მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ფიქციასთან- ფიზიკურ საგანს მოწყვეტილ ნიშნებთან. ა.

პოტებნია აქ მიჰყვება ვ. ჰუმბოლდტს, რომლის თანახმად, აზრი შეუძლებელია სიტყვის გარეშე. ამასთან ერთად, პოზიტივიზმის პირობებში მისთვის მნიშვნელოვანია გამოიკვლიოს ენა ემპირიულად. რადგან გარეთა ობიექტთან სიტყვას რეალურად აკავშირებს წარმოდგენა (ფსიქიკური სახე), იგი ამ უკანასკნელს აღიარებს სიტყვის შინაარსის ძირითად ფორმად და არა ცნებას, როგორც ჰუმბოლდტი. ა. პოტებნიასთან „სიტყვა შედგება ბგერათა ერთიანობის, წარმოდგენისა და მნიშვნელობისაგან“ (Потебня, 1874:12). რადგან ერთი და იგივე საგანი ფსიქიკურად აისახება ადამიანში უთვალავი დამოუკიდებელი წარმოდგენით, უკრაინელი მკვლევარი უარყოფს სიტყვის მრავალმნიშვნელობას: „სიტყვის მრავალმნიშვნელობა მცდარი ცნებაა: სადაც ორი მნიშვნელობაა, იქ ორი სიტყვაა“ (Потебня, 1874:39). ამასთან, ერთი სიტყვა შეიძლება ეკუთვნოდეს მრავალ გრამატიკულ კატეგორიას, თუ ისინი არ გამორიცხავენ ერთი მეორეს, როგორც, მაგალითად, კილოს ფორმები, ან მეტყველების ნაწილები. „საგნის“, „მოქმედების“, „დროის“, „პირის“ და ა.შ გამოხატვა სიტყვის მორფოლოგიური ფორმით არის აზრის კატეგორიზაციის პირველი გრამატიკული ეტაპი. რადგან ენის გამოყენება წარმოადგენს სულის შეუწყვეტელ მოღვაწეობას, „გრამატიკული ფორმების წარმოქმნაში ბევრი რამ რჩება იდუმალი“ (Потебня, 1874:60). თუმცა ისინი (გრამატიკული კატეგორიები) ხდიან ფორმალურ ენებს აზროვნების უფრო სრულყოფილ საშუალებად. მ. მიულერისგან განსხვავებით, ა. პოტებნია დადებითად აფასებს ფონეტიკურ ცვლილებებს, რადგან ისინი აყალიბებენ გრამატიკულ ფორმებს. ა. პოტებნიას თანახმად, არტიკულირებული ბგერა წინ უსწრებს აზრს, ენა აზროვნებაზე უწინარესია. ამიტომ „მოქმელისთვის არ არის გასაგები გზა, რომლესაც მიჰყვება ენა“ (Потебня, 1874:71). პარადოქსი ის არის, რომ ენის მეშვეობით ადამიანები იმეცნებენ სამყაროს, თავის თავს, ცდილობენ შეიმეცნონ ენაც, მაგრამ „ენა, რომელიც არის ცნობიერების საშუალება, თავად არის წარმოქმნილი ქვეცნობიერად“ (Потебня, 1874:71). ენის ამგვარმა, ჰუმბოლდტისეულმა, გაგებამ განსაზღვრა უკრაინელი ენათმეცნიერის დამოკიდებულება ლოგიცისტურ გრამატიკასთან: „ლოგიკური გზით შეუძლებელია მივიდეთ ენათმეცნიერების ძირითადი ცნებების განმარტებამდე და ავხსნათ ენობრივი მოვლენები“ (Потебня,

1874:84). აზრი შეიცავს ალოგიკურსაც, ამიტომ არ დაიყვანება ლოგიკურ სტრუქტურამდე. ენის კვლევის დროს ლოგიკა გვეხმარება მხოლოდ იმაში, რომ აფიქსირებს მსჯელობაში დაშვებულ წინააღმდეგობრიობას, მაგრამ ლოგიკური პრინციპებით ვერ გამოვიკვლევთ თვით ენას, რომელიც არის სულის მოღვაწეობის უნიკალური მოვლენა, რის გამოც ლოგიკური და ენობრივი სისწორე არ ემთხვევა ერთი მეორეს. ლოგიკას არ აქვს ენათმეცნიერებასთან იმაზე მეტი სიახლოვე, ვიდრე მეცნიერების სხვა დარგებთან. ა. პოტებნია გვთავაზობს ენობრივი ალოგიზმების მაგალითებს: 1. გრამატიკული წინადადება არ არის იგივეობრივი ლოგიკური მსჯელობის: წინადადება შეიძლება არ გამოხატავდეს ლოგიკურ მსჯელობას ან ერთი წინადადება შეიძლება შეიცავდეს იმდენ მსჯელობას, რამდენიც მასში გამოიყოფა წევრთა წყვილი. 2. არ ემთხვევა ერთმანეთს ლოგიკური და გრამატიკული ქვემდებარე და შემასმენელი; 3. წინადადების მეორეხარისხოვან წევრებს არ შეესაბამება რამე მსჯელობაში. 4. გრამატიკული კატეგორიების რიცხვი აღემატება ლოგიკურისას, რის გამოც ლოგიკური ცნებები ვერ აღწერენ რეალურ წინადადებას, რომელიც შედგება ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული მეტყველების ნაწილებისგან. სიტყვებს შორის დამყარებული სინტაქსური მიმართებები ქმნიან წინადადების ფორმას, „წინადადებაში არ არის სხვა რამ, ფორმის გარდა“ ფორმის მოშლით გავაუქმებთ ფლექსიური ენების წინადადებასაც (Потебня, 1874:86). ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში წინადადების წევრების განმარტება უნდა ითვალისწინებდეს თითოეულის „ფორმალურ მნიშვნელობას“ და არა ნივთიერ სემანტიკას. ყოველი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს თხრობის საგანი. ამიტომ არასწორია ქვემდებარის განსაზღვრა საგანზე დაფუძნებით. მაგალითები რუსული ენიდან: „есть хочется“ (ჭამა მინდა), „кричать нельзя“ (ყვირილი აკრძალულია), „трогать воспрещается“ (შეხება არ შეიძლება) და ა.შ. კარგად ადასტურებენ მოყვანილი დებულების სისწორეს. ა. პოტებნია აკეთებს დასკვნას, რომელიც სრულ თანხმობაშია ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრებასთან: ყოველი ენის ინდივიდუალური თავისებურება მდგომარეობს მის მენტალურ შინაარსობრივ წყობაში, რომელსაც ვერ გამოხატავენ ლოგიკური კატეგორიები (Потебня, 1974:81). „ენის მენტალურ წყობას“ ვ. ჰუმბოლდტი

უწოდებდა „შინაფორმას“. ა. პოტებნიას თეორიაში მონიშნულია ლინგვისტური კვლევის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც სათავეს იღებს ვ. ჰუმბოლდტთან: „თუ შეუძლებელია წინადადების განსაზღვრა შინაარსის მიხედვით, მაშინ განსხვავება მის წევრებს და, კერძოდ, სახელსა და ზმნას შორის უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური“ (Потебня, 1874:102).

ენობრივ ფორმაში ასახული სამყარო სპეციფიკურია, იგი არ დაუშვებს პირდაპირ პარალელებს ფიზიკურ სინამდვილესთან. ასე, მაგალითად, მწვანე ფერი ენობრივად შეიძლება გამოიხატოს როგორც თვისება “Зелёная трава” (მწვანე ბალახი), მოქმედება (Трава зеленеет) „ბალახი მწვანობს“ (Потебня, 1874:103); ქართულად „მწვანე ფერი“ შეიძლება გამოვიყენოთ ვითარების გამომხატველი ენობრივი ფორმითაც: „მწვანედ მოჩანს“. ფორმალურ, იგივე სინტაქსურ, მნიშვნელობას განსაზღვრავს სიტყვის გამოყენების ფორმა, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია „ენის მენტალური წყობით“, ანუ შინაფორმით. ა. პოტებნია ცდილობს ვ. ჰუმბოლდტის დახმარებით საბოლოოდ გაათავისუფლოს ლინგვისტური ანალიზი ფილოსოფიურ-ლოგიკური პრინციპებისგან. „ენის, როგორც მოღვაწეობის, განხილვის გამო შეუძლებელია შევხედოთ ზმნის, არსებითი და ზედსართავი სახელების გრამატიკულ კატეგორიებს, როგორც ადამიანური აზრის მარადიული თვისებებიდან ერთხელ და სამუდამოდ გამოყვანილ უცვლელ რამეს“ (Потебня, 1974:101). შემოქმედებითი ბუნების გამო ენობრივი ფუნქცია არ სრულდება ერთი ფორმით. ერთი ფუნქციის შემსრულებელი სხვადასხვა ფორმა გამოხატავს ერთსა და იმავე მნიშვნელობას, მაგალითად, კუთვნილებას მსაზღვრელის (ატრიბუტის) ფუნქციით შეიძლება გამოხატავდნენ არსებითი სახელის უწინდებულო და წინდებულიანი ფორმები და ზედსართავი სახელებიც:

дом отца (მამის სახლი) - отцовский дом (მამის სახლი)

цвет солнца (მზის შუქი) - солнечный свет (მზის შუქი)

девица с длинными волосами (ქალიშვილი გრძელი თმით) - длинноволосая девица (გრძელთმიანი ქალიშვილი)

через меру труд (ზომაზე მეტი შრომა) - чрезмерный труд (ზომაზე მეტი შრომა)

ა.პოტებნიას მაგალითებში ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მათი გადმოთარგმნა ქართულად ყოველთვის არ ხერხდება ზედსართავი სახელით. ავტორს მოჰყავს ერთი შეხედვით წარმოდგენილი მაგალითიც, როდესაც ატრიბუტის როლში გამოდის ზმნის პიროვანი ფორმა: „ЭТОТ ЛУГ ПОНИМАЕТ” (ეს მდელო იტბორება), რაც ნიშნავს: „ეს არის მდელო, რომელიც იტბორება“ (Потенция, 1874:95). შევადაროთ მსგავსი მაგალითები: „ყველა ყვავილში იშლება მხოლოდ ეს ყვავილი“, რაც ნიშნავს „ეს არის ყვავილი, რომელიც იშლება“; „ეს სახლი არ ქირავდება, ის სახლი ქირავდება“. უკანასკნელ მაგალითში ზმნა გამოხატავს გამომრჩევ ნიშანს, ანუ ითავსებს პრედიკატისა და ატრიბუტის ფუნქციებს. ა. პოტებნია შეგვახსენებს ი. კანტის „ანალიტიკურ მჯელობას“, რომელშიც პრედიკატი ასახელებს სუბიექტის ერთ-ერთ ნიშანს, მაგალითად, „ძალი მირბის“ ნიშნავს „ეს მორბენალი ძალია“. მაგრამ მაგალითებში სლავური ხალხური პოეზიიდან: „წარბები-სიასამური“, „სახე- თეთრი თოვლი“, „ადამიანი- კაჟი“, „ქალიშვილი- გვრიტი“ და ა.შ მსჯელობა სინთეტიკურია, რადგან პრედიკატი არ მოიაზრება სუბიექტში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. პოტებნიას თანახმად, აზრი ჩნდება წინადადებაში მთლიანი ობიექტის გადმომცემი ფსიქიკური ხატის დაშლით საგნისა (ფსიქოლოგიური სუბიექტი) და მისი ერთ-ერთი ნიშნის (ფსიქოლოგიური პრედიკატი) ამსახველ წარმოდგენებად. ეს ფსიქიკური პროცესი წარიმართება სიტყვათა მეშვეობით. უკრაინელ მკვლევარს მიაჩნია, რომ თავდაპირველი აზრების სუბიექტიცა და პრედიკატიც იყო არსებითი სახელი. ზმნა და ზედსართავი სახელი აღნიშნავენ საგანში განყენებით გამოყოფილ ნიშნებს, მაგალითად, „მგზავრობს“, „შენიშნავს“, „ჭაობიანი“, „მთიანი“ და ამიტომ გულისხმობენ შესაბამის საგანს (სუბიექტს). ერთი ნიშნის გადმოსაცემად გამოყენებული არსებითი სახელი აღნიშნავს მთლიან სუბსტანციას ანუ არის უფრო კონკრეტულიცა და ინფორმაციულიც. შევადაროთ: „კაცი მგზავრობს- ეს კაცი მგზავრია“; „მე შევნიშნავ- ჩემი შენიშვნაა“; „ჭაობიანი მინდორია-ჭაობი მინდორია“; „მთიანი ადგილია- მთა ადგილია“. ლინგვისტური ფსიქოლოგიზმის მიხედვით ენობრივი ფორმა იმდენად არის კონკრეტული და შესაბამისად პირვანდელიც, რამდენადაც უახლოვდება მთლიან გრძნობიერ ხატს. აღნიშნული და ფართო ემპირიული მასალის ანალიზის შედეგი

უქმნის ა. პოტებნიას საფუძველს დაასკვნას: „სახელის პრედიკატულობა და ატრიბუტულობა, სხვაგვარად, წინადადების ნომინატიური ხასიათი იზრდება უძველესი დროისკენ მიმართულებით. ამასთან ერთად, იზრდება ენის კონკრეტულობაც“ (Потебня, 1966:276). ასე, მაგალითად, ძველი რუსული ენის წერილობით ძეგლებში შემორჩენილი ატრიბუტულობის თანწყობილი ფორმები (чара вино, церковь Спас, день неделя, стадо овцы...) შეიცვალნენ ჯერ ქვეწყობილით: чара вина (ღვინო თასით), церковь Спаса (სპასის ეკლესია), день недели - კვირის დღე, стадо овец (ცხვრების ნახირი), ხოლო შემდეგ ზედსართავი სახელებით (винная чара, Спасская церковь, недельный день, овечье стадо).

ქვემდებარის, პრედიკატისა და ატრიბუტის ფუნქციები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან არსებითი სახელის უნარით შეასრულოს თითოეული. გრამატიკულ ტრადიციაში კარგადაა ცნობილი არსებითი სახელის გამოყენება გარემოების მნიშვნელობითაც. ა. პოტებნია არ უარყოფს ამ ენობრივ ფაქტს, მაგრამ გარემოების ფუნქციის ნამდვილ გამომხატველად მიიჩნევს მხოლოდ ზმნიზედას, რადგან სწორედ ეს მეტყველების ნაწილი გამოხატავს „ნიშანთა ნიშანს“, რომელსაც არ აქვს უშუალო ფსიქიკური კავშირი სუბსტანციასთან (Потебня, 1874:151).

ენის კვლევის დროს ა.პოტებნია ცდილობს მოახდინოს ისტორიული ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიზმისა და ჰუმბოლდტის თეორიის სინთეზირება, რაც აძლევს მას ხელს დაძლიოს ლოგიცისტური გრამატიკის ცალმხრივობა, კერძოდ, ახლებურად შეხედოს არსებითი სახელის მიმართებას სხვა მეტყველების ნაწილებთან: „მოარული განმარტებანი, რომლებიც არ მიუთითებენ არსებითი სახელის სიახლოვეზე ზედსართავ სახელთან, არც ამ ორი მეტყველების ნაწილის მიმართებაზე ზმნასთან, კერძოდ, არსებითი სახელის განსაზღვრა როგორც საგნის, ხოლო ზედსართავის- როგორც თვისების აღმნიშვნელისა, არასწორია. პირველი არ არის განმარტებული საკმარისად, ხოლო მეორე სრულიად რჩება განუმარტებელი (Потебня, 1874:106). სლავური ენებიდან მოხმობილი მდიდარი ემპირიული მასალის ანალიზმა მიიყვანა უკრაინელი მკვლევარი დასკვნამდე, რომ: 1. „არსებითი სახელი, მართლაც, საგნის აღმნიშვნელია, მაგრამ მხოლოდ ერთი გაგებით“ (Потебня, 1874:106); 2. „ქვემდებარის, განსაზღვრების (გრამატიკული ატრიბუტის), შედგენილი

შემასმენლისა და დამატების (გრამატიკული ობიექტის) განმარტებები უნდა ემთხვეოდნენ სახელის განმარტებას“ (Потебня, 1974:105). ამრიგად, ა. პოტებნიამ გაწყვიტა ცალმხრივი კავშირი არსებით სახელს, ქვემდებარესა და საგანს შორის. ამის შემდეგ მას უნდა გადაეღა ბოლო ნაბიჯი და განემარტა არსებითი სახელი ისე, როგორც იგი არის ენაში. ამ ბოლო ნაბიჯისგან მკვლევარს შეაკავებენ: 1. არსებითი სახელის გარემოებით ფუნქციასთან მიმართების ფსიქოლოგისტური შეფასება; 2. კვლევის ისტორიული მეთოდი, რომელიც წარმომავლობით უკავშირდება ევოლუციონიზმის იდეას ბუნების მეცნიერებასა და გ.ჰეგელის ფილოსოფიაში. არსებითი სახელის პრედიკატიულობასა და ატრიბუტულობას ა. პოტებნია განიხილავს როგორც ენის განვითარების ისტორიულ სტადიას, რომელიც წინ უსწრებს ზმნებისა და ზედსართავების წარმოქმნას და თვლის, რომ ენობრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ატრიბუტისა და პრედიკატის ფუნქციებში არსებით სახელებს ჩაენაცვლნენ ზედსართავი სახელები და ზმნები.

ისტორიულმა მეთოდმა, რომელიც განიხილავდა ენას დიაქრონიაში, ფორმათა ევოლუციურ ჩანაცვლებაში, ლოგიკისტური გრამატიკის შემდეგ მეორედ ჩამოუყალიბა ლინგვისტებს მცდარი ხედვა, თითქოს არსებით სახელს თანამედროვე ენებში აქვს მხოლოდ ერთი- საგნობრივი მნიშვნელობა.

თავი IV. ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა სახელების

შეპირისპირებითი ანალიზი

ყოველგვარი თეორიის დანიშნულებაა მოგვცეს ფაქტების მეცნიერული ინტერპრეტაცია. ფაქტის თეორიული ახსნა განპირობებულია იმ ცოდნით, რომელიც ჭეშმარიტია მკვლევრისთვის. ანტიკური ფილოსოფოსების მიხედვით, ფაქტის არსებობა არ არის დამოკიდებული ადამიანზე, რადგან ფაქტი ნაწილია სამყაროს, რომელიც არ შეუქმნია ადამიანს. „ტიმეოსში“ პლატონი წერს: „მან (შემოქმედმა-ლ.გ), გონიერება ჩაუნერგა სულს, სული კი ჩაუდგა სხეულს და ამნაირად ააგო სამყარო“ (პლატონი, 1984:290). ბერძენთა სამყაროში ადამიანს შეეძლო მხოლოდ არსებობა მისთვის უცხო გარემოში და უკეთეს შემთხვევაში - გარემოს შესწავლა. ანტიკური გნოსეოლოგიით ენა არ იღებდა რაიმე მონაწილეობას სამყაროს წარმოქმნა-არსებობასა და შემცენებაში, უკანასკნელ შემთხვევაში ყველაფერს წყვეტდა ფაქტის მიმართება გონებასთან. ტრაქტატში „სულის შესახებ“ და „ორგანონში“ არისტოტელემ აღწერა თვით გონება. არავის შეეძლო შეეტანა ეჭვი იმაში, რომ გონების უნივერსალური კანონებით სხვა ყველაფერთან ერთად შესაძლებელია განვიხილოთ ენაც. ანტიკური გრამატიკები აღწერენ ენას სამყაროსა და აზროვნებასთან მიმართებაში. მათში არისტოტელეს ლოგიზირებულ სახელს მიენიჭა ქვემდებარის საგნობრიობა. დიონისეს სახელი აღნიშნავს როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ საგნებს. ამრიგად, არსებითი სახელის დეფინიციის მთავარი ნიშანი-საგნობრიობა დადგინდა არა ამ სიტყვათა კლასის მეტყველებაში გამოყენების შესწავლითა და სხვა კლასის სიტყვებთან დაპირისპირებით, არამედ სამყაროსა და აზრის სტრუქტურებთან მიმართებაში. ანტიკურმა გნოსეოლოგიამ ჩამოუყალიბა გრამატიკულ მოძღვრებას განუყოფელი ტრიადა „საგანი-ქვემდებარე-სახელი“, რომელმაც განსაზღვრა არსებითი სახელის რაობა გრამატიკულ თეორიაში.

პოზიტივიზმი, რომელმაც გამოიწვია ფსიქოლოგიზმი მეცნიერულ აზროვნებაში, მოითხოვდა ყველაფრის შესწავლას ემპირიულად. ენის ემპირიად ფსიქოლოგისტებმა ცნეს ფსიქიკური პროცესებიც, რომლებიც წარმართავენ ენის გამოყენებას მეტყველებაში. ამასთან, უცვლელი დარჩა ენის ანტიკური გაგება, რომლის თანახმადაც, ენა არის სამყაროს და აზროვნების გამოხატვის პასიური ფორმა. სამყაროს ადეკვატური ასახვა-გაგება წმინდა ფსიქიკური პროცესია, გონება ახორციელებს მას ფსიქოლოგიური მსჯელობის სახით. ამ უკანასკნელს როგორც

შემეცნების უნივერსალურ საშუალებას უნდა ექცია ფსიქოლოგია მეცნიერებათა ზოგად მეთოდოლოგიად. მაგრამ მეცნიერული აზროვნება განვითარდა სხვა გზით. არისტოტელედან მოყოლებული კავშირის დამყარება ფიზიკურ სამყაროსა და გონებას შორის „დაევალა“ წარმოდგენას. ი. კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ ბოლოს მოუღებს ამ ილუზიას: წარმოდგენა არ შემოდის გონებაში მზა სახით გარედან. წარმოდგენას („მოვლენას“) შეგრძნებათა მეშვეობით წარმოქმნის თავად გონება. ამიტომ მიმართება ფიზიკურ სამყაროსა და გონებას შორის არ არის პირდაპირი და უშუალო, სამყაროს ინდივიდს წარმოუქმნის გონება და განახორციელებს იგი ამ ფუნქციას საკუთარი იმანენტური პრინციპებით. გონებრივი სამყარო ერთადერთი რეალობაა ინდივიდისთვის. გონების მთავარ დანიშნულებას ი. კანტი ხედავს არა გარეთა სამყაროს ასახვა-გადმოცემაში, არამედ შიდა სამყაროს კონსტრუირებაში. ამ კონცეფციის თანახმად, არსებითი სახელი არ შეიძლება აღნიშნავდეს გარეთა უცნობ (ნოუმენალურ) საგანს. მაგრამ საგანი, სულერთია გარეთა თუ შიდა, ინდივიდისთვის არსებობს მხოლოდ გაცნობიერებული. თეორიულად აღქმა შეიძლება განვიხილოთ გაცნობიერების გარეშე, მაგრამ პრაქტიკულად ობიექტის აღქმას ყოველთვის მოჰყვება მისი სიტყვათა მეშვეობით გაცნობიერება. არაენობრივი გაცნობიერება არ არსებობს. მეტყველების ნაწილები თავიდანვე მონაწილეობენ სამყაროს კონსტრუირებაში. „ენა იწყება უშუალოდ და ერთდროულად რეფლექსიის პირველივე აქტით“ (Гумнольдт, 1984:301). სამყარო არ ეხსნება ადამიანს თავისთავად ენის გარეშე. სამყაროში მოცემულ ობიექტს საგნად აქცევს ენა, „სიტყვა“. ვ. ჰუმბოლდტის თანახმად, არტიკულირებული ბგერა წინ უსწრებს აზროვნებასაც და სამყაროსაც. ამ გაგებით არისტოტელეს არ შეეძლო „პოეტიკაში“ მეტყველების ნაწილების გამოყოფის საფუძვლად გამოეყენებინა აზროვნების კატეგორიები, პირიქით, აზროვნების კატეგორიები სტაგირელმა გამოყო მეტყველების ნაწილების გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება მოვიშველიოთ ლ. ბლუმფილდის შემდეგი მოსაზრება: „ლოგიკისა და მეტაფიზიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი წარმოადგენს ფილოსოფოსების მიერ მშობლიური ენის უხეიროდ პერიფრაზირებულ კატეგორიებს“ (Блумфилд, 1968:298).

აზროვნება არ არის ადამიანის გენეტიკური თვისება. იგი უყალიბდება ინდივიდებს მხოლოდ კომუნიკაციის პროცესში და ამიტომ იმთავითვე არის ვერბალური. ენობრივი აზროვნება არ დაიყვანება ლოგიკურზე. ამიტომაც ენა არ არის იდეალური ერთნიშნა მიმართებების მქონე სისტემა, არამედ ასიმეტრიული პრინციპით მოქმედი სემიოტიკური სისტემა, რომელიც ახორციელებს სპეციფიკური სამყაროს კონსტრუირებას. ამრიგად:

1. ეროვნული ენა, როგორც სემიოტიკური სისტემა, არ ასახავს სინამდვილეს „სარკულად“;
2. ეროვნული ენა ყალიბდება იმანენტურად;
3. სხვადასხვა ეროვნული ენის შინაარსობრივი ნაწილი არ არის ერთმანეთის იგივეობრივი.

რას გამოხატავს არსებითი სახელი? ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ ორი პირობის დაცვით:

1. არსებითი სახელის სხვა მეტყველების ნაწილებთან კონტექსტში განხილვით.
2. ტიპოლოგიურად სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებიდან მოყვანილი შესაბამისი მასალის დაპირისპირებით.

ენა რომ იყოს სამყაროს ლოგიკურად ამსახველი სისტემა, მაშინ ყველა ენაში არსებითი სახელის შინაარსი უნდა შემოიფარგლებოდეს საგნობრიობით. ენობრივი პრაქტიკა უარყოფს ამ დაშვებას: ქართულ ენაში -ა - სუფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელები გამოხატავენ საგანს გარკვეული ნიშნის გამოყოფით: ა) მოქმედებით:

წუწუნა- ვისაც წუწუნი სჩვევია

წუნია-ვინც ყველასა და ყველაფერს იწუნებს

წყენია- ვისაც ადვილად ეწყინება ხოლმე

ჭრიალა - რაც ჭრიალებს

ჭრიჭინა- რაც ჭრიჭინებს

ჰელოპინა - რაც, ვინც ჰელოპინებს

ჰრაჰუნა-რასაც ჰრაჰუნი გააქვს

ჰიჰინა- ვინც ხშირად ჰიჰინებს

ჰოზინა- ვისაც ახასიათებს ჰოზინი

მევირალა - ვისაც ახასიათებს ყვირილი (იხ. ქემლ, 1990).

ბ) არსებითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ საგანს თვისების გამოყოფით: „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ა. შანიძეს მოჰყავს კნინობითი სახელების საინტერესო მაგალითები ფშური და მოხეური კილოებიდან: კაცა (პატარა კაცი), ცხენა (პატარა ცხენი), დედოფალა (პატარა დედოფალი,სათამაშო), ქალა (პატარა ქალი), ვაჟა (პატარა ვაჟი), რუა (პატარა რუ) (შანიძე,1980:120). საგანს თვისებითურთ გამოხატავს არსებითი სახელი მაგალითში სასაუბრო არანორმატიული მეტყველებიდან: „პუშკინა“ (ბავშვი ხუჭუჭა თმით).

ქართულ ენაში პროდუქტულია ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა ორი მეტყველების ნაწილის შეერთებით, ამიტომ ის, რაც სხვა ენაში გადმოიცემა ზედსართავი და არსებითი სახელების შეხამებით, ქართულში შეიძლება წარმოადგენდეს არსებით სახელს, მაგალითად, „შესვლისთანავე ავიდნენ ზედათვალში, სადაც იმყოფებოდნენ პეტრე და იოანე...“ (ახალი აღთქმა, 1991:229). ზედათვალი - რუს. Верхняя комната, თურქ. Yukaridaki Oda, ინგლ. Upper room. მსგავსი მაგალითებია: ზედაკლასელი, ზედაფენა, ზედნაშენი, ზემოიბერელი, ქვედალელე, ქვესოფელი.

ეროვნული ენის სახელწოდებას შეადგენს ორი ცნება, რომლებიც ქართულსა და რუსულ ენებში გადმოიცემიან შესაბამისი სიტყვებით; გერმანულ, ინგლისურ, თურქულ ენებში აღნიშნულ ორ ცნებას გამოხატავს ერთი სიტყვა- არსებითი სახელი.

ქართ. რუს. ინგლ. გერმ.

თურქგერმანული ენა немецкий язык German Deutsche Almanca

ქართული ენა	грузинский язык	Georgian	Georgisch	Gürcüce
რუსული ენა	русский язык	Russian	Russisch	Rusçe
ინგლისური ენა	английский язык	English	Englisch	İngilizce
იტალიური ენა	итальянский язык	Italian	Italienisch	İtalyanca
ფრანგული ენა	французский язык	French	Französisch	Fransızca
ესპანური ენა	испанский язык	Spanish	Spanisch	İspanyol
ჩინური ენა	китайский язык	Chinese	Chinesisch	Çince
არაბული ენა	арабский язык	Arabic	Arabisch	Arapça
სერბული ენა	сербский язык	Serbian	Serbische	Serbçe

ამრიგად, არსებითი სახელი არ გამოხატავს ყოველთვის მხოლოდ საგანს. სიტყვა შეიძლება იყოს ერთი, ხოლო საგანი სხვადასხვა, მაგალითად, ქართული ენის კომპოზიტებში: ჯამ-კოვზი, ჯვარ-ანგელოზი, დედ-მამა, და-ძმა, მთა-ბარი და სხვა. აღნიშნავს თუ არა ზმნა მხოლოდ მოქმედება- მდგომარეობას?

ქართულ ენაში ზმნის ფორმა შეიძლება აერთიანებდეს ვითარებისა და მოქმედების მნიშვნელობებსაც:

მოთქრიალებს- თქრიალით, უხვად მოდის

მოლასლასებს-ლასლასით მოდის

მოლიკლიკებს- ლიკლიკით მოდის

მონავარდობს - ნავარდით მოდის

მოქანაობს - ქანაობით მოდის

მოღელავს- ღელვით მოდის

მოცუნცულებს- ცუნცულით მოდის (ქემლ, 1990).

მოქმედების მნიშვნელობა გაერთიანებულია ადვერბიალურთან მაგალითში : „წინააღმდეგეთ ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან“ (ახალ აღთქმა; 1991:299).

ქართულ ენაში, მართალია, რამდენიმე მაგალითის სახით, მაგრამ მაინც ზმნის პიროვანმა ფორმამ შეიძლება გამოხატოს თვისება:

მოიმწარებს- ოდნავ მწარეა

მოისუსტებს- სუსტია

მოიკოჭლებს- კოჭლია, დასახელებული ყველა ფუნქცია

გადატანით: სუსტია

მოისულელებს- ოდნავ ან ხანდახან სულელია.

ტრადიციული გრამატიკა ანაწილებს სინტქასურ ფუნქციებს სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილებს შორის. საყოველთაო აზრით, არსებითი სახელი როგორც საგნის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ასრულებდეს ქვემდებარისა და დამატების ფუნქციებს, ზმნა- შემასმენლის (პრედიკატის), ზედსართავი - განსაზღვრების (ატრიბუტის), ხოლო ზმნიზედა -გარემოების ფუნქციას. ამასთან, ერთი და იმავე სინტაქსური ფუნქციით შეიძლება გამოდიოდეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. იბადება კითხვა, განსხვავდებიან თუ არა სემანტიკურად ატრიბუტის ფუნქციაში არსებითი და ზედსართავი სახელები ან გარემოების ფუნქციაში არსებითი სახელი და ზმნიზედა? შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ ზმნიზედა უფრო მეტად გამოხატავს გარემოებით (ადვერბიალურ) მნიშვნელობას, ვიდრე არსებითი სახელი და ამიტომ ნამდვილ ადვერბიალურ სიტყვად ვაღიაროთ პირველი? დასმულ კითხვებზე პასუხებთან შეიძლება მიგვიყვანოს ტიპოლოგიურად სხვადასხვა ენის ადვერბიალურ სიტყვათა შეპირისპირებითა ანალიზმა. ერთი და იგივე მნიშვნელობა სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენაში გამოიხატება განსხვავებული ფორმით, მათ შორის, სხვადასხვა მეტყველების ნაწილითაც. ასე, მაგალითად, ქართულ ენაში ზმნიზედით გამოხატული მიზნის გარემოება რუსულში გადმოიცემა ზმნისა და არსებითი სახელის ფორმებით:

“Антон побежал запрягать лошадей” (Пушкин, 1974:108).

„ანტონი...ცხენების გასაბმელად გაიქცა“ (პუშკინი, 1975:649).

“Соседи поминутно ездили к нему поесть, попить, поиграть по пяти копеек в Бостон (Пушкин, 1974:44).

„მეზობლები წამდაუწუმ დადიოდნენ მასთან საჭმელად, სასმელად შაურიანი ბოსტონის სათამაშოდ“ (პუშკინი, 1975:577).

„Владимир обнял их с восторгом и поехал домой приготовиться“ (Пушкин, 1974:46).

„ვლადიმირი აღტაცებით გადაეხვია მათ და შინისკენ გაემურა მოსამზადებლად“ (პუშკინი, 1975:580).

„Кирилл Петрович оделся и выехал на охоту с обыкновенной своей пышностью, но охота не удалась (Пушкин, 1974:100).

„კირილა პეტროვიჩმა ტანთ ჩაიცვა და თავისი ჩვეულების მიხედვით დიდი ზეიმით სანადიროდ გაემგზავრა, მაგრამ ნადირობა ჩაეფუშა“ (პუშკინი, 1975:633).

„Бабушка слегка извинилась что не привезла своего долга, в оправдание сплела маленькую историю и стало против него понтировать (Пушкин, 1974:159).

„ბებიამ ცოტა მოიბოდიშა, რომ ვალი არ მიუტანა, რაღაც ისტორია მოიგონა თავის გასამართლებლად და თამაში დაიწყო“ (პუშკინი, 1975:713).

ქართულ ენაში არსებით სახელებზე -ობ(ით)- აფიქსის დართვით მიღებულია ზმნიზედები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული სიდიდის ან დროის მნიშვნელობას. აღნიშნული ადვერბიალური მნიშვნელობები რუსულ ენაში გადმოიცემიან არსებითი სახელებით:

ასობით -сотнями

ათასობით- тысячами

მილიონობით- миллионами

ფუთობით- пудами

წვეთობით- каплями

კილოგრამობით- килограммами

მეტრობით- метрами

ნაჭრობით- кусками

მისხლობით- слитками

მანეთობით- рублями

ვაგონობით- вагонами

კალათობით- корзинами

„Другие, выпивая стаканами, опьяневали, он, выпивая двумя стаканами, не опьянел“.

„სხვა რომ ჭიქობით თვრებოდა, ის ორჭიქობით ვერა თვრებოდა“ (ცისკარი. 10.10.84:7).

დილაობით- по утром

კვირადღეობით- по воскресеньям

ოთხშაბათობით- по средам

პარასკეობით- по пятницам

კვირაობით- неделями

წლობით- годами

თვეობით- месяцами

“Нередко за свои нежности он получал толчки, от которых охал целыми сутками” (Пушкин, 1974:193).

„თავისი ნაზი გრძნობებისთვის ხშირად მუჯლუგუნებიც უთავაზებიათ, რის შემდეგ მთელი დღეობით კვნესოდა“ (პუმკინი, 1975: 740).

გენეტიკური სახელებისგან წარმოქმნილ ქართულ ზმნიზედებს რუსულ ენაში შეესატყვისებთან არსებითი სახელები:

სადილობისას- во время обеда

შუალამისას- в полночь

ახალგაზრდობისას- в молодости

გამოთხოვებისას-на прощанье

ბინდისას-в сумерки

ჩემსას- у меня

შენსას- у тебя

“В молодости своей служил он в гвардии“ (Пушкин, 1974:67).

„ახალგაზრდობისას იგი გვარდიაში მსახურობდა“ (პუშკინი, 1975:610).

„Я приехал в село при закате солнца“ (Пушкин, 1974:60).

„სოფელში მზისჩასვლისას ჩავედი...“ (პუშკინი, 1975:608).

„К обеду приехал лекарь“ (Пушкин, 1974:62).

„სადილობისას ექიმი მოვიდა“ (პუშკინი, 1975:509).

„მოქმედების რაღაცის გარეშე შესრულების“ მნიშვნელობას ქართულ ენაში გამოხატავენ ზმნიზედები, რუსულში- წინდებულებიანი არსებითი სახელები:

უმაგიდოდ- без стола

უფულოდ- без денег

უკაპიკოდ- без копейки

უსახლოდ- без дома

უმეგობროდ- без друга

უხელფასოდ- без зарплаты

უმიზეზოდ- без причины

უმიზნოდ- без цели

უსახსროდ- без средства

უპატრონოდ- без хозяина

უხელმძღვანელოდ- без руководителя

უშენოდ- без тебя

“...Старик лежал без чувств и без движения паралич его ударил” (Пушкин, 1974:112).

„...მოხუცი იწვა უგრძნობლად აღარ სუნთქავდა- დამბლა დაეცა“ (პუშკინი, 1975:650).

“...И Алексей спрыгнул с лошади и пошел без доклада” (Пушкин, 1974:82).

„და ალექსეი გადმოხტა ცხენიდან... და გასწია მოუხსენებლად“ (პუშკინი, 1975:623).

ადვერბიალურ მნიშვნელობას „მოქმედების შესრულება რაიმეს შესაბამისად“ ქართული ენა გამოხატავს ზმნიზედით, რუსული- არსებითი სახელის წინდებულისანი ფორმით:

კუთვნილებისამებრ- по принадлежности

ჩვეულებისამებრ- по привычке

დანიშნულებისამებრ- по назначению

კანონისამებრ- по закону

წესისამებრ- по правилу

დაპირებისამებრ- по обещанию

ნებისამებრ- по воле

საკვირომისამებრ ინდივიდი იყენებს ენობრივ ნიშანს“ (ჩიქოვაძე, 1983:280).

“Индивид использует языковой знак по необходимости”.

„ენა რომ ურთიერთობის საშუალება არ ყოფილიყო, ინდივიდს არ შეეძლებოდა სურვილისამებრ გამოეყენებინა ენობრივი ნიშანი“ (ჩიქობავა, 1983:210).

“Если бы язык не являлся средством общения, индивид не смог бы использовать языковой знак по желанию”.

ქართულ ენაში არსებითი სახელების თანდებულებთან შეერთებით წარმოიქმნენ ადგილის გამომხატველი ზმნიზედები, რომლებსაც რუსულში შეესაბამებინა წინდებულიანი არსებითი სახელები:

ჭერქვეშ- под крышей

ხიდქვეშ- под мостом

თავქვეშ- под головой

წყალქვეშ- под водой

ჩრდილქვეშ- под тенью

ექვექვეშ- под подозрением

იატაკქვეშ- под полом

უღელქვეშ-под ярмом

ფრთებქვეშ- под крыльями

კანქვეშ- под кожей

ფეხქვეშ- под ногами

წელსქვევით- ниже пояса

კარწინ- перед дверью

თვალწინ- перед глазами

ცხვირწინ- перед носом

წელსზევით- выше пояса

თავზევით- выше головы

ერთაშორის- между народами

კაცთაშორის- между людьми

ლიანდაგშორის- между рельсами

მუხლთაშორის- между коленями

ურთიერთშორის- между собой

ორთაშუა- между двумя

რიგთაშუა- между рядами

ფლანგთაშუა- между флангами

სართულშუა- между этажами

სადილთუკან- после обеда

ადგილს ქართულ ენაში გადმოსცემენ კომპოზიციის შედეგად წარმოქმნილი ზმნიზედებიც, რომლებსაც რუსულში ისევ შეესატყვისებთან წინდებულობის არსებითი სახელები:

ქუჩა-ქუჩა- по улицам

მთა-მთა - по горам

ეზო-ეზო- по дворам

მინდორ-მინდორ- по полям

ღობე-ღობე- по- над забором

კედელ-კედელ - по- над стенкой

ნაპირ-ნაპირ- по- над берегом

„ნისლმა...წყანარად მთა-მთა დაიწყო გაპარვა“ (ყაზბეგი, 1984:286).

“туман потихоньку стал удирать по горам...”

„წვიმაში და ტალახში ის იძულებულია ირბინოს გარეთ ეზო-ეზო“ (პუშკინი, 1975:597).

“в дождь и слякоть принужден он бегать по дворам”

ამრიგად, ერთი და იგივე ადვერბიალური მნიშვნელობა, რომელიც ერთ ენაში გადმოიცემა არსებითი სახელის ფორმით, სხვა ენაში გამოიხატება ზმნიზედით. მაშასადამე, განსხვავებაც ზმნიზედებსა და გარემოების ფუნქციაში არსებით სახელებს შორის ფორმალურია და არა სემანტიკური. არ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, თითქოს ზმნიზედა გამოხატავს უფრო მეტ ადვერბიალურ მნიშვნელობას, ვიდრე არსებითი სახელი და მეორესთან შედარებით პირველი მივიჩნით ადვერბიალური მნიშვნელობის ნამდვილ გამომხატველად. არსებითი სახელისთვის ადვერბიალური მნიშვნელობა ისეთივე ბუნებრივი და ძირითადია, როგორც ზმნიზედისთვის. გარემოების ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელი გამოდის არა „სხვის“, არამედ ერთ-ერთ თავის ფუნქციაში. არ არსებობს ისეთი საგნობრივი მნიშვნელობა, რომლის გარდქმნა არ შეიძლებოდა ამ თუ იმ ადვერბიალურ მნიშვნელობად.

აკადემიკოსი ლ. შჩერბა წერს: „ზედსართავი სახელი არ არსებობს არსებითი სახელის გარეშე, რომელიც მოცემულია ან იგულისხმება“ (შჩერბა, 1957:70). მართლაც, ნიშანი ვერ იარსებებს საგნისაგან ცალკე . მით უმეტეს ირაციონალურია თავისთავად „ნიშნის ნიშანი“, რასაც წარმოადგენს ადვერბიალური მნიშვნელობა. ზმნიზედების გამოყენება ზმნასთან გულისხმობს არსებით სახელ(ებ)საც. გამოთქმები: „ხვალ მოსვლა“, „იქ მუშაობა“, „აუცილებლად გაკეთება“, და ა.შ. წარმოადგენენ ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულ ლინგვისტურ აბსტრაქციას:

ხვალ მოსვლა ←ის ხვალ მოდის

იქ მუშაობა ← ის იქ მუშაობს

აუცილებლად გაკეთება← ის აუცილებლად გააკეთებს

ადვერბიალური მნიშვნელობა საჭიროებს არა მხოლოდ ზმნით გამოხატულ მოქმედებას— არსებითი სახელით აღნიშნულ საგნებსაც, მაგრამ პირიქით- არა.

შეიძლება თუ არა საგანი გამოხატავდეს ადვერბიალურ მნიშვნელობას? - თავისთავად არა, სხვა საგანთან მიმართებაში- კი. „წიგნი“ და „მაგიდა“ ორი მატერიალური ობიექტია, მაგრამ „წიგნი მაგიდაზეა“ აქ მეორე ობიექტი გამოდის ადგილის გარემოების როლში პირველი ობიექტის მიმართ. ამრიგად, ადვერბიალობა წარმოიქმნება ობიექტების ურთიერთმიმართებიდან. ადვერბიალურ მნიშვნელობათა შორის ლოკალური უნდა იყოს უძველესი. გონებას უნარი შესწევს ენის მეშვეობით საგნად აქციოს ყველაფერი, მათ შორის დროის მონაკვეთიც (დღე, საღამო, დილა, გაზაფხული, შემოდგომა, თვე, წელიწადი...), რომლებსაც მეტყველი იყენებს დროის გარემოებად სხვა ობიექტთან მიმართებაში (ვანო ჩამოვა საღამოს). შეიძლება დაუსრულებლად ვიკამათოდ იმის შესახებ, არსებით სახელს თუ ზმნიზედას წარმოადგენენ ფლექსიურ ენებში ფორმები: „დღეს“, „დილას“, „საღამოს“, „გაზაფხულს“... „днем“, „утром“, „вечером“, „зимой“, მაგალითად, „დილით მივდივარ სამსახურში“. მაგრამ ანალიტიკური ენების არტიკლიანი ფორმები უყოყმანოდ უნდა ვცნოთ არსებით სახელებად: „La mattina vado a lavorare(იტალ.) „In the morning I go to work”(ინგლ.). ერთი ობიექტი შეიძლება იყოს დახასიათებული სხვა ობიექტთან შედარებით (დათვივით, ხავერდივით, ლომსავით, წყალივით); ერთი ობიექტი შეიძლება წარმოადგენდეს მეორისთვის მიზეზს (წვიმის გამო, სიბრაზისგან, მორიდებით...) ან მიზანს (დასალევად, სანადიროდ, გადარჩენის მიზნით, სწავლისთვის...); ერთი ობიექტი შეიძლება უქმნიდეს სხვა ობიექტს მდგომარეობის ვითარებას (ინტერესით, დაღლილობამდე, უფულოდ...). ამრიგად, ობიექტთა ურთიერთმიმართებით შეიძლება გამოიხატოს ყველა ძირითადი ადვერბიალური მნიშვნელობა. თუ ობიექტების აღმნიშვნელი არსებითი სახელები წარმოქმნიან ადვერბიალურ მიმართებებს (მნიშვნელობებს) და გადმოსცემენ მათ, არსებითი სახელებისგან მიღებული მზნიზედები მხოლოდ ასახელებენ ადვერბიალურ მნიშვნელობებს.

ადვერბიალური სიტყვები ობიექტებს შორის მიმართებას გამოხატავენ ზმნის მეშვეობით. მათგან განსხვავებით ატრიბუტულ სიტყვებს არ სჭირდება ზმნის

„შუამავლობა“. ატრიბუტული მიმართება მყარდება უშუალოდ ობიექტების აღმნიშვნელ სიტყვებს შორის.

გარემოებითი (ადვერბიალური) მიმართებები

წიგნი დევს მაგიდაზე (სად?)

გზა ადის მთაში (სად?)

ნათესავი ჩამოვიდა სოფლიდან (საიდან?)

ნადირობა მოაწყვეს დილით (როდის?)

ატრიბუტული მიმართება

წიგნი მაგიდაზე (რომელი?)

გზა მთაში (რომელი?)

ნათესავი სოფლიდან (რომელი?)

ნადირობა დილით (როგორ?)

არსებითი სახელები ქმნიან და გადმოსცემენ აგრეთვე ატრიბუტულ მიმართებებსაც, ხოლო მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული ზედსართავი სახელები მხოლოდ გამოხატავენ აღნიშნულ მიმართებებს. ამიტომ არც ერთ ენაში ატრიბუტულ სიტყვათა კლასი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ზედსართავი სახელებით. ატრიბუტი არის ყველა სიტყვა (არსებითი, ზედსართავი, ზმნიზედა, ინფინიტივი...), რომელიც გადმოსცემს ობიექტის ნიშანს. შეპირისპირებითი ანალიზი გვაჩვენებს, რომ ადვერბიალური სიტყვების მსგავსად, ატრიბუტული სიტყვებიც არ განსხვავდებიან ერმანეთისგან მეტი ან ნაკლები ატრიბუტულობით, ერთი და იგივე ატრიბუტული მნიშვნელობა სხვადასხვა ენაში შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული მეტყველების ნაწილით, მაგალითად:

გარგარის კურკა- абрикосовая косточка

ანისულის ხე- анисовое дерево

ბადრიჯნის ხიზილალა-баклажанная икра

ბანანის კანი- банановая шкурка

ვალერიანის წვეთები- валериановые капли

ვაშლის წვენი- яблочный сок

მაყვლის მურაბა- ежевичное варенье

ნაძვის ტოტი- еловая ветка

სიმინდის კვერი- кукурузная лепешка

წიგნის მაღაზია- книжный магазин

ტყავის ქურთუკი- кожаная куртка

რკინის კარი- железная дверь

აგურის შენობა- кирпичное здание

მარგალიტის ყელსაბამი- жемчужное ожерелье

მოყვანილ ქართულ მაგალითებში ატრიბუტული მნიშვნელობა გადმოიცემა არსებითი სახელის გენეტივის ფორმით, რუსული ენა ზედსართავთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში პარალელურად მიმართავს არსებითის ფორმასაც.

банановая шкурка - шкурка банана

ежевичное варенье - варенье из ежевики

еловая ветка - ветвь ели

кукурузная лепешка - лепешка из кукурузы

кожаная куртка - куртка из кожи

железная дверь - дверь из железа

кирпичные здания - здания из кирпича

жемчужное ожерелье - ожерелье из жемчуга

მოყვანილ მაგალითებში რუსული ენიდან პარალელური ფორმები არ განსხვავდებიან სემანტიკურად.

თვისება სემის სახით შეიძლება იყოს მოცემული არსებითი სახელის ინტენსიონალში და სხვა ენაში ასეთ არსებით სახელს შესატყვისად ჰქონდეს ზედსართავი ან მიმღეობა:

гордец - ამაყი;

горец - მთიელი

горлан - მყვირალა

докладчик - მომხსენებელი

драчун - მოჩხუბარი

жених - სასიძო

изменник - მოღალატე

грешник - ცოდვილი

грубиян- უხეში

грызун - მღრღნელი

губитель - დამღუპველი

добряк - კეთილი

доносчик - დამსმენი

дурак - სულელი

игрок - მოთამაშე

искатель - მძებნელი

(რქელი, 1956).

სემიოტიკის თანახმად, ნიშნად შეიძლება გამოდიოდეს როგორც საგანი მთლიანად („სინსიგნუმი“), ისე საგნის ცალკე თვისებაც („კვალისიგნუმი“) (იხ. Пирс, 2000:290). რადგან საგანი და მისი თვისება დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ასოციაციით მეტონიმის წესით, საგნის აღმნიშვნელით შეიძლება გადმოიცეს საგნის თვისებაც და, პირიქით. აღნიშნული მოვლენა მოსალოდნელია ისეთ ენებში, სადაც არსებითი და ზედსართავი სახელები არ არიან ერთმანეთისგან განსხვავებული ფლექსიურად, მაგალითად ისეთ აგლუტინაციურ ენაში, როგორც არის თურქული ენა:

I

- Batak** 1. ჭაობი 2. ჭაობიანი
- Batı** 1. დასავლეთი 2. დასავლეთის, დასავლური
- Ayıp** 1. სირცხვილი 2. სასირცხო
- Altın** 1. ოქრო 2. ოქროს
- Alman** 1. გერმანელი 2. გერმანული
- Afganlı** 1. ავღანელი 2. ავღანური

II

- Bicare** 1. საწყალი, უბედური 2. საწყალი ადამიანი
- Birinci** 1. პირველი 2. ვინც დაიკავა პირველი ადგილი
- Boysuz** 1. ტანმორჩილი 2. ტანმორჩილი ადამიანი
- Canan** 1. სანდომიანი 2. სანდომიანი ადამიანი
- Cebin** 1. ლაჩარი 2. ლაჩარი ადამიანი (BTPC, 1998).

პირველი ჯგუფის მაგალითებს წარმოადგენენ არსებითი სახელები, მეორის- ზედსართავები, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე აღმნიშვნელით

გადმოიცემა საგანიცა და თვისებაც. აგლუტინაციურ ენაში არსებითი და ზედსართავი სახელები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე ფლექსიურში. ამ თვალსაზრისით თურქულ ენაში არსებითი სახელი უფრო ატრიბუტულია, ვიდრე ქართულსა და რუსულში, რასაც ადასტურებს თურქული იზაფეტის (არსებითი სახელის განსაზღვრებად გამოყენების) სამი ფორმა:

იზაფეტი 1

Altın zincir - „ოქროს ძეწკვი“, სიტყვასიტყვით: „ოქრო ძეწკვი“

gümüş yüzük - „ვერცხლი ბეჭედი“,..... „ვერცხლი ბეჭედი“

taş bina - „ქვის შენობა“ „ქვა შენობა“

იზაფეტი 2

tiyatro binası - თეატრის შენობა

çay bardağı-ჩაის ჭიქა

baş ağrı- თავის ტკივილი

იზაფეტი 3

annemin odası - დედის ოთახი

arkadaşımın ailesi - მეგობრის ოჯახი

çocuğun babası - ბავშვის მამა

(КОНОНОВ, 1956:408).

ინგლისური ფლექსიური, მაგრამ ანალიტიკური ენაა, რომლის სახელები მოკლებული არიან ბრუნებას, რის გამოც ისიც დაუშვებს არსებითი სახელების აპოზიტიურ, თურქული ენის პირველი იზაფეტის მსგავს, გამყენებას:

star light – ვარსკვლავის შუქი, სიტყვასიტყვით: „ვარსკვლავი ნათება“

school bag - სკოლის ჩანთა „სკოლა ჩანთა“

printer cartridge - პრინტერის კატრიჯი „პრინტერი კატრიჯი“

wall paper - შპალერი „კედელი ქაღალდი“

apple tree - ვაშლის ხე „ვაშლი ხე“

bus stop - ავტობუსის გაჩერება „ავტობუსი გაჩერება“

gold ring - ოქროს ბეჭედი „ოქრო ბეჭედი“

table tennis - მაგიდის ტენისი „მაგიდა ტენისი“

ამ პოზიციაში არსებითი სახელების შეერთებით მიღებული კომპოზიტებია: polisman (პოლიციელი), notebook (რვეული), rainbow(ცისარტყელა), railroad (რკინიგზა), bathroom (სააბაზანო), masterpiece (შედევი), dinig-table (სასადილო მაგიდა) და სხვა.

როგორც აგლუტინაციურ, ისე ანალიტიკურ ენებში სახელების ფორმალური მსგავსება ხელს უწყობს მათ ფუნქციურ დაახლოებას. თურქულის მსგავსად ინგლისური ენაც იჩენს ტენდენციას საგნისა და მისი თვისების მიმართ გამოიყენოს ერთი აღმნიშვნელი:

aboriginal 1. ადგილობრივი მცხოვრები 2. ადგილობრივი

abstract 1. მოკლე გადაცემა, დასკვნა 2. აბსტრაქტული

academic 1. სწავლული 2. აკადემიის, აკადემიური

Anglo-Saxon 1. ანგლოსაქსი 2. ანგლოსაქსური

antique 1. ანტიკვარული ნივთი 2. ანტიკური, ძველი

Arabic 1. არაბული ენა 2. არაბეთის, არაბული

Armenian 1. სომეხი 2. სომხური

back 1. ზურგი 2. უკანა

bastard 1. უკანონო შვილი 2. ყალბი, მოგონილი

being 1. ქმნილება 2. არსებული

Caucasian 1. კავკასიელი 2. კავკასიური

Commercial 1. კომივოიაჟერი 2. კომერციული, სავაჭრო

empire 1. იმპერია 2. იმპერიის, საიმპერიო

(იხ.იქლ; <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/> და სხვა.)

ამრიგად, სემანტიკურად არაფერი უშლის სახელს ხელს გადმოსცეს როგორც საგნობრივი, ისე ატრიბუტული მნიშვნელობაც. დასაბამიდან სწორედ არსებითი სახელები წარმოქმნიან ატრიბუტულ მიმართებას და აღნიშნავენ მას. ზედსართავი სახელები გაჩნდნენ ატრიბუტულ ფუნქციაში შედარებით გვიან, როგორც მორფოლოგიზირებული გამოხატვა ამ ფუნქციის. მაგრამ ზედსართავი სახელის გაჩენით არსებით სახელებს არ დაუკარგავთ უნარი შექმნან და გამოხატონ ატრიბუტული მნიშვნელობა.

„მოქმედება-მდგომარეობა“ ობიექტის ერთ-ერთი ნიშანია, ამიტომ თეორიულად დასაშვებია საგნისა და მოქმედება-მდებარეობის ერთი აღმნიშვნელით გადმოცემა. მაგრამ ქართულ, რუსულ, თურქულ ენებში ჩვენ არ შეგვხვებდრია ამგვარი ენობრივი ფორმა. გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისური ენა:

ache 1. ტკივილი 2. ტკივილის განცდა

advance 1. დაწინაურება, წარმატება 2. წარმატების მიღწევა

advantage 1. უპირატესობა 2. უპირატესობის მინიჭება

adventure 1. ავანტიურა 2. რისკის გაწევა

affix 1. დამატება 2. მიამაგრო

alarm 1. განგაში 2. განგაშის ატეხა

bail 1. თავდებობა 2. თავდებად დადგომა

ball 1. ბურთი, სფერო 2. გორგოლად დახვევა

bank 1. ბანკი 2. ბანკში ფულის შენახვა

(იხ.იქლ; <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/> და სხვა).

როგორც აღვნიშნეთ, მსგავსი მაგალითები არ გვხვდება ქართულ, რუსულ, თურქულ ენებში. მაგრამ არა იმიტომ, რომ ზმნა-შემასმენელი ლოგიკურად უპირისპირდება სახელს, ასე რომ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ინგლისური ენის მაგალითებიც. ანალიტიკურ ენაში, როგორც არის ინგლისური, სახელი და ზმნა ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნაკლები გრამატიკული ფორმით, რაც ხელს უწყობს მათ სემანტიკურ გაერთიანებას. ენობრივი მანძილი სახელსა და ზმნას შორის არ ედრება ლოგიკურს, ამას ადასტურებს ინგლისური ენის მაგალითი. პრედიკატის როლში დაუშვებელია ლოგიკური სახელი და არა გრამატიკული. უფრო მეტიც, არსებითი სახელის პრედიკატად გამოყენების გარეშე შეუძლებელია ენის სახელდების (ნომინაციის) ფუნქცია, მაშასადამე, ენაც. ობიექტზე მითითებით გამოყენებული ოსტენსიური გამონათქვამები („ეს არის სახლი“, „ეს არის ვაშლი“...), ბაზისურია ყველა ენისთვის. ამრიგად, არსებითი სახელი გამოირჩევა პოლიფუნქციურობით. იგი გამოიყენება, როგორც სუბიექტისა და ობიექტის, ისე პრედიკატის, ატრიბუტის და ადვერბიალური ფუნქციით. დასახელებული ყველა ფუნქცია ძირითადია არსებითი სახელისთვის. რადგან სუბიექტისა და ობიექტის აღმნიშვნელად ენაში გამოდის, როგორც წესი, არსებითი სახელი, საგნობრიობა ცხადდება ამ მეტყველების ნაწილის ერთადერთ მნიშვნელობად და ფიზიკურ სივრცეში მოცემულ ობიექტსაც (სუბსტანციას) შეცდომით უწოდებენ საგანს. მაგრამ საგნად გარეთა სუბსტანცია (ობიექტი) იქცევა მხოლოდ შესაბამის წინადადებაში, მაგალითად: „წიგნი დევს მაგიდაზე“, „კარადა დგას ოთახში“, „ხე გაიზარდა“; „წიგნი“, „კარადა“, „ხე“ სხვა წინადადებაში შეიძლება აღარ გამოხატავდნენ საგანს, მაგალითად; „სათვალე დევს წიგნზე“, „ეს არის წიგნი“, „წიგნის გარეკანი“. ამრიგად, „საგანი“, „პრედიკატი“, „ატრიბუტი“, „გარემოება“, ესაა ენობრივად გამოხატული ობიექტის მიმართება სხვა ობიექტთან და თავის თავთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „საგანი“, „პრედიკატი“, „ატრიბუტი“, „გარემოება“ შეიძლება იყოს მხოლოდ სიტყვა წინადადებაში და არა ფიზიკური სივრცის ობიექტი, რომელიც წინადადების გარეთ უცნობია ჩვენთვის. არსებითი სახელი აღნიშნავს ფიზიკური სივრცის განუსაზღვრელ ობიექტს(სუბსტანციას), რომელიც წინადადებაში გვევლინება ან საგნის, ან პრედიკატის, ან ატრიბუტის, ან გარემოების (ადვერბუმის) სახით.

დასკვნა

ენის ნამდვილი ბუნების არცოდნა მიზეზია მრავალი ლინგვისტური შეცდომის, არსებითი სახელის გრამატიკული დეფინიცია ერთ-ერთი მათგანია.

ცნობილი განმარტება „არსებითი სახელი არის სიტყვათა კლასი, რომელიც აღნიშნავს საგანს და წინადადებაში გამოიყენება ქვემდებარისა და დამატების ფუნქციით“ რეფერენციულ-ფუნქციურია. იგი ყალიბდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ ჰუმბოლდტამდე.

ენის ამა თუ იმ სტრუქტურული ელემენტის თეორიული გააზრება დამოკიდებულია ავტორის სამყაროსა და ენის ფილოსოფიურ ხედვაზე.

არსებითი სახელის ანტიკური დეფინიცია განპირობებული იყო ამ პერიოდში გაბატონებული ფილოსოფიური მსოფლხედვითა და გნოსეოლოგიური პრინციპებით: ფიზიკური სამყარო (სუბსტანცია, თვისება, რაოდენობა, მიმართება, დრო, ადგილი, კუთვნილება, მოქმედება, მდგომარეობა, ვნებითობა) ობიექტურად („სარკულად“) აისახება ადამიანთა გონებაში და შემდეგ ადეკვატურად გადმოიცემა ენით. მეტყველების ნაწილები გამოხატავენ აზროვნების კატეგორიებს და აღნიშნავენ შესაბამის რეფერენტებს (სუბსტანცია, თვისება, მოქმედება, ადგილი, დრო...). დიონისესეული განმარტება „სახელი ბრუნებადი მეტყველების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს სხეულს ან საგანს უსხეულოს, მაგალითად: ქვა, ალზრდა“ შეიძლება გაჩენილიყო მეცნიერული აზროვნების ამ პარადიგმაში.

პირველ ევროპულ გრამატიკაში მოცემული არსებითი სახელის განმარტება არ წარმოადგენს ძველი ბერძნული ან სხვა რომელიმე ენის გამოყენებაზე დაკვირვების შედეგს. ძველ ბერძნულ ისე, როგორც ყველა ენაშიც, არსებითი სახელი საგნობრივი მნიშვნელობის გარდა, ჩვეულებრივ, გამოიყენება ატრიბუტული, ადვერბიალური და პრედიკატული მნიშვნელობებითაც. აღნიშნულმა ფაქტმა ვერ ჰპოვა სათანადო შეფასება ლოგიცისტურ გრამატიკაში.

სინტაქსური თეორიის არარსებობის გამო დიონისეს არ შეეძლო არსებითი სახელის მნიშვნელობა დაესაბუთებინა სინტაქსური ფუნქციით. არსებითი სახელის

ფუძემდებლური ნიშნის დასადგენად ალექსანდრიელმა გრამატიკოსმა გამოიყენა სახელთან დაკავშირებული არისტოტელეს აღმოჩენა: აზრში (მსჯელობაში) ასახული ფიზიკური საგანი („ქვემდებარე“) ყოველთვის სახელია, მაგრამ არისტოტელე ლაპარაკობს ლოგიკურ სახელზე (სუბიექტზე) და არა გრამატიკულზე (არსებით სახელზე). „ტექნე გრამატიკაში“ მოყვანილი არსებითი სახელის განმარტება წარმოადგენს არისტოტელესეული პრინციპის მცდარ ინტერპრეტაციას.

მე-17 საუკუნეში ა. არნო და კ. ლანსლო წინადადების სტრუქტურის აზრის სტრუქტურასთან გაიგივებით და ამ გზით აზრის ნაწილების (სუბიექტი-პრედიკატი) წინადადების წევრებად გამოცხადებით გაამართლეს ლოგიციზმი გრამატიკაში და ამით ხელი შეუწყვეს არსებითი სახელის დიონისესეული ვერსიის დამკვიდრებას გრამატიკაში. ამიერიდან არსებითი სახელის საგნობრიობა დასტურდებოდა ამ მეტყველების ნაწილის უნარით გამოვიდეს სუბიექტის (ქვემდებარის) სინტაქსურ როლში. წრე შეიკრა: ჯერ საგნის აღმნიშვნელი სიტყვა (ქვემდებარე) შეცდომით გაიგივდა არსებით სახელთან, ხოლო შემდეგ არსებითი სახელის საგნობრიობა დადასტურდა ამ მეტყველების ნაწილის კავშირით ქვემდებარესთან.

ჯერ კიდევ როსცელინთან კამათში პეტრე აბელიარი აღნიშნავდა იმას, რომ უნივერსალიები (ცნებები) გამოიხატებიან სიტყვებით, მაგრამ არ არიან სიტყვები. ენის მეცნიერული აღწერის მისაღებად აუცილებელია მეტყველებაში ლოგიკური და ენობრივი სტრუქტურების გამიჯვნა. ამასთან, საჭირო არის ენის აზროვნებასთან და სამყაროსთან მიმართების ამსახველი სწორი თეორიაც, მაგრამ შუა საუკუნეების ყველა ფილოსოფოსი ტრიადაში „საგანი-იდეა-სიტყვა“ უკანასკნელ წევრს განიხილავდა დამხმარე საშუალებად.

გამოხატვასთან ერთად ენა აყალიბებს აზრს. ლოგიცისტურმა გრამატიკულმა თეორიამ გვერდი აუარა ისეთი მაგალითების განხილვას, როდესაც ერთი სიტყვა გამოდის სხვადასხვა მეტყველების ნაწილების როლში, რაც ლოგიკურად შეუძლებელია. ყოველი ენა წარმოადგენს სამყაროს თავისებურად მაკლასიფიცირებელ სისტემას, რაც აუცილებელს ხდის ერთი ენის აღწერის დროს მისი სტრუქტურის სხვა ენათა სტრუქტურებთან შეპირისპირებით შესწავლას.

პირველი ევროპული გრამატიკები არა თუ არ ითვალისწინებდნენ სხვა ენათა მონაცემებს, ისინი მეცნიერულად ვერ ასახავდნენ თვით ბერძნული ენის სტრუქტურასაც, რადგან უკეთეს შემთხვევაში აღწერდნენ მეტყველებას და არა ენას. ამასთან, თეორია მეტყველების ნაწილების შესახებ დაიწყო სახელისა და ზმნის დაპირისპირებით ლოგიკაში და არა გრამატიკაში. ფილოსოფოსებმა ერთმანეთისგან გამიჯნეს არა შესაბამისი სიტყვები, არამედ აზრის ნაწილები- სუბიექტი და პრედიკატი. პირველს უწოდეს „სახელი“ ხოლო მეორეს- „ზმნა“. აღნიშნული ტერმინების გრამატიკაშიც გამოყენებამ ხელი შეუწყო საზღვრის მოშლას წინადადებაში ლოგიკურსა და გრამატიკულს შორის.

გრამატიკულ თეორიაში სინტაქსური ფუნქციების დამკვიდრებული დანაწილება (არსებითი სახელი-ქვემდებარე-დამატება, ზმნა - პრედიკატი, ზედსართავი - ატრიბუტი, ზმნიზედა- გარემოება) არ არის სრულიად ლინგვისტური, რადგან თავში ეფუძნება არა სიტყვათა ანალიზს, არამედ ფიზიკური საგნის აზრის ნაწილებთან (სუბიექტ-პრედიკატთან) მიმართებას.

არისტოტელეს დაკვირვება იმაზე, რომ პრედიკატის როლში სახელი აღარ აღნიშნავს საგანს, არამედ მხოლოდ განსაზღვრავს მას, გულისხმობს იმას, რომ პრედიკატის ფუნქციაში სახელი არ შეიძლება იყოს სრულფასოვანი, რადგან კარგავს საგნობრიობას. თუ არსებითი სახელის მნიშვნელობას დავიყვანთ მხოლოდ საგანზე, მაშინ მისი სინტაქსური ფუნქციებიც უნდა შემოიფარგლოს ქვემდებარე-დამატებით. მაგრამ მხოლოდ საგნობრივი მნიშვნელობა აქვს ლოგიკურ სახელს (სუბიექტს) და არა გრამატიკულს (არსებით სახელს), რომელიც ყველა ენაში ყოველთვის გამოიყენებოდა პრედიკატ-შემასმენლის როლში, რადგან ამის გარეშე შეუძლებელი ხდება ენის გამოყენება სამყაროს მიმართ.

არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი რომელიც საგანთან ერთად დასაბამიდან ყოველთვის გამოხატავდა აგრეთვე ატრიბუტულ და ადვერბიალურ მნიშვნელობებს, მაგრამ ამ აშკარა ფაქტის დანახვას წინ ეღობება ლოგიცისტური პოსტულატი: სახელი აღნიშნავს მხოლოდ საგანს.

პრედიკატის, ატრიბუტის, გარემოების გამოსახატავად არსებითი სახელის გარდა ენებში ჩამოყალიბდნენ შესაბამისი მეტყველების ნაწილები (ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა), მაგრამ ენებს არ აქვს მხოლოდ საგნის გამომხატველი მეტყველების ნაწილი.

არსებითი სახელი მრავალფუნქციური მეტყველების ნაწილია, რომელიც წინადადებაში გამოიყენება პრედიკატის, ქვემდებარის, დამატების, ატრიბუტის, გარემოების ფუნქციებით. ყველა სინტაქსური ფუნქცია არსებითი სახელისთვის დასაბამიერია და ძირითადი.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

1. ბაგრატიონი.ი., 1986 - კალმასობისეული ქართული გრამარტიკა, მეცნიერება, თბ.
2. ბიბლია,2002-ძველი და ახალი აღთქმა,ბიბლის თარგმნის ინსტიტუტი,სტოკჰოლმი
3. გოგებაშვილი ი., 1975- თხზულებანი ორ წიგნად, I, ნაკადული თბ.
4. იუმი დ, 1992, გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ, თსუ, თბ.
5. იქლ,... თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს მაცნე, თბ.
6. კოდუხოვი ვ.,1982 - ზოგადი ენათმეცნიერება, განათლება, თბ.
7. პლატონი, 1994-ტიმეოსი, „ირმისა“, თბ.
8. პლატონი, 1966 ფედონი, ნაკადული, თბ.
9. პუშკინი ა, 1975- რჩეული თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ.
10. სოსიური ფ., 2002 - ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, დიოგენე, თბ.
11. ურუშაძე ა., 1987- ძველი ბერძნული ენა, განათლება, თბ.
12. ქეგლ, 1990 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული ენციკლოპედია, თბ.
13. ქეგლ,1990- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ.
14. ყაზბეგი ა, 1984- ელგუჯა, ხევისბერი გოჩა, თსუ, თბ.
15. შანიძე ა., 1980 - თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თსუ, თბ.
16. ჩიქობავა არნ., 1968 - მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, განათლება, თბ.
17. ჩიქობავა არნ. , 1983 - ზოგადი ენათმეცნიერება, თსუ, თბ.
18. ხალვაში ლ. , 2014 - ზოგადი ენათმეცნიერება, უნივერსალი, თბ.
19. Антология, 1969 – Антология мировой философии, в 4т.,т.1, Мысль, М.
20. Аристотель, 1978 – Соч. в 4т.,т.2, Мысль, М.
21. Аристотель, 1984 – Соч. в 4т.,т.4, Мысль, М.
22. Арно А., Лансло К. , 1990 – Грамматика общая и рациональная, Прогресс, М.
23. Блох М., 2004 – Теоретическая грамматика английского языка, Высшая школа , М.
24. Блумфилд, 1968- Язык, Прогресс, М.
25. Буслаев Ф.И. , 1858 – Опыт исторической грамматики русского языка, Университетская типография, М.
26. Буслаев Ф.И. , 1868 – Историческая грамматика русского языка, изд-во Братьев Салаевых, М.
27. Буслаев Ф.И. , 1896 – Учебник русской грамматики, сближенной с церковнославянскою, Типография Э.Лиснера и Ю.Романа, М.
28. БТРС 1998- Большой турецко-русский словарь, „Русский язык“,М.
29. Бозций, 1990 – Утешение философией и другие трактаты, Наука, М.

30. Гак В.К. , 1986 – Теоретическая грамматика французского языка, Высшая школа, М.
31. Гируцкий А., 2001-Общее языкознание, Тетра Системс, Минск.
32. Греч Н. , 1827 – Пространная русская грамматика, Типография Издателя, С-П.
33. Гумбольдт, 1984- Избранные труды по языкознанию, Прогресс, М.
34. Давыдов И. , 1954 – Опыт общесравнительной грамматики русского языка, Императорская академия наук, С-П.
35. ДРС, 1958- Древнегреческо-русский словарь, т.1, Гос.изд-во иностр. и националь. словарей, М.
36. Звегинцев В.А. , 1956 – Хрестоматия по истории языкознания 19-20 веков, Госучпедгиз, М.
37. Ибн Сина, 1957 – Даниш-намэ, Таджикское гос.изд-во, Сталинабад.
38. И.Л.У. , 1980 – История лингвистических учений, Наука, Л.
39. Кононов А.Н., 1956 – Грамматика современного турецкого языка, Академия наук СССР, М.
40. Л.Э.С. , 1920 - Лингвистический энциклопедический словарь, Советская энциклопедия, М.
41. Оккам У. , 2002 – Избранное, Едиториал УРРС, М.
42. Элий Донат, 2003 – Малая грамматика, Вестник Пермского университета, Выпуск 4, Пермь.
43. Мюллер М, 2009- Лекции по науке о языке, „ЛИБРОКОМ“, М.
44. Элис Донат, 1986- Малая грамматика, вестник, Пермского университета, Выпуск 4, Пермь.
45. Кант И., 1965- Соч. в 6т., т.4, ч.1, Мысль, М.
46. Кононов А, 1956- Грамматика современного турецкого литературного языка, Академия наук, М-Л.
47. Конт О., 2012- Общий обзор позитивизма, „ЛИБРОКОМ“, М.
48. Конт О., 2003- Дух позитивной философии; Феникс, Ростов-на-Дону.
49. Лайонз Дж., 1978-Введение в теоретическую лингвистику. Прогресс., М.
50. Лейбниц Г., 1982 – Соч. в 4 т., т.1, Мысль, М.
51. Пауль, 1960- Принципы истории языка, Иностр.лит-ра, М.
52. Потебня А, 1976- Эстетика и поэтика, „Искусство“, М.
53. Потебня А, 1874- Из записок по русской грамматике, Типография Д.Гольштейна, Воронеж.
54. Потебня А, 1868- Из записок по русской грамматике, Просвещение, М.
55. Пирс Ч., 2000- Начала прагматизма, т.2, Алетейя, СПГУ.
56. Щерба Л., 1957- Избранные работы по русскому языку; Госучпедгиз, М.
57. Пушкин, 1974- Собрание сочинений в 10т., „Художественная литература“ М.
58. Теньер А., 1988- Основы структурного синтаксиса, Прогресс, М.
59. Хомский Н., 2005 –Картезианская лингвистика, Ком. Книга, М.

60. Huddleston R. Pullum G., 2007 – A student's introduction to English Grammar, Cambridge University Press.
61. <https://www.agnuz.info/library/books/antologiya>
62. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>
63. <https://dictionary.cambridge.org/>
64. <https://www.yourdictionary.com/>
65. <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>
66. <https://www.dictionary.com/>
67. <https://www.macmillandictionary.com/>
68. <http://www.agnuz.info/library/books/antologiya/>

დაბარბო

ბოცვებო	Noun	Verb	Adjective	Adverb
Crap	He's so full of crap .	The dog crapped right in the middle of the street.	The concert was crap .	The team played crap yesterday.
Crash	It is not clear what caused the crash .	I was terrified that the plane would crash . Any extra parts will have to be crated and shipped separately.	a crash course in computer programming.	
Crate	The spider was found hiding in a crate of bananas.	Our baby is just starting to crawl .		
Crawl	The traffic was moving at a slow crawl .	She crayoned the picture.		
Crayon	She used crayons to draw the picture.			
Cream	I asked for two coffees with cream .	Cream the butter and sugar together.	The walls were cream and the ceiling was painted white.	
Crease	She smoothed the creases out of her skirt.	Pack your suit carefully so that you don't crease it.		
Credit	We bought the dishwasher on credit .	They credited my account two days later.		
Creep	You little creep!	I heard someone creeping around the house.		
Crest				
Crew	None of the passengers and crew were injured. Society does not know how to deal with hardened criminals (= people who regularly commit crimes and are not sorry for what they do).	Normally the boat is crewed by five people.		
Criminal			They were charged with criminal damage (= the crime of damaging somebody's property deliberately).	
Cripple	He's an emotional cripple (= he cannot express his feelings).	He was crippled by polio as a child.		
Crisp	I bought a packet of smoky bacon crisps .	Cook until the bacon starts to crisp .	Bake until the pastry is golden and crisp .	
Croak	The frog crawled out with a croak .	A frog croaked by the water.		
Crook	That salesman is a real crook .	She winked and crooked a finger at him.	I'm feeling a bit crook .	
Crop	Sugar is an important crop on the island.	His hair had been cropped short and he looked different. As soon as traffic slowed down enough to safely cross , I started walking.		
Cross	Put a tick if the answer is correct and a cross if it's wrong.	Doyle croached behind a hedge.	I was cross with him for being late.	
Crouch	She dropped to a crouch .	A cock began to crow .		
Crow	A crow is a large, black bird with a loud cry.	Thousands of people crowded the narrow streets.		
Crowd	A small crowd had gathered outside the church.	Queen Elizabeth was crowned in 1953.		
Crown	The crown was placed upon the new monarch's head.	They cruised down the Nile.		
Cruise	I'd love to go on a round-the-world cruise .		The Agriculture Secretary goes into a crunch meeting with senior ministers in Brussels tomorrow.	
Crunch	The car drew up with a crunch of gravel.	She crunched her apple noisily.		
Crusade	Her moral crusade began in 1963.	She crusaded against violence on television.		
Crush	The car was completely crushed under the truck.	There was a big crush in the theatre bar.		
Cry	A passer-by heard her muffled cries .	The little boy fell over and started to cry .		
Cube	Cut the meat into cubes .	10 cubed is 1 000.		
ბოცვებო	Noun	Verb	Adjective	Adverb
Co-star	Co-star is one of two or more famous actors who appear together in a film or play.	This is a movie in which Jennifer Lawrence co-stars with Joel Edgerton.		
Cotton	From the age of six she worked in the fields, picking cotton .	I suddenly co-toned on to what he was doing.		
Couch	They sat down on the wide couch .	The letter was deliberately couched in very vague terms.		
Cough	I couldn't stop coughing . She gave a little cough to attract my attention.	I couldn't stop coughing .		
Counsel	Listen to the counsel of your elders.	He counselled them to give up the plan.		
Count	The bus driver did a quick count of the empty seats.	Billy can't count yet.		
Countenance	He was of noble countenance .	The committee refused to countenance his proposals.		The company's plans run counter to local development guidelines.
Counter	I asked the woman behind the counter if they had any postcards.	Such arguments are not easily countered .		
Counterbalance	The accused's right to silence was a vital counterbalance to the powers of the police.	Parents' natural desire to protect their children should be counterbalanced by the child's need for independence.		
Counterfeit	Despite the introduction of a security shield on the new £10 stamp, counterfeits are costing the postal service millions of pounds a year. Should the government do more to help young couples buy their own homes?	We have made it significantly more difficult for them to counterfeit this document.	Are you aware these notes are counterfeit ?	
Couple		The two railway trucks had been coupled together.		
Course	I want to do a course in art and design.	He stopped talking and tears coursed down his cheeks. Both candidates have spent the last month courting the media.		
Court	The case took five years to come to court (= to be heard by the court).	She was easily cowed by people in authority.		
Cover	Brighten up your room with some colourful cushion covers .	She covered her face with her hands.		
Cow	The farmer called the vet out to treat a sick cow .	The ice cracked as I stepped onto it.	He's a crack shot (= accurate and skilled at shooting).	
Crack	This cup has a crack in it.	The radio crackled into life.		
Crackle	The planes arrived with a crackle of gunfire.	The old man cradled the tiny baby in his arms.		
Cradle	She rocked the baby to sleep in its cradle .	Worry and lack of money cramp the lives of the unemployed.		
Cramp	I've got cramp in my foot.	People were craning out of the windows and waving.		
Crane	The crane lifted the container off the ship.	He has a limited time to crank the reforms into action.		
Crank	He just seemed like a harmless crank to me.			

Խօսքընթաց	Noun	Verb	Adjective	Adverb
Consort	I found out some interesting facts about the Prince Consort (= the queen's husband)	He is known to have consorted with prostitutes.		
Constituent	She has the full support of her constituents .		He was trying to break it up into its constituent parts.	
Contact	We've been unable to establish radio contact with the pilot.	I've been trying to contact you all day.		
Content	Fire has caused severe damage to the contents of the building.	Martina contented herself with a bowl of soup.	He seemed more content , less bitter.	
Contest	She was awarded the first prize in an essay contest .	Three candidates contested the leadership.		All payments are contingent upon satisfactory completion dates.
Contingent	The largest contingent was from the United States.			
Contract	All employees have a written contract of employment.	Glass contracts as it cools.		The government has decided that the publication of the report would be ' contrary to the public interest'.
Contrary	In the end the contrary was proved true: he was innocent and she was guilty.			
Contrast	The two cities make an interesting contrast .	It is interesting to contrast the British legal system with the American one.		
Control				
Converse	Building new roads increases traffic and the converse is equally true: reducing the number and size of roads means less traffic.	She conversed with the Romanians in French.	It had the converse effect.	
Convert	A convert is a person who has changed their religion, beliefs or opinions.	They took just nine months to convert the building.		
Convict	The novel begins with Pip's meeting with an escaped convict from the prison ship.	He was convicted of fraud.		
Cook	John is a very good cook .	Where did you learn to cook ?		
Cool		Melt the chocolate and allow it to cool slightly.	Store lemons in a cool dry place.	
Cop	Children playing cops and robbers.	He copped all the hassle after the accident.		
Copy	The thieves replaced the original painting with a copy .	He taught himself by copying paintings in the Louvre.		
Core	This report goes to the core of the argument.	You need four cooking apples, cored and sliced.	We need to concentrate on our core business.	
Corner	I hit my knee on the corner of the table.	The man was finally cornered by police in a garage.		
Corral	They drove the ponies into a corral .	To corral somebody is to gather a group of people together and keep them in a particular place.		
Correct		Read through your work and correct any mistakes that you find.	Please check that these details are correct .	
Corrupt		He was corrupted by power and ambition.	It was seen as the only way to overthrow a corrupt regime.	
Cosmetic	We're introducing a new line of cosmetics .		She dismissed the plan as a cosmetic exercise to win votes.	
Cost	A new computer system has been installed at a cost of £80 000.	I didn't get it because it cost too much.		
Խօսքընթաց	Noun	Verb	Adjective	Adverb
Commission	The commission is expected to report its findings next month.	She has been commissioned to write a new national anthem.		
Common	Jackson is a common English name.	We went for a walk on the common .		
Compact	The government has signed a compact of free association.	Compact something is to press something tightly together.	The device is small and compact and weighs only 2.2lb.	
Comparative	'Better' is the comparative of 'good' and 'more difficult' is the comparative of 'difficult'.		Then he was living in comparative comfort (= compared with others or with his own life at a previous time).	
Compere	A compere is a person who introduces the people who perform in a television programme, a show in a theatre.	Compere (something) is to act as a compere for a show.		
Complete		She's just completed a master's degree in Law.	You will receive payment for each complete day that you work.	
Complex	You can find a complex of buildings covering about 300 square metres.		We live in an increasingly complex world.	
Compliment	You understand the problem because you're so much older.' 'I'll take that as a compliment !	She complimented him on his excellent German.		
Compound	The air smelled like a compound of diesel and petrol fumes.	The problems were compounded by severe food shortages.	A compound sentence contains two or more clauses.	
Comprehensive	Comprehensive a secondary school for young people of all levels of ability.		The cricket team finished the season with a comprehensive victory over their rivals.	
Compromise	In any relationship, you have to make compromises .	Neither side is prepared to compromise .		
Con	The so-called bargain was just a big con !	I was conned into buying a useless car.		
